ლელო

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 სექტემბერი **ხუთშაბათი** 2011

№ 229 (13526) ფასი 80 თეთრი

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟები სპორტის ონლაინ კაზინო

ბესიკ ჯანგავაძე პალმერსტონიდან

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# მოსაგებები მოვიგეთ!

## შავი ზღვა ზღვარი აღარ არის, მაგრამ რა დიდია რაგბის ოკეანე




8

# დილა არის მშვენიერი

## გორელებმა დინამოელებს ფრე დაუტოვეს და ინტრიგა წაიღეს



ფოტო: www.fcdinamo.ge

4



# ბელარუსმა მესი ნახა

## ბარსამ გაკვეთილი ჩაატარა

6

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● U17. ინტერვიუ

### ვასილ მაისურაძე

# ვარსკვლავები გვაკლია, მაგრამ გვყავს მთავარი: გუნდი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მოლდოვიდან დაბრუნდა, სადაც წარმატებით იასპარეზა ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე და ელიტრაუნდის საგზური მოიპოვა. შეგახსენებთ, ჩვენებმა მოლდოვაში ბულგარეთსა და მასპინძლებს, შესაბამისად, 3:2 და 2:1 სძლიეს, რითაც ელიტრაუნდში გასვლა დაიბევეს, ბოლო, არაფრისმომცემ შეხვედრაში კი შვედეთთან 0:2 დამარცხდნენ.

გთავაზობთ ინტერვიუს გუნდის მთავარ მწვრთნელ ვასილ მაისურაძესთან.



**- უპირველესად, გილოცავთ წარმატებას. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, საქართველოს ნაკრებმა ელიტრაუნდის საგზური დამაჯერებლად მოიპოვა. ახლა უშუალოდ თქვენი შთაბეჭდილებებია საინტერესო.**

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. გვქონდა გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ეს ბარიერი მართლაც დამაჯერებლად გადავლახეთ.

**- მოკლედ გავიხსენოთ სამივე მატჩი.**

- ბულგარეთთან შეხვედრას არცთუ საუკეთესო კონდიციებით შევხვდით, რადგან აკლიმატიზაცია ბოლომდე გავლილი არ გვქონდა, თან დილაადრიან სტადიონამდე დაახლოებით 90 კილომეტრი ვიმგზავრეთ. საბედნიეროდ, ყველა ეს პრობლემა დავძლიეთ და დიდი ბრძოლის ხარჯზე ბულგარეთი დავამარცხეთ. პირველი გოლი მეტოქემ გაიტანა, მაგრამ ბიჭებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და თამაშის ბედი სათავისოდ შეატრიალეს. უსიამოვნო ის იყო, რომ ერთი გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გავუშვით, რამაც ჩვენი ეს სისუსტე კიდევ ერთხელ გაგვახსენა.

მოლდოვას საგრძნობლად ვაჯობეთ, მაგრამ ეს ანგარიშში მაინცდამაინც არ ასახულა. ორი ბურთით დავწინაურდით, მაგრამ მასპინძლებს თამაშის გადარჩენის შანსი ისევ ჩვენი შეცდომებით მიეცათ. მოლდოველებმა ერთი ბურთი გაგვიტანეს და, საბედნიეროდ, მეტი ველარ შეძლეს. გარკვეულწილად გაგვიმართლა კიდეც, რადგან მასპინძლებმა პენალტი ძელს გაარტყეს.

თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე დიდი ტერიტორიული უპირატესობა შვედეთთან გვქონდა და.. მეტოქეს ორი გოლი ვაჩუქეთ. საგოლე მომენტი მრავლად შევქმენით, ბურთი ძელსაც გავარტყით, მაგრამ მაინც ორბურთიანი სხვაობით დავმარცხდით. ობიექტურად ვამბობ, პირველ ადგილს პრინციპული მნიშვნელობა რომ ჰქონოდა, ამ თამაშს არ წავაგებდით. ჩვენთვის მთავარი იყო, ელიტრაუნდს დისკვალიფიკაციით არავინ შეხვედროდა და ამას მივაღწიეთ კიდეც.

**- შვედებთან გადახალისებული გუნდით თამაში გასაგებია, მაგრამ ოპტიმალური შემადგენლობა ვერც საწყის ორ მატჩში გამოიკვეთა.**

- ეს იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრებს არ ჰყავს ძირითადი შემადგენლობის გამოკვეთილი წევრები. თამაშობს ის, ვინც კონკრეტული მომენტისთვის კონკურენტზე უკეთ არის მზად, თორემ ფეხბურთელთა დონეებს შორის დიდი სხვაობა არ არის. გვქონდა იმის სურვილი და, რაც მთავარია, რესურსი, რომ მოლდოვაში 18-ვე ფეხბურთელს ეთამაშა და ასეც მოხდა.

**- სტანდარტული მდგომარეობა უკვე ახსენეთ. კიდევ რა ნაკლი აქვს ჩვენს ნაკრებს? და, რაღა თქმა უნდა, დადებით მხარეებზეც გავამახვილოთ ყურადღება.**

- უკმაყოფილო ვარ დაცვისა და თავდასხმის თამაშით. დაცვის შეცდომებით რამდენიმე გოლი მივიღეთ, თავდასხმას კი ყველაზე მკაფიოდ ის ფაქტი ახასიათებს, რომ ჩვენ მიერ მოლდოვაში გატანილი ხუთი გოლიდან ერთიც კი არ არის ფორვარდების ანგარიშზე. როგორც იცით, ტრავმის გამო მოლდოვაში წამყვანი თავდამსხმელი ალეკო მზევაშვილი ვერ წავიყვანეთ და იმედია, მისი დაბრუნება ამ პრობლემას სანახევროდ მაინც მოგვიგვარებს. სამაგიეროდ, კმაყოფილი ვარ შუა ხაზის თამაშით. ნახევარმცველებს არც ბრძოლისუნარიანობა აკლიათ, არც – კრეატიულობა.

**- თუ გვაქვს იმის რესურსი, რომ ელიტრაუნდისთვის გუნდის შემადგენლობა გაძლიერდეს?**

- უკვე დიდი ხანია, აქტიურ სელექციას ვახორციელებ და დღეისთვის გუნდში ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც სხვებზე უკეთესებად მიმაჩნია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვებისთვის ნაკრების კარი დახურულია. ძიებას კიდევ გავაგრძელებთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. ფაქტია, რომ რამდენიმე პოზიციის გაძლიერება აუცილებლად გვესაჭიროება. ვეძებთ საზღვარგარეთ მოთამაშე ქართველებსაც და რამდენიმე მათგანს მივაკვლიეთ კიდეც, მაგრამ სანამ მათ დონეს საკუთარი თვალით არ ვნახავ, გვარების დასახელებას მოვერიდები, წინასწარ უსაფუძვლო რეკლამირებას ვერავის გავუწევ.

**- რა არის საქართველოს ნაკრების მთავარი დამახასიათებელი თვისება?**

- ერთსულოვნება. ჩვენ არ გვყავს ისეთი გამოკვეთილი ლიდერი, როგორებიც ქართველ 17-წლამდელთა წინა თაობებს ჰყავდათ. მაგალითად, გიორგი ჭანტურიას ან ბაჩანა არაბულის სახით, სამაგიეროდ, ვთამაშობთ კოლექტიურ ფეხბურთს, რისი წყალობითაც წარმატების შანსი ელიტრაუნდშიც გვექნება.

**- როგორ წარიმართება ელიტრაუნდისთვის მოსამზადებელი პერიოდი?**

- ახალ წლამდე ნაკრების წევრებსა და კანდიდატებს კლუბებში დავაკვირდები, გაზაფხულზე კი ნაყოფიერი შეკრება და ძლიერ ნაკრებებთან სპარინგები აუცილებლად დაგვჭირდება. ამ საკითხებს ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად განვიხილავთ და ვფიქრობ, ჩვენი სამზადისი ხარისხიანი და ნაყოფიერი იქნება.

**- გვაქვს იმის შანსიც, რომ ელიტრაუნდი თბილისში ჩავატაროთ.**

- ეს შესანიშნავი იქნება. მართალია, შინაურ კედლებში თამაში ბიჭებს გარკვეული წნეხის ქვეშ მოაქცევს, მაგრამ ამას როგორმე გავუმკლავდებით, ქართველი გულშემატკივრის წინაშე ასპარეზობის შემთხვევაში ფინალურ ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი გვექნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**




● ლეგიონერები



# ოქრიაშვილი ადგილს იბრუნებს

## ტრავმა კი საშიში არ არის

სანაკრებო ბატალიები მოახლოვდა და, ცხადია, ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოძახებულ მოთამაშეთა მდგომარეობა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. დონეცკის "შახტარში" ჩარიცხულ და შემდეგ მარიუპოლის „ილიჩივეცში" იჯარით გადასულ **თორნიკე ოქრიაშვილს** წლეულს ნაკლები სათამაშო პრაქტიკა აქვს. უკრაინის პრემიერლიგაში უკვე 10 ტური გაიმართა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 19 წლის ნახევარმცველმა კი მხოლოდ ოთხში მიიღო მონაწილეობა, თანაც მოედანზე ბოლო შეხვედრებში გამოჩნდა.

უთამაშებლობის მიზეზი თავიდან ტრავმა იყო: საქმე ისაა, რომ თორნიკე შეკრებაზე დაშავდა და გარკვეული დრო გაუცდა, მანამდე კი, სანამ ვარჯიში განაახლა და ფორმა აღიდგინა, "ილიჩივეცში" მის პოზიციაზე დონეცკის "შახტარში" ნათამაშები გამოცდილი ნახევარმცველი **ადრიან პუკანიჩი** დაიმატეს, თანაც, გუნდის კაპიტნობაც მიანდეს. მარიუპოლელთა მთავარი მწვრთნელი **ვალერი იარემჩენკო** ახალგაზრდა ქართველს გამოცდილ უკრაინელს ამჯობინებდა, რაც ბუნებრივიც იყო.

ცხადია, თორნიკე უთამაშებლობით უკმაყოფილო იყო და, როგორც გვითხრა, ამის თაობაზე "ილიჩივეცის" მთავარ მწვრთნელს ელაპარაკა.

*"შახტარიდან" გადმოსული პუკანიჩისგან ყველა მეტს ელოდა, მაგრამ მწვრთნელს იმედები ვერ გაუმართლა. უკრაინაში გამოცდილებს კი ენდობიან, მაგრამ ჩვენი კაპიტანი ფორმაში არ არის, ეტყობა, კარიერაში დაღმასვლა დაეწყო და იარემჩენკომ მისი შეცვლა გადაწყვიტა. მწვრთნელმა მითხრა, რომ შემადგენლობაში დამაყენებდა და ასეც მოხდა – "ვოლინთან" პუკანიჩი სათადარიგოებში იჯდა, მე კი ძირითადში მათამაშა და გოლიც გავიტანე. მართალია, ის შეხვედრა 1:7 წავაგეთ, მაგრამ იარემჩენკომ თქვა, რომ შემდეგ მატჩებშიც მე დამაყენებდა"* – გვითხრა ოქრიაშვილმა.

თუმცა მომდევნო ტურის მატჩში სიმფეროპოლის "ტავრიასთან" თორნიკე განაცხადშიც არ იყო.

*"სამწუხაროდ, ლუცკელებთან თამაში ტრავმით დავასრულე და შემდეგ ტურში ექიმმა დასვენება მირჩია. დაახლოებით ერთი კვირა არ მივარჯიშია, უკვე სამი დღეა კი, ვიტვირთები, ასე რომ, საშიში არაფერია. ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებამ ძალიან გამახარა, შეკრების დაწყებამდე ტრავმა სრულად მომირჩება და ნაკრებში აუცილებლად გამოვცხადდები"* – იმედიანად არის "ილიჩივეცის" ქართველი პლეიმეიკერი.

**მერაბ მამულაშვილი**

# რევიშვილის კავკასიური დერბი საბერძნეთამდე



რუსეთის ჩემპიონატის 25-ე ტურში კავკასიური დერბი გაიმართა - მახაჩყალის „ანჟიმ" გროზნოს „ტერეკს" უმასპინძლა და ბევრისთვის მოულოდნელად მხოლოდ ფრეს (2:2) დასჯერდა. ამგვარად, **სამუელ ეტოოსა** და **რობერტო კარლოსის** გუნდმა მე-5 ადგილზე გადასვლის შანსი ხელიდან გაუშვა და მე-7 ადგილზეა.

შეხვედრის შემდეგ საქართველოს ნაკრებისა და „ანჟის" მეკარე **ნუკრი რევიშვილმა** წარუმატებლობის მიზეზებზე ილაპარაკა.

*„ყველანი გულნატკენი ვართ. რა თქმა უნდა, მოგება გვინდოდა, თანაც, მეტოქეს კლასით ვჯობდით, მაგრამ მხოლოდ კლასი ვერ იქნება გამარჯვების გარანტია. არაერთი მომენტი გვქონდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მაგრამ ბიჭები მათ რეალიზაციაში ძალიან მოიკოჭლებდნენ.*

*დაცვაშიც ცუდად ვითამაშეთ, ბევრჯერ შევცდით და შეიძლება ითქვას, ჩვენი უკანა ხაზი გაირღვა, გოლები კი კონტრშეტევებით მივიღეთ. ცხადია, ამ თამაშიდან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ

# ჩამოხრჩობილის ოჯახში ზოგჯერ თოკზეც ლაპარაკობენ

## იმიტომ, რომ მასში თავი აღარ გაჰყონ



ნიკა აფაქიძე (№15) ხორვატებთან მატჩში

ნლეულს ზუგდიდის "ბაიაში გამოჩნდა" 19 წლის მცველი ნიკა აფაქიძე, რომელიც მალე გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც დააწინაურეს, მერე კი ოთარ გაბელიამ ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვია.

ნიკა ეროვნულ ჩემპიონატშიც საიმედოდ და დამაჯერებლად ირჯება და ახალგაზრდულ ნაკრებსაც გაუშინაურდა.

**- გულშემატკივარმა გასულ სეზონში გაგიცნო.**

- ყველაფერი წლეულს, წინა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპზე დაიწყო. მოხდა ისე, რომ "ბაია" გამოცდილმა მოთამაშეებმა დატოვეს და ახალგაზრდებს გაგვეხსნა გზა. ასაკისა და გამოუცდელობის გამო ჯერ დაცვის მარჯვენა ფლანგზე მაყენებდნენ, ახლა კი ცენტრში მათამაშებენ, იმ პოზიციაზე, სადაც ბავშვობიდან ვთამაშობდი.

გასულ სეზონში 15 მატჩი ჩავატარე, სამი გოლი და ერთიც საგოლე გადაცემა მივითვალე. შემდეგ ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიმიწვიეს – ოთარ გაბელიამ წლეულს ავსტრიის საერთაშორისო ტურნირზე წამიყვანა და მათამაშა, მერე ხორვატიასთან და ესპანეთთანაც მენდო.

**- ჩამოხრჩობილის ოჯახში თოკს არ ახსენებენო - ესპანეთის გახსენებას მე მოვერიდებოდი.**

- მინდა თუ არა, მაინც მახსენდება. მომავალ ციკლში ესპანეთს ჩვენი ეროვნული ნაკრებიც შეხვდება და, ალბათ, ახალგაზრდულიდან ქუთაისსა და ლუგოში ნათამაშები ბიჭების ნაწილს დაიმატებენ. იცით, მთავარი რა არის? უშუალოდ ვეთამაშეთ კანალესსა და დე ხეას და მათ ახლა მხოლოდ ტელევიზორიდან არ ვიცნობთ. ეს ის დიდი გამოცდილებაა, რომელიც სამომავლოდ წაგვადგება. ახლა მთავარია, ბიჭები ესპანური შოკიდან გამოვიდნენ და შვეიცარიასთან 7 ოქტომბერს კარგად ვითამაშოთ.

**- მე მგონია, რომ ესპანეთს ზედმეტად ოპტიმისტურად დახვდით და ეს იყო ქუთაისში განადგურების მიზეზი.**

- ამას წინა პირობაც ჰქონდა, ქართველებს ყოველთვის აწუხებდა საგარეო თამაშების სინდრომი, ჩვენ კი ხორვატია მისსავე მოედანზე დავამარცხეთ და, ცხადია, იმედი გაგვიჩნდა. ესპანეთთან ყველა იბრძოდა, მაგრამ კლასით აშკარად გვაჯობეს და თანაც, იმ დღეს მათ ყველაფერი გამოსდიოდათ, ჩვენ კი არაფერი, რაც ათასში ერთხელ ხდება. ლუგოში უკეთ ვითამაშეთ და გამოჩნდა, რომ ჩვენს გუნდს ბევრად მეტი შეუძლია.

**- ზუგდიდის "ბაიაზეც" ვთქვათ. გუნდს უდავოდ დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა მეორე ტაიმში ხშირად დაღლა გეტყობათ.**

- ეს იმის ბრალია, რომ სეზონის წინ ნორმალური მოსამზადებელი ეტაპი არ გაგვივლია და ფორმაში ახლა შევდივართ. ბოლო თამაშებში დაღლა ნაკლებად გვეტყობოდა და დარწმუნებული ვარ, კიდევ მოვუმატებთ.

**- შენი აზრით, სამეულში ადგილის შენარჩუნებას შეძლებთ?**

- ძნელი სათქმელია, მაგრამ რვა საუკეთესოში აუცილებლად უნდა მოვხვდეთ. "ბაიას" დღევანდელ შემადგენლობას უფრო მეტი შეუძლია, ვიდრე ბევრს ჰგონია. ეს იმის შედეგია, რომ შეკრული გუნდი გვყავს, ჩვენს განკარგულებაშია საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა და თამაშებისთვის კარგად ვემზადებით. სხვათა შორის, ასეთი ბაზა ყველა ქართულ გუნდს რომ ჰქონდეს, მერე გულშემატკივარსაც შეეძლება, ესპანეთთან ფრე მაინც მოგვთხოვოს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი



# განუგრავას პაპაზე საყვედური არ ეთქმის

## ნოსტალგიასაც უნდა გაუძლო

**23 წლის ქართველ ნახევარმცველ გიორგი განუგრავას უნგრულ „დიოსდეტოსთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს. კლუბში ახალი მწვრთნელის მისვლის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მისი ადგილი აღარ აღმოჩნდა, ამიტომ ქართველმა კლუბიდან წასვლა გადაწყვიტა. „დიორიმ“ განუგრავა 6 თვით „ლომბარდ პაპაში“ გაანათხოვრა, სადაც 9 მატჩი ითამაშა და ერთი გოლი გაიტანა. უნგრეთის ჩემპიონატში „პაპა“ 14 ქულით მე-8 ადგილზეა.**

**„ლელო“ განუგრავას უნგრეთში დაუკავშირდა.**

**- „დიორიში“ ქართველების რაოდენობა თვალში საცემი იყო — ამ უნგრულ კლუბში რვანი იყავით, თუმცა უმეტესობას ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდა, მათ შორის შენც. რა იყოს ამის მიზეზი?**

- იყო პერიოდი, როცა „დიორიში“ მართლაც ბევრი ქართველი მოვგროვდით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო დღეს იქ მხოლოდ რატი ალექსიძე თამაშობს. მე და ლაშა თოთაძე დღემდე „დიორის“ წევრები ვართ, კონტრაქტი კლუბთან 2013 წლამდე გვაკავშირებს, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო გუნდის დატოვება გვიჯობდა.

**- „დიორიდან“ წასვლა თქვენი სურვილი იყო თუ კლუბის?**

- სეზონის დასაწყისში მე და თოთაძე „ლომბარდ პაპაში“ ჩავირიცხეთ 6-თვიანი განათხოვრების შეთანხმებით. მე თანახმა ვიყავი, გუნდი დამეტოვებინა და მათივე დახმარებით თოთაძეც და მეც „ლომბარდ პაპაში“ აღმოვჩნდით. ჩვენი და კლუბის ურთიერთშეთანხმებით მოხდა ყველაფერი.

**- იჯარის ვადა დეკემბერში იწურება, დარჩენას ხომ არ აპირებთ „ლომბარდ პაპაში“?**

- თუკი „დიორის“ სურვილი იქნება, დავბრუნდებით, თუ არა — დავრჩებით „პაპაში“. საპრეტენზიო აქ ნამდვილად არაფერი გვაქვს, რადგან უთამაშებლობის პრობლემა, „დიორიში“ რომ გვაწუხებდა, მოგვარდა და მუდმივად ფორმაში ვარ. პაპა ძალიან ლამაზი, პატარა ქალაქია, სადაც ხალხი ფეხბურთით ცხოვრობს, გუნდის თამაში მათთვის დღესასწაულია. მისვლისთანავე მეც და ლაშაც ძირითად შემადგენლობაში ვართ. გუნდში კარგად მიგვიღეს, მწვრთნელის ნდობა ვიგრძენით და არ გაგვჭირვებია.

**- ვიცი, რომ „პაპაში“ გადასვლამდე საქართველოში დაბრუნება გინდოდა...**

- გარკვეული მიზეზების გამო ამას მართლაც ვფიქრობდი და არა მხოლოდ უთამაშებლობის გამო. საქართველო მომენატრა, ნოსტალგია მომეძალა და დაბრუნება მომანდომა, თუმცა გავძელი და ამას არ ვნანობ.

**- საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრი იმითაც ხომ არ იყო განპირობებული, რომ ეროვნული ჩემპიონატის დონე ამაღლდა?**

- საბედნიეროდ, საქართველოს ჩემპიონატის დონე მართლაც ამაღლდა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ უნგრეთის ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია.

**- თბილისის „დინამოს“ სურდა შენი გადაბირება, მაგრამ „დიორიმ“ უარი უთხრა. თუ იცი, რატომ?**

- ეს ლაპარაკი „დინამოს“ ძველი ხელმძღვანელობის დროს იყო. უნგრელებმა მიზეზად ის მითხრეს, რომ გუნდისთვის საჭირო ვიყავი და არსად გამიშვებდნენ. თუმცა მალევე ახალი მწვრთნელი მოვიდა, რომელიც შემადგენლობაში აღარ მაყენებდა.

**- ერთხელაც ჩაგეკითხები, იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ შენი მომავალი გაურკვეველია?**

- ჯერჯერობით მართლა არ ვიცი, რა იქნება. პაპაში თავს ფეხბურთელად ვგრძნობ, ძველ ფორმას ვიბრუნებ. ტრავმებიც მოვიშუშე, თუ მიკროტრავმებს არ ჩავთვლით, ყველა თამაშს ჯანმრთელი ვხვდები.

**მაგდა კლდიაშვილი**

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში“
E-mail:hr@kvirispalitra.com

● ფუტსალი

# ლამაზი დარბევა იბერიულად

**იბერია სტარი (საქართველო) - ჟენევა (შვეიცარია) 11:0**

1:0 ალთუნაშვილი (3), 2:0 ალთუნაშვილი (5), 3:0 რონინიო (11), 4:0 ალთუნაშვილი (18), 5:0 ედუ (18), 6:0 ბრუნო მელო (21), 7:0 ბრუნო მელო (25), 8:0 ედუ (29), 9:0 ბრუნო მელო (30), 10:0 ჯვარაშვილი (37), 11:0 რომარიო (38)

იბერია სტარი: ტონი, აკოპოვი; ბეტინიო, რონინიო, მელო, ედუ, რომარიო, ძაბირაძე, ალთუნაშვილი (კაპ), ბაპტიშტა, ზოიძე, ჯვარაშვილი.

ჟენევა: დანილო, ლეონარდო; დავიდ ურეში, და კოშტა, პინეირო, პრატეში, ნევეში, ჯექსონი, ენრიკესი, მასკარა, სილვა, როდრიგესი.

გაფრთხილება: რონინიო (20), როდრიგესი (31)

არბიტრები: პ. მანტევი (მაკედონია), ე. სტამულისი (საბერძნეთი)

თბილისის სპორტის სასახლეში უეფას ფუტსალის თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე ტურის მატჩები გაიმართა. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და უეფას თასის უცვლელმა მონაწილე "იბერია სტარმა" ჯგუფის ფავორიტის სტატუსი ამჯერადაც გაამართლა. თუ ჩვენმა გუნდმა მინსკის "მაპიდთან" გამარჯვება ძალების მაქსიმალური დაძაბვით მოახერხა (4:0), შვეიცარიული კლუბი იოლად დაამარცხა, ფეხბურთელებმა კი მაყურებლები, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში "იბერიას" მხარდაჭერას არ აკლებდნენ, ლამაზი თამაშით გაახარეს.

თუმცა, იძახე ქართული და შვეიცარიული კლუბებიო - გადახედავ შემადგენლობებს და თავი ბრაზილიაში გეგონება, თუმცა "იბერიას" მოთამაშეთა ნახევარი მაინც არის ქართველი, "ჟენევას" 12-კაციან განაცხადში კი ყველა ბრაზილიელია.

ჩვენმა ბრაზილიელებმა შვეიცარიელებისას აშკარად აჯობეს, რაც, სიმართლე ითქვას, გასაოცარი იყო. აბა, სად "ჟენევას" ფინანსური შესაძლებლობები და სად ჩვენი, მაგრამ "იბერიას" ბევრად უფრო ხარისხიანი ლეგიონერები ჰყავს და ამაზე გამანადგურებელი შედეგიც მეტყველებს.

სტუმრებმა ჩვენებს წინააღმდეგობა ვერაფერში გაუწიეს, **გოგა ალთუნაშვილის** დაწყებული საქმე ბრაზილიელებმა გააგრძელეს, ბოლოსკენ კი 16 წლის **ვახტანგ ჯვარაშვილმა** უეფას თასზე პირველი გოლი გაიტანა.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო **რომარიოს** ბოლო გოლი, ბრაზილიელმა "ჟენევას" ლამის ყველა მოთამაშე მოატყუა და ბურთი მეკარეს თავზე გადაუგდო.

მანამდე კი სპორტის სასახლეში სლოვაკეთის „სლოვ მატიკი" ბელორუსის "მაპიდს" შეხვდა და დაძაბულ მატჩში 2:1 მოუგო.

**სლოვ მატიკი (სლოვაკეთი)- მაპიდი (ბელარუსი) 2:1**

გოლები: **0:1 ოლშევსკი (18), 1:1 რაიზეკი (28), 2:1 კოზარი (30).**

ამგვარად, ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე **ოლეგ სოლოდივნიკის** გაწვრთნილი "იბერია" გათამაშების ელიტრაუნდში გავიდა. დღეს მონაწილენი ისვენებენ, ხვალ კი, 30 სექტემბერს, 15 საათსა და 30 წუთზე "მაპიდი" "ჟენევას" დაუპირისპირდება, 18 საათზე კი "იბერია"-"სლოვ მატიკის" მატჩი ჯგუფში გამარჯვებულს და ელიტრაუნდის კენჭისყრამდე მეორე კალათში მოხვედრილ გუნდს გამოავლენს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 იბერია | 2 | 2 | 0 | 0 | 15-0 | 6 |
| 2 სლოვ მატიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 7-6 | 4 |
| 3 ჟენევა | 2 | 0 | 1 | 1 | 5-16 | 1 |
| 4 მაპიდი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს თასი

## 1/8 ფინალი. პირველი მატჩები



ჩისკომ (ბურთით) ორი საგოლე პასი გააკეთა

ფოტო: www.fcdinamo.ge

# იქნებოდა კი სენსაცია?

28.09.ტექნიკური ცენტრი ბასა
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| დილა | 2 |

1:0 ჯილაური (9, ჩისკოს პასით), 1:1 ჯოჯუა (14), 1:2 დ. ჩაგელიშვილი (78, ლ. ჩაგელიშვილის პასით), 2:2 კახელიშვილი (84, ჩისკოს პასით)

| დინამო | დილა |
|---|---|
| 4-3-3 | 4-3-3 |
| ზარქუა | შეყრილაძე |
| შ. კაშია | ლომიძე |
| ჰომოლა | ქარქუზაშვილი |
| თომაშვილი | მაჭავარიანი |
| რეხვიაშვილი | ო. გველესიანი |
| ფირცხალავა | ჯოჯუა |
| კოშკაძე | ნემსაძე |
| ჯილაური | პ. ხორგუაშვილი |
| ჩისკო | რაყამაშვილი |
| იაგუე | გ. თოდუა |
| კახელიშვილი | დ. ჩაგელიშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ა. გარსია | გ. ცეცაძე |

**დინამო**

39. ფირცხალავა - **კვეკვესკირი**
60. კაშია - **ოდიკაძე**
71. კოშკაძე - **ლექვთაძე**

სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, ფანცხავა, კოტო, თექთურმანიძე

**დილა**

46. პ. ხორგუაშვილი - **ვ. ხორგუაშვილი**
73. ლომიძე - **ლ. ჩაგელიშვილი**
85. ნემსაძე - **ნ. ნოზაძე**

*სათადარიგოები: მერლანი, ი. ბერაია, ბაქრაძე, სადალაშვილი*

გაფრთხილება: ქარქუზაშვილი (57), კვეკვესკირი (76), ნემსაძე (76), ჩისკო (86), ლ. ჩაგელიშვილი (89)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

სათასო დაპირისპირებების ხიბლი სწორედაც იმაშია, რომ თითქმის ნებისმიერ სტადიაზე რომელიმე გუნდისთვის ფავორიტის სტატუსის მინიჭება ძნელი საქმეა. ეს „ტენდენცია" გუშინაც გაგრძელდა და ვინც ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" ჩატარებული მატჩს დაესწრო, ნამდვილად არ უნანია: „დინამომ" და „დილამ" გულშემატკივრებს თვალსასეირო ფეხბურთი შესთავაზეს და წყვილში გამარჯვებულის გამოვლენა საპასუხო შეხვედრისათვის „გადადეს". რა თქმა უნდა, უხვგოლიანი თამაში (პლუს, ორივე გუნდის კართან შექმნილი აურაცხელი მომენტი) სასიამოვნო სანახავია, მაგრამ ისიც თვალში საცემი იყო, ფაქტობრივად, მთელი მატჩის განმავლობაში თუ როგორ უპატიებელ შეცდომებს უშვებდნენ „დინამოს" ფეხბურთელები. ეგ კი არა, მასპინძლებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, თამაში მეტ-ნაკლებად მისაღები ანგარიშით რომ დაემთავრებინათ და ამაში, მნიშვნელოვანწილად, **ჩისკოს** საშემსრულებლო ოსტატობას უნდა უმადლოდნენ. ჰო, როგორც იქნა, გამოცდილმა ესპანელმა შემტევმა ის ფეხბურთი უჩვენა (განსაკუთრებით, მეორე ტაიმში), „დინამოს" ფანები რომ ელიან „ვალენსიას" ყოფილი ფეხბურთელისგან. აი, რაც შეეხება „დილას", უკვე მერამდენედ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ ეს გუნდი ამ სეზონის მართლაც აღმოჩენაა და უფრო მეტიც: დღესდღეობით თუ ვინმე თამაშობს ყველაზე საინტერესო და სანახაობრივ ფეხბურთს, სწორედ გორელები არიან.

ბარაქალა ახალგაზრდა მწვრთნელს **გია ცეცაძეს**, ვისი შეგირდებიც ყველა მატჩში ძირითად აქცენტს შემტევ ფეხბურთზე აკეთებენ. ეგ კი არა, სეზონის დაწყებიდან თითქმის ორი თვეა გასული და ყველაზე უკეთესი შეტევითი პოტენციალი სწორედ „დილას" აქვს, — მნიშვნელობა არა აქვს, შინ თამაშობს თუ გარეთ, ან რომელ მეტოქესთან, ყველა შეხვედრაში ამ გუნდის სათამაშო კრედო მხოლოდ და მხოლოდ შეტევაა! ახლაც, ასეთ სოლიდურ მეტოქესთან მატჩში „დილამ" იმდენი სახიფათო მომენტი შექმნა, სხვები ალბათ, ამ ორი თვის განმავლობაში ვერც კი იოცნებებდნენ. თუმცა, ისე არავინ გაიგოს, თითქოს გუშინ „ცალკარას" ვუცქერდით და მთელი შეხვედრა „დილას" საგრძნობი უპირატესობა ჰქონოდეს: „დინამოს" ფეხბურთელებმაც არაერთი ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს და ამ მართლაც თვალსასეირო მატჩში ერთ-ერთ გუნდს რომ მოეგო, არც ეს იქნებოდა მოულოდნელი!

ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა წინა მატჩთან შედარებით თავისი გუნდის შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები განახორციელა: დინამოელთა შორის 7 ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა, სტუმართა რიგებში კი - 4. ეს ამბავი ერთი მხრივ, გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო: ჩემპიონატისა და თასის თამაშები ერთმანეთს „მიეწყო" და **ალექს გარსიამაც** და მისმა ქართველმა კოლეგამაც შემადგენლობის როტაცია, ალბათ, ამიტომ გადაწყვიტეს.

...პირველ ტაიმში ორივე გუნდმა „გახსნილი" ფეხბურთი ითამაშა და ამიტომაც იყო, რომ მომენტი-მომენტს ცვლიდა. პირველი სახიფათო შეტევა სტუმრებისა გამოდგა, როცა **დავით რაყამაშვილის** ჩინებული პასის მერე **პავლე ხორგუაშვილი** შორეულ კუთხეში უმიზნებდა, მაგრამ ბურთი დინამოელთა კარს მცირე მანძილით აცდა. მასპინძელთა „პასუხმაც" არ დააყოვნა: **ჩისკოს** ჯარიმას იაგუეს თავური მოჰყვა, მაგრამ „დინამოს" ცენტრფორვარდის დარტყმა არაზუსტი გამოდგა. თუმცა, დინამოელთა მომდევნო შეტევა შედეგიანიც იყო და ეფექტურიც: **გიორგი კახელიშვილმა** მარცხენა ფლანგზე გარღვევაზე ჩისკო გაიყვანა, ამ უკანასკნელის ზუსტი გამჭოლი გადაცემის შემდეგ კი **ჯაბა ჯილაურმა** ბურთი სტუმართა კარში ზუსტად გადაგზავნა. გაშვებული გოლის შემდეგ „დილამ" უფრო მედგრად შეუტია და რაყამაშვილის მორიგი ჩინებული პასის მერე **დავით ჩაგელიშვილს** თუ ცოტა დააკლდა ანგარიშის გასათანაბრებლად, სამაგიეროდ **ვლადიმერ ჯოჯუა** კარგად გაერკვა მომდევნო შეტევაში და ზუსტადაც დაარტყა. მერე, ისევ ჩაგელიშვილი ურტყამდა შორი მანძილიდან სახიფათოდ — „დინამოს" ახალგაზრდა მეკარემ **თორნიკე ზარქუამ** სულ ბოლო მომენტში შეძლო ბურთის მოგერიება; იგივე განმეორდა იმ ეპიზოდშიც, როცა ამჯერად **გია თოდუა** ცდილობდა შორეული დარტყმით გოლის გატანას. ამ ყველაფერს უკვე დინამოელთა „გამოფხიზლება" მოჰყვა და ისიც უნდა ვთქვათ, რომ იღბალი ამჯერად სტუმართა მხარეს იყო: **გიორგი რეხვიაშვილის** ჩინებული რეიდის მერე ჯილაურის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, ჩისკოს „ერთი შეხებით" შესრულებული კი — ხარიხას! ტაიმის ბოლო წუთებზე კვლავაც აქეთ-იქით შეიქმნა ერთი მეორეზე სახიფათო მომენტები: სტუმართა ეფექტურ კომბინაციას დავით ჩაგელიშვილი აგვირგვინებდა, მაგრამ ბურთი დინამოელთა კარის ძელს მოხვდა; შემდეგ კი **ნიკა კვეკვესკირის** ასაკთან შეუფერებელი დიდოსტატური პასიც ვნახეთ, როცა ჩისკო უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ **ბექა შეყრილაძეს** ვერ აჯობა.

მეორე ტაიმი, პირველთან შედარებით, „მშვიდი" გამოდგა, თუმცა 1-15 წუთი მოედანზე სტუმრები დომინირებდნენ: ჯერ **ვაჟა ნემსაძემ**, შემდეგ კი გია თოდუამ შორეული დარტყმებით სცადეს გოლის გატანა. დინამოელთა ესპანელმა თავკაცმა შეცვლებით სცადა მოედანზე არსებული სიტუაციის გამოსწორება, ზოგიერთ ფეხბურთელს ადგილიც შეუცვალა და ამან, მეტ-ნაკლები შედეგი გამოიღო. ყოველ შემთხვევაში, ჩისკოს ცენტრში „შემოწევის" შემდეგ, როგორც იქნა, ამ ესპანელი ფეხბურთელის შემტევი პოტენციალი ვიხილეთ. განსაკუთრებით კი ზუსტი პასები გვინდა აღვნიშნოთ, ჩისკოს თანაგუნდელები რომ გაჰყავდა დასარტყამ პოზიციაზე, მაგრამ ვერც იაგუემ და ვერც ჯილაურმა ამ შანსით ვერ ისარგებლეს. სამაგიეროდ, ჩინებულად გაისარჯა კახელიშვილი, რომელმაც ჩისკოს მორიგ დიდებულ პასს არანაკლებ ეფექტური გაგრძელება მოუძებნა და... ანგარიშიც გაათანაბრა. უფრო ზუსტად, „დინამო" წაგებისგან იხსნა: მანამდე ხომ დინამოს უკანახაზელთა მორიგი პოზიციური შეცდომით ენერგიულმა დავით ჩაგელიშვილმა ისარგებლა (სხვათა შორის, საგოლე პასი ტყუპისცალისგან, **ლევან ჩაგელიშვილისგან** მიიღო) და „ბასაზე" მართლაც ხმაურიანი სენსაციის სუნიც დატრიალდა...

...„დინამომ" რომ ანგარიში გაათანაბრა, ძირითადი დროის დამთავრებამდე 6 წუთი რჩებოდა და მასპინძლებმა ერთიორჯერ შეუტიეს კიდეც. აი, სტუმართა სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ **ანგარიშის** თავიანთთვის საპატიო და სათასო სპეციფიკიდან გამომდინარე მისაღები ანგარიშის შენარჩუნება კი არ უცდიათ, პირიქით, ორი უმწვავესი შეტევაც განახორციელეს! თანაც, ყველაფერი მსაჯის მიერ დამატებულ 3 წუთში მოხდა, როცა ჯერ გია თოდუა 35 მეტრიდან ცდილობდა მეკარისაგან დაუცველ კარში ბურთის გადაგზავნას, სულ ბოლოს კი, მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელის დავით რაყამაშვილის მორიგი ჩინებული პასის მერე **ნოდარ ნოზაძე** მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ დინამოელები სენსაციურ მარცხს თორნიკე ზარქუამ გადაარჩინა. ისე, გუშინდელი მატჩის შინაარსიდან გამომდინარე, „დილას" გამარჯვება სენსაცია სულაც არ იქნებოდა. აი, „დინამოს" თამაშში კი, ლამის არის, ტურიდან ტურამდე, უამრავი კითხვის ნიშანი ჩნდება...

**გია ტუხაშვილი**

**სხვა მატჩები**

| | |
|---|---|
| ბათუმი-ტორპედო | 0:2 |
| ჭიათურა-ვიტ ჯორჯია | 2:3 |
| ბაია-სიონი | 3:0 |
| ჩიხურა—მეტალურგი | 1:1 |
| სულორი-გაგრა | 1:2 |

# განსხვავებული ტაიმები

28.09.ზესტაფონი. დ. აბაშიძე
1 400 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 2 |
| კოლხეთი | 1 |

1:0 დვალი (18. აფციაურის პასით), 2:0 დვალი (41. წინამძღვრიშვილის პასით), 2:1 ნიქარიშვილი (51. ლემონჯავას პასით)

| ზესტაფონი | კოლხეთი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-1-1 |
| მამალაძე | ბოგლიაშვილი |
| ბენაშვილი | გ. კილასონია |
| კობახიძე | ცხვიტარია |
| სავჩაია | ლომაშვილი |
| ელიავა | ლემონჯავა |
| აფციაური | გულუა |
| გორგიაშვილი | გოგონაია |
| ძარია | ცხადაია |
| სარდალიშვილი | მდივნიშვილი |
| დვალი | ნიქარიშვილი |
| წინამძღვრიშვილი | ციცხვაია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. ქიაბრიშვილი | ს. ფილია |

**ზესტაფონი**

63. აფციაური - **ფიფია**
70. წინამძღვრიშვილი - **ს. ლომია**
76. სარდალიშვილი - **ბაბუნაშვილი**

*სათადარიგოები: კვასხვაძე, გაგოშიძე, ლონლაძე, ჭანკოტაძე*

**კოლხეთი**

46. ცხადაია - **გვალია**
46. ციცხვაია - **ჯანაშია**
73. გოგონაია - **ინწკირველი**

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, კაკულია, , შავგულიძე, ქებაძე*

გაფრთხილება: ციცხვაია (23), დვალი (58), ლომაშვილი (69), გოგონაია (71) ლემონჯავა (85), ფიფია (89)

არბიტრი: ა.კრიჭაშვილი

ჩემპიონატის მეორე ტურში ამ გუნდების დაპირისპირება ბევრისთვის მოულოდნელი შედეგით — 1:1 დასრულდა. ფოთელებმა ფეროელებს გუშინაც მედგარი წინაალმდეგობა გაუწიეს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს. მართალია, სტუმრები საბოლოოდ დამარცხდნენ, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს ისევ ინარჩუნებენ. „კოლხეთს" კვირას მარტვილის „მერანთან პრინციპული საჩემპიონატო შეხვედრა აქვს და, ალბათ, ამის გამო იყო, ზღვისპირელთა გამოცდილმა მწვრთნელმა **სოსო ფილიამ** რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი რომ დაასვენა. ბოლომდე ოპტიმალური არც „ზესტაფონის" შემადგენლობას ეთქმოდა, ფეროელებს სხვადასხვა მიზეზით **ონიანი, გრიგალაშვილი** და **გელაშვილი** არ ჰყავდათ.

შეხვედრის დასაწყისი თანაბარი იყო. **გიორგი ცხადაიამ** ზედიზედ ორი სახიფათო საჯარიმო შეასრულა. პირველი **მამალაძემ** მოიგერია, მეორე კი მიზანს მცირედით ასცდა. ამის შემდეგ მასპინძლებმა იძალეს და **ბობლიაშვილის** კართან სახიფათო მომენტებმაც იმატა. მე-11 წუთზე **დვალს** შეეძლო ანგარიშის გახსნა, თანაგუნდელებმა ის მეკარესთან პირისპირ გაიყვანეს, მაგრამ ზესტაფონელ ფორვარდს ბობლიაშვილმა აჯობა. დვალის მეორე სახიფათო დარტყმისასაც ფოთელთა მეკარემ იმარჯვა, მაგრამ ჯაბას აქტიურობა მალევე დაუფასდა: ზესტაფონელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს, აქტიურმა **ალექსი ბენაშვილმა** ფლანგიდან დვალს ზუსტად ჩააწოდა და მანაც მოხდენილი თავურით გახსნა ანგარიში - 1:0. მასპინძლები კვლავაც უპირატესობას ფლობდნენ და დროდადრო მწვავედაც უტევდნენ, ფოთელები კი კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. **მდივნიშვილმა** ზესტაფონელ მცველებს აართვა ბურთი და საჯარიმოს გარედან დაარტყა, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. მალევე დვალმა **სარდალიშვილი** ბრწყინვალე პასით გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ზესტაფონელთა ახალგაზრდა ნახევარმცველმა ბურთი კარგად ვერ მიიღო და ფოთელები აშკარა გოლს გადაურჩნენ, თუმცა დროებით. ტაიმის ბოლოს **რატი წინამძღვრიშვილმა** ფინტების კასკადს დვალის მისამართით საგოლე გადაცემა მიაყოლა და ჯაბამაც შანსი ხელიდან არ გაუშვა - 2:0.

შესვენების შემდეგ ფილიამ [illegible]აგი ცვლილება განახორციელა, მო[illegible]აზე **ლაშა გვალია** და **ზამირ ჯანაშია** გამოჩნდნენ, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ თამაშში და მატჩის სცენარიც შეიცვალა. ფოთელებმა სახიფათოდ შეუტიეს, მდივნიშვილმა გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯებმა თამაშგარე დააფიქსირეს, თუმცა სტუმართა მორიგი იერიშისას **ლემონჯავამ წიქარიშვილს** გაატანინა და შეხვედრაც უფრო დაიძაბა - 2:1. ზღვისპირელები კვლავ აქტიურად განაგრძობდნენ შეტევებს, ზამირ ჯანაშიამ მდივნიშვილი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი მამალაძის კარს მცირედით ასცდა. ზესტაფონელები ბევრს ეცადნენ, ანგარიში გაეზარდათ. ყველაზე ახლოს მიზანთან კვლავ ჯაბა დვალი იყო. პირველად მისი დარტყმა ძელს მოხვდა, მეორე ჯერზე კი ბურთი ბობლიაშვილმა მოიგერია. ბოლოს ფოთელთაგან ორჯერ მდივნიშვილს მიეცა შანსი, მაგრამ ჯერ მამალაძემ აჯობა მას, მეორე ეპიზოდში კი მეკარე მოატყუა, მაგრამ ცარიელ კარში ველარ გაიტანა.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

# ცოტაა თუ ბევრი ორი?

28.09.მარტვილი. ცენტრალური
600 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მერანი | 2 |
| სპარტაკი | 0 |

1:0 ამბროლაძე (11) , 2:0 ე.გრიგალაშვილი (54)

| მერანი | სპარტაკი |
|---|---|
| 4-1-3-2 | 4-3-2-1 |
| შეროზია | ძაგანია |
| კაკუშაძე | ციმაკურიძე |
| ქვანია | ტეტუნაშვილი |
| იოგაშვილი | დლომაია |
| სუხიაშვილი | ბოიომო |
| დიდავა | თ.შონია |
| მემარნიშვილი | თიბილაშვილი |
| ე. გრიგალაშვილი | ვ.კილასონია |
| ჩალაძე | შალამბერიძე |
| ამბროლაძე | ნ.მაისურაძე |
| ტაპე | ზ.მეტრეველი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ა. ჩხაბერიძე | ვ.ხაჩიძე |

**მერანი**

58. ე. გრიგალაშვილი - **ჭაფოძე**
76. ამბროლაძე - **სამადაშვილი**
81. ტაპე - **ქამუშაძე**

*სათადარიგოები: ტორაძე, შალიკაშვილი, იატრო, შენგელია*

**სპარტაკი**

35. თ. შონია - **რუხაძე**
55. რუხაძე - **ბუზალაძე**
68. ვ. კილასონია - **მამუჩიშვილი**

*სათადარიგოები: დაუშვილი, ბურძენაძე, დეკანოიძე, ქანთარია*

გაფრთხილება: ბოიომო (26), ვ.კილასონია (68), ციმაკურიძე (77)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

მეტოქეებმა თავიდანვე დაბალ ტემპში დაიწყეს თამაში, თუმცა, როგორც ყოველთვის, სხვებზე სწრაფად **სუხიაშვილი** მოძრაობდა და თამაშში ხალისიც შეჰქონდა. გოლი კი მე-11 წუთზე **გიგა ამბროლაძემ** გაიტანა, ის, ფაქტობრივად, ერთი-ერთზე დარჩა მეკარესთან და მახვილი კუთხიდან შანსი არ დაუტოვა **ძაგანიას.**

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე საჯარიმოს მისადგომებთან მასპინძელთა მცველები **რუხაძეს** ეუხეშნენ, ჯარიმა მანვე შეასრულა და მხოლოდ ძელს გამორჩა. საპასუხო შეტევისას ჩინებულად ითამაშა ამბროლაძემ, რომელმაც საჯარიმოს მისადგომებთან მოატყუა სამი მცველი და გადააწოდა **ტაპეს,** რომლის დარტყმული ბურთი **ციმაკურიძეს** მოხვდა და კარს გადასცდა. რამდენიმე წუთში მერანელებმა მაინც გაიტანეს, გოლი **ელგუჯა გრიგალაშვილმა** მიითვალა.

ამის შემდეგ სტუმრებიც გააქტიურდნენ და ჯერ **თიბილაშვილის** შორეული დარტყმა მოიგერია **შეროზიამ,** შემდეგ კი, 61-ე წუთზე **მეტრეველსა** და **კილასონიას** ჰქონდათ რეალური საგოლე შანსი, თუმცა ისევ და ისევ დამაჯერებელი იყო მარტვილელთა ახალგაზრდა მეკარე ჯონი შეროზია, რომელიც ბოლოხანს სტაბილურად თამაშობს.

აღსანიშნავია შეცვლაზე შესული **ჭაფოძის** აქტიურობაც, მან რამდენჯერმე გაამძაფრა თავისიანების შეტევა. **ვლადიმერ ხაჩიძის** შეგირდებს ბოლო წუთებში შეეძლოთ გატანა, მამუჩაშვილმა, მაგალითად, 90-ე წუთზე ძელს გაარტყა ბურთი.

ორბურთიანი ჰანდიკაპი სერიოზული უპირატესობაა "მერანისათვის" განმეორებითი თამაშის წინ, თუმცა არც "სპარტაკია" უშანსოდ.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ორი ფრაის სამი ვაი სერს

## ფერგიუსონი: ბაზელთან 3:3 ჩვენთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს

**ტორსტენ ფინკის „ბაზელს“ „ოლდ ტრეფორდზე“ ისტორიული სენსაციის მოხდენამდე წამები დააკლდა, რამაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი წყობიდან გამოიყვანა; ნეაპოლში ზეიმი შედგა, მოსკოვში კი ლუსიომ კლაუდიო რანიერი ზედიზედ მეორედ გააბედნიერა. ბედნიერი იყო ჰამით ალთინთოფიც, რომელმაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პირველად ითამაშა.**

**ჩემპიონთა ლიგის განცდები და რეაქციები სამშაბათის მატჩების მიმოხილვაში:**

### A ჯგუფი

**ბაიერნი–მანჩესტერ სიტი 2:0**

**გოლები:** 1:0 გომესი (38), 2:0 გომესი (45)
**ბურთის ფლობა:** 54%:46%; **დარტყმები:** 21:10; **კუთხურები:** 3:1
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ფრანკ რიბერი (ბაიერნი)

აუცილებელი სულაც არაა, რომ პირველიდან ბოლო წუთამდე ბრწყინავდე იმისათვის, რომ მატჩის ბედი გადაწყვიტო. დიახ, სწორედ **მარიო გომესს** ვგულისხმობთ, რომელსაც პირველიდან 38-ე წუთამდე არაფერი გაუკეთებია, მერე კი უცებ ორი გოლი გაიტანა და „ბაიერნი“ გამარჯვების გზაზე დააყენა. გომესის პირველ გოლამდე კი „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელები უფრო აქტიურობდნენ და მსაჯი „სიტის“ მიმართ ოდნავ მეტი სიმპათიით რომ ყოფილიყო განმსჭვალული, **რობერტო მანჩინის** გუნდი ორ პენალტს დაარტყამდა: **ჟერომ ბოატენგი** ჯერ **სილვასთან**, მერე კი **რიჩარდსთან** ორთაბრძოლებში არღვევდა წესებს.

მიუხედავად გომესის დუბლისა, შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელი **ფრანკ რიბერი** გახლდათ, რომელმაც ბრწყინვალედ ისასპარეზა და ზემოთ სულ სხვა კონტექსტში ხსენებულ რიჩარდსს სიცოცხლე გაუმწარა.

*„თავიდან ცოტას ვნერვიულობდით, არადა სანერვიულო მართლა არაფერი იყო. არ ვიცი და ვერაფრით ავხსნი, რატომ დავიწყეთ თამაში ასე ცუდად. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩვენი მწვრთნელი ისევ ლუის ვან გაალი რომ ყოფილიყო, შესვენებამდე შემცვლიდა და გოლებს ველარ გავიტანდი. იუპ ჰაინკესმა კი მოედანზე დამტოვა და შედეგიც სახეზეა,“* - თქვა მატჩის შემდეგ გომესმა.

**ნაპოლი–ვილიარეალი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჰამშიკი (15), 2:0 კავანი (17-პენ)
**ბურთის ფლობა:** 48%:52%; **დარტყმები:** 9:19; **კუთხურები:** 2:5
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ესეკილ ლავეცი (ნაპოლი)

ნეაპოლში დიდი ფეხბურთი უდიდესი ზეიმით დაბრუნდა: „ნაპოლიმ“ სამი ქულა აიღო. „ვილიარეალი“ კი ორი ტურის შემდეგ ჯგუფში ბოლო ადგილზეა, თანაც, 0 ქულით. არადა, ესპანელებს „სან პაოლოზე“ ძალიან ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ **ნილმარმა, როსიმ** და **კამუნიასმა მორგან დე სანქტისს** გოლები ვერაფრით გაუტანეს.

**ვალტერ მაძარის** შეგირდები კი მომენტების გამოყენების თვალსაზრისით მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ: ჯერ **მარეკ ჰამშიკმა** გაიტანა, რადგან „ვილიარეალის“ დაცვის ხაზს ჩაეძინა, მერე კი **ედინსონ კავანიმ** გარდასახა პენალტი, რომელიც **გონსალოს** ბრალეულობით დაინიშნა. ტაბლოზე 2:0 მე-17 წუთიდან ენთო, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვილიარეალს“ თამაშის გადასარჩენად საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა, მაგრამ ესპანელები გადამწყვეტ მომენტში სცოდავდნენ.

*„ეს საოცარი სტადიონია, ნეაპოლელი ხალხი კი განსაკუთრებული. ძალიან მაგრები ვართ, მაგრამ თავში არ უნდა აგვივარდეს. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ასე გავაგრძელებთ, ჯგუფიდან აუცილებლად გავალთ,“* - ეს ჰამშიკის სიტყვებია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ნაპოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. მანჩესტერ სიტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 4. ვილიარეალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

### B ჯგუფი

**ცსკა–ინტერი 2:3**

**გოლები:** 0:1 ლუსიო (6), 0:2 პაცინი (23), 1:2 ძაგოევი (45), 2:2 ვაგნერ ლავი (77), 2:3 სარატე (79)
**ბურთის ფლობა:** 57%:43%; **დარტყმები:** 13:14; **კუთხურები:** 7:6
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლუსიო (ინტერი)

როცა **ლუსიო** გოლს იტანს, **რანიერი** თამაშს იგებს! გასულ უქმეებზე, „ინტერის“ ახალი მწვრთნელისთვის სადებიუტო მატჩშიც ბრაზილიელმა მცველმა იხეირა და „ნერაძურიმ“ „ბოლონიას“ 3:1 მოუგო, ახლა კი, ლუსიომ მოსკოვშიც გაიტანა და „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგაში პირველი სამი ქულა აიღო, რაც „ტრაბზონსპორთან“ საკუთარ მოედანზე განცდილი კრახის (0:1) შემდეგ იტალიური გრანდისთვის სავალდებულოზე მეტი იყო.

ცსკა-ს, ისევე, როგორც „ლილთან“, პირველ ტაიმში ამჯერადაც ეძინა, რითაც მილანელებმა ძალიან კარგად ისარგებლეს და 2:0-ს იგებდნენ. სამაგიეროდ, ისევე, როგორც „ლილთან“, **სეიდუ დუმბიამ** და კომპანიამ მეორე ტაიმში მოინდომეს და შედეგიც მოიმკეს: ჯერ **ძაგოევმა**, მერე კი **ვაგნერ ლავმა** მოსკოველები თამაშში დააბრუნეს და ბევრი იფიქრებდა, რომ „ლილთან“ მატჩის ისტორია მეორდებოდა.

ის, რომ „ინტერმა“ თამაში მაინც მოიგო და თანაც, ცოტა არ იყოს, იღბლიანად, **მაურო სარატეს** დამსახურებაა, რომელმაც „ნერაძურის“ მაისურით პირველი გოლი გაიტანა და „ტრაბზონსპორთან“ შერცხვენილ მილანურ გრანდს ჩემპიონთა ლიგაში პირველი სამი ქულა მოუტანა, ცსკა კი ერთი ქულის ამარა დატოვა.

ლუსიო (ინტერი): *„ინტერის“ ფორმით ზედიზედ ორ მატჩში გოლი აქამდე არასდროს გამიტანია. მას მერე, რაც გერმანიიდან წამოვედი, ეს პირველად მოვახერხე. მოსკოვში ძალიან კარგად ვითამაშეთ და დავამტკიცეთ, რომ პირველ ტურში განცდილი კრახი ალოგიკური იყო.“*

**ტრაბზონსპორი–ლილი 1:1**

**გოლები:** 0:1 სოუ (30), 1:1 კოლმანი (75-პენ)
**ბურთის ფლობა:** 55%:45%; **დარტყმები:** 6:7; **კუთხურები:** 2:4
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** გუსტავო კოლმანი (ტრაბზონსპორი)

„ტრაბზონსპორის“ ისტორიაში ჩემპიონთა ლიგის პირველი საშინაო მატჩი ამ გუნდისთვის და მისი ქომაგებისთვის უდიდესი ზეიმი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც – ერთი ეგაა, რომ თურქულმა კლუბმა „ლილს“ ტრაბზონში სამი ქულა ვერ დაატოვებინა, თორემ სხვამ ხრივ ზეიმი შედგა. მეტიც: თურქები სასურველ უპირატესობას ვერ ფლობდნენ. მართალია, ბურთს უმეტესად ტრაბზონელები აკონტროლებდნენ, მაგრამ „ლილის“ კონტრშეტევები ძალიან სახიფათო იყო. თურქები კი ფრანგებს უხეშობებით პასუხობდნენ. ანგარიში **სოუმ ჰაზარდის** ბრწყინვალე პასით გახსნა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა სირბილსაც უმატეს და უხეშობებსაც, გოლი კი მხოლოდ იმიტომ გაიტანეს, რომ **მატიო დებუშის** არ სცოდნია, ბურთის ხელზე შემთხვევით მოხვედრის დროსაც რომ ინიშნება ხოლმე პენალტები. თერთმეტმეტრიანი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა **გუსტავო კოლმანმა** გოლად აქცია, რის შემდეგაც თურქებს კიდევ მიეცათ გოლის გატანისა და თამაშის მოგების შანსი, მაგრამ საბოლოოდ ქულას დაჰყაბულდნენ. თუმცა ორი ტურის შემდეგ თურქული კლუბი ცხრილში მაინც პირველ ადგილზეა...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. ლილი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 4. ცსკა | 2 | 0 | 1 | 1 | 4-5 | 1 |

### C ჯგუფი

**მანჩესტერ იუნ.–ბაზელი 3:3**

**გოლები:** 1:0 უილბეკი (16), 2:0 უილბეკი (17), 2:1 ფ. ფრაი (58), 2:2 ა. ფრაი (60), 2:3 ა. ფრაი (76-პენ), 3:3 იანგი (90)
**ბურთის ფლობა:** 50%:50%; **დარტყმები:** 14:14; **კუთხურები:** 3:3
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ფაბიან ფრაი (ბაზელი)

„ოლდ ტრეფორდი“ ახდენილი ოცნებების სტადიონი კინაღამ „ბაზელისთვის“ გახდა, თუმცა ის, რაც გუშინწინ მანჩესტერში მოხდა, შვეიცარიული კლუბისთვის მაინც ახდენილი ოცნებაა. „ბაზელის“ ფეხბურთელები მანჩესტერში იმ იმედით ჩავიდნენ, რომ კარგად ითამაშებდნენ და დიდი ანგარიშით არ წააგებდნენ და უდიდეს სენსაციამდე წამები დააკლდათ!


ალექს ფრაი მანჩესტერის კარში გატანილ გოლს ზეიმობს

მაგრამ მივყევით თანამიმდევრობით: პირველ ტაიმში შეხვედრის ფავორიტი აშკარად დომინირებდა, მანკუნიანელები სწრაფი გარემარბების, **ეშლი იანგისა** და **ანტონიო ვალენსიას** წყალობით „ბაზელის“ დაცვის ფლანგებს აწიოკებდნენ. მე-16 და მე-17 წუთებზე **რუნის** შემცვლელმა **უილბეკმა** გოლებიც გაიტანა და ერთი სიტყვით, „იუნაიტედის“ გამარჯვება, თანაც სოლიდური ანგარიშით ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს **ფერგიუსონის** ბიჭებმა აღარ მოინდომეს და მართალია, ვერ ვიტყვით, რომ ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ფიქრი, მაგრამ ფაქტია, რომ შეტევაში დიდად აღარ იკბინებოდნენ.

სწორედ მაშინ იგრძნეს შვეიცარიელებმა, რომ თამაში წაგებული არ იყო. მეორე ტაიმში განსაკუთრებით **ალექსანდერ და ფაბიან ფრაიებმა** მოუმატეს, რასაც შედეგიც მოჰყვა: „ბაზელმა“ ხსენებული მოგვარეების გოლებით ანგარიში 2 წუთში გაათანაბრა. 71-ე წუთზე კი ალექს ფრაიმ სულაც მესამედ აიღო „მანჩესტერის“ კარი და „ოლდ ტრეფორდზე“ უდიდესი სენსაციის სუნი დადგა. ცხადია, მანკუნიანელები შვეიცარიელთა საჯარიმოს გადარეულებივით მიაწყდნენ და საბოლოოდ ქულა მაინც გადაარჩინეს, მაგრამ: 2 ქულა 2 ტურის შემდეგ – ფაქტია, რომ ფერგიუსონს ყველაფერი ასე არ ჰქონდა დაგეგმილი.

*„მეორე ტაიმში ზედმეტად მშვიდად ვიყავით, კონცენტრაციის დაკარგვა კი კინაღამ ძვირად დაგვიჯდა. მეტიც: მეორე ტაიმში ყველაფერი ფეხებზე დავიკიდეთ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ კი ეს არ ეკადრება. საბოლოოდ, ერთი ქულისთვისაც კი დაუნდობელი ბრძოლა მოგვიხდა. კარგი მხოლოდ ის არის, რომ ასეთი რამ ახლა დაგვემართა და ეს მატჩი ჩვენთვის ჭკუის სასწავლებელი იქნება. ჩემპიონთა ლიგაში კონცენტრაცია არათუ მთელი 40 წუთით, არამედ ერთი წუთითაც არ უნდა დაკარგო,“* - განრისხებული იყო მატჩის შემდეგ „იუნაიტედის“ თავკაცი.

**ოცელული–ბენფიკა 0:1**

**გოლი:** 0:1 ბრუნო სეზარი (40)
**ბურთის ფლობა:** 35%:65%; **დარტყმები:** 7:16; **კუთხურები:** 1:8
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ბრუნო სეზარი (ბენფიკა)

რუმინელები, რომლებიც ევროტურნირზე 23-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად თამაშობენ, ამ ჯგუფში აუტსაიდერები არიან და სამწუხაროდ, ზუსტად ისე თამაშობენ, როგორც აუტსაიდერს ეკადრება. მართალია, „ოცელული“ თავის მშობლიურ ქალაქში, გალაცში არ თამაშობდა (ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გუნდები ბუქარესტში უნდა მიიღოს), ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ მთელი რუმინეთი ამ გუნდს ქომაგობდა, მაგრამ **დორინელ მუნტეანუს** შეგირდებმა მაინც თავის ნახევარზე ჩაკეტვა გადაწყვიტეს 0:0-იან ქულაზე ოცნებობდნენ.

„ბენფიკას“ ბურთის ფლობისა და კონტროლის უფლება მიეცა, თუმცა ლისაბონელებმა „ოცელულს“ ერთზე მეტი მაინც ვერ გაუტანეს. ამრიგად, ამ ჯგუფში დაძაბულ ბრძოლას „ბენფიკასა“ და „ბაზელს“ შორის ველით და აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პორტუგალიელებმა შეიძლება ინანონ, „ოცელულთან“ გასვლით მატჩში 1:0-ზე უკეთესი სხვაობა რომ ვერ დააფიქსირეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 2. ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. მანჩესტერ იუნ. | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 4. ოცელული | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

### D ჯგუფი

**ლიონი–დინამო (ზ) 2:0**

**გოლები:** 1:0 გომისი (23), 2:0 ბაკარი კონე (42)
**ბურთის ფლობა:** 54%:46%; **დარტყმები:** 18:9; **კუთხურები:** 5:4
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კლემენ გრენიე (ლიონი)

„ლიონის“ ფეხბურთელებმა ყურადღება პირველ რიგში იმის გამო მიიქციეს, რომ ახალი, ვარდისფერი ფორმები ეცვათ. რაც შეეხება თამაშს: თამამად უნდა ვთქვათ, რომ ფრანგებმა ხორვატებს მოედანზე არაფერი გააბედვინეს. „ლიონი“ თავიდანვე დომინირებდა, პირველივე ტაიმი დამაჯერებლად მოიგო და მეორე ნახევარში ანგარიში ისე შეინარჩუნა, ზაგრების „დინამოს“ ფეხბურთელებს ერთხელაც არ გაუჩნდებოდათ იმის იმედი, რომ ქულას მაინც გადაარჩენდნენ. მოკლედ, „ლიონმა“ „დინამოსთან“ მოგებით საშინაო დავალება უნაკლოდ შეასრულა.

**რეალი–აიაქსი 3:0**

**გოლები:** რონალდო (25), 2:0 კაკა (41), 3:0 ბენზემა (49)
**ბურთის ფლობა:** 48%:52%; **დარტყმები:** 12:11; **კუთხურები:** 1:6
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კაკა (რეალი)

**ჟოზე მოურინიო** წინა სეზონიდან გადმოყოლილი დისკვალიფიკაციის გამო „რეალის“ თამაშს ისევ ვერ დაესწრო (სხვათა შორის, ამ მატჩით დისკვალიფიკაცია ამოეწურა კიდეც), მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ ჟოზემ ტელევიზორთანაც მაგრად ისიამოვნა.

ჯერ ერთი, „სამეფო გუნდმა“ მორიგი სამი ქულა აიღო და მადრიდელებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ (ნერვიულობა არც ადრე ეტყობოდათ, მაგრამ მაინც) და მეორე მხრივ, „რეალის“ ორმა ფეხბურთელმა დაამტკიცა, რომ მოედანზე ერთად ყოფნის დროს ერთმანეთს ხელს კი არ უშლიან, პირიქით, ჰარმონიულად კომბინირებენ. საუბარია **კაკასა** და **მესუთ იოზილზე**. ბრაზილიელმა და გერმანელმა ერთად მიხედეს ფლეიმეიქინგს და **კრიშტიანო რონალდოსთანაც** მშვენიერ კომბინაციებს ათამაშებდნენ. „აიაქსი“ თავიდან მართლა ნორმალურად თამაშობდა, ახალგაზრდა **კრისტიან ერიკსენმა** დაამტკიცა, რომ მართლა ნიჭიერი ფეხბურთელია და შეუძლია, დიდი ვარსკვლავი გახდეს, მაგრამ მეტი არც არაფერი: საბოლოო ჯამში „რეალმა“ მარტივად მოიგო.

მეორე ტაიმში ჩასანიშნი ბევრი არაფერი მომხდარა: ცხადია, უნდა აღინიშნოს **ქარიმ ბენზემას** გოლი და ამასთან ერთად ის, რომ „რეალში“ **ჰამით ალთინთოფის** დებიუტი შედგა. ამ უკანასკნელს მადრიდელთა რიგებში მანამდე ამხანაგურ მატჩშიც კი არ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, რადგან „ბაიერნიდან“ მადრიდში გადასვლის შემდეგ, ტრავმირებული იყო. ახლა კი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ცოტა ირბინა და ამითაც მაგრად გაიხარა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ლიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 3. აიაქსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 4. დინამო (ზ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

სკანდალი

## ბრენო: მეხუთე დღე ციხეში


ბრენოს აი, ამ საკანში აყურყუტებენ

მაინც რა მოხდა იმ ღამეს, როცა „ბაიერნის“ ბრაზილიელი მცველის, **ბრენოს** ვილა (გრიუნვალდში) დაიფერფლა? ამ შემთხვევის შემდეგ 9 დღე გავიდა, გამოძიება მიმდინარეობს, 21 წლის მცველი კი ციხეში ზის. შეგახსენებთ: თავიდან გაჩნდა ეჭვი, რომ ბრენო სადაზღვევო კომპანიის გაბითურებას ცდილობდა, ახლა კი ახალი დეტალები ირკვევა. გუშინწინ გაირკვა, რომ სანამ მიუნხენური გრანდის ახალგაზრდა ფეხბურთელის ვილას ცეცხლი წაეკიდებოდა, სახლში სერიოზული სკანდალი მოხდა. „ბილდის“ ინფორმაციით, ჩხუბის შემდეგ ფეხბურთელის ცოლი **რენატა**, სამი შვილი და კიდევ ერთი ბრაზილიელი სტუმარი, რომელიც ვილაში დროებით იმყოფებოდა, სახლიდან გაიქცნენ და ფეხბურთელი მარტო დატოვეს. „ზიუდდოიჩე ცაითუნგი“ იტყობინება, რომ როცა ცეცხლმოკიდებულ სახლში პოლიციისა და სამაშველო რაზმის პერსონალი შევიდა, გაოგნებულ ბრენოს მათთვის უკითხავს, რა ხდება, ხომ არ მაპატიმრებთო. იმ დროს ბრენო მთვრალი იყო.

ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, რომ ბრენოს ფინანსური პრობლემები აქვს. რაკი ბრაზილიელი რამდენიმე თვეა, ტრავმირებულია, სრულ ხელფასს ველარ იღებს და ახლა მისი შემოსავალი ყოველთვიურად 5 786 ევროს შეადგენს. გაირკვა ისიც, რომ ბრენოს სამედიცინო დაზღვევა არ აქვს, რის გამოც მკურნალობის ხარჯებს თავად იხდის. გამოძიებამ გადამწვარ ვილაში ვერ აღმოაჩინა ცეცხლის სპეციალურად წაკიდების მტკიცებულებები და დიდი შანსია, რომ ბრენო მალე გაათავისუფლონ.

მეხუთე დღეა, რაც ბრაზილიელი ციხეში ზის. მისი საკანი 24 კვადრატული მეტრია და ოთხი კაცისთვისაა განკუთვნილი..

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## უცხოური ფეხბურთი

### ჩემპიონთა ლიგა. II ტური



ლევერკუზენი-გენკი

#### E ჯგუფი

**ვალენსია-ჩელსი 1:1**

**ვალენსია (4-2-3-1):** დ. ალვეში - მიგელი, რამი, რუისი, ალბა - ბანეგა (73. ჟონასი), ალბელდა - პ. ერნანდესი (73. ფეგული), კანალესი, მატიო (59. პიატი) - სოლდადო.

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი - ბოსინგვა, ლუიზი, ტერი, კოული - რამირესი (66. მეირელეში), მიკელი, ლამპარდი (83. კალუ) - მალუდა, ტორესი (72. ანელკა), მატა.

**გოლები:** 0:1 ლამპარდი (56), 1:1 სოლდადო (87-პენ)

**გაფრთხილება:** ალბელდა, რუისი - კალუ, მალუდა, ე. კოული, მატა

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 9-9; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12-8 (7-8); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 33 800

**ლევერკუზენი-გენკი 2:0**

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო - კასტრო, რაინარცი, ტოპრაკი, კადლეცი (80. ბალაკი) - როლფესი, ბენდერი - სამი, აუგუსტო (65. ბალიტში), შიურლე - კისლინგი (90. დერდიოკი).

**გენკი (4-3-1-2):** კოტელესი - ნგჩონგჩა, სიმაეისი, ნადსონი (69. ჰილანდი), პუდილი - ბუფელი, ჰუბერტი (78. ნვანგანგა), დე ბრუინი - ტოტცერი - ოგუნჯიმი, ვოსენი (46. ბეენი).

**გოლები:** 1:0 ბენდერი (30), 2:0 ბალაკი (90)

**გაფრთხილება:** კადლეცი, ტოპრაკი - ნადსონი, პუდილი

**კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 15-8 (5-5); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 25 100

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. ვალენსია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. გენკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

#### F ჯგუფი

**არსენალი-ოლიმპიაკოსი 2:1**

**არსენალი (4-3-3):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, სონგი, სანტოსი - როსიცკი, არტეტა, ფრიმპონგი - ჩემბერლენი (67. რემზი), შამახი (71. ვან პერსი), არშავანი (82. გიბსი).

**ოლიმპიაკოსი (4-2-3-1):** კოსტანცო - ტოროსიდისი, მელბერგი, მარკანო, ჰოლებასი - ფეისა, ორბაისი (75. მოდესტო) - ფუსტერი (79. პანტელიჩი), იბაგასა, მირალიაში (75. აბდუნი) - ჯებური.

**გოლები:** 1:0 ჩემბერლენი (8), 2:0 სანტოსი (20), 2:1 ფუსტერი (27)

**გაფრთხილება:** არტეტა, როსიცკი - ჯებური, ჰოლებასი, ფუსტერი

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 7-12 (5-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 50 000

**მარსელი-დორტმუნდი 3:0**

**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა - ასპილიკუეტა, დიავარა, ნკულუ, მორელი - დიარა, კაბორე - ვალბუენა, ლ. გონსალესი (73. ამალფიტანო), დ. აეუ (89. საბო) - რემი (72. ჯ. აეუ).

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩაკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ბენდერი, კელი - გიოტცე, კაგავა (63. ბლაშჩიკოვსკი), გროსკროიცი (63. პერიშიჩი) - ლევანდოვსკი (72. ბარიოსი).

**გოლები:** 1:0 დ. აეუ (20), 2:0 რემი (62), 3:0 დ. აეუ (69-პენ)

**გაფრთხილება:** მორელი, ჯ. აეუ - ჰუმელსი

**გაძევება:** ჯ. აეუ (90)

**კუთხური:** 4-11; **ჯარიმა:** 10-6; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 7-13 (5-7); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. დორტმუნდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 4. ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

#### G ჯგუფი

**ზენიტი-პორტუ 3:1**

**ზენიტი (4-4-2):** მალაფეევი - ანიუკოვი, კრიშიტო, ლომბაერტსი, ჰუბოჩანი - შიროკოვი, დენისოვი, ფაიზულინი, ზირიანოვი (86. ჰუსტი) - დანი, კერჟაკოვი (90. ბუხაროვი).

**პორტუ (4-4-2):** ელტონი - ფუსილე, როლანდო, ოტამენდი, ა. პერეირა - ბელუში (73. დეფური), ფერნანდო, ჯ. როდრიგესი (46. სოუზა), ჟოაო მოუტინიო - კლებერი (33. ვარელა), ჰალკი.

**გოლები:** 0:1 როდრიგესი (10), 1:1 შიროკოვი (20), 2:1 შიროკოვი (63), 3:1 დანი (72)

**გაფრთხილება:** ჰუბოჩანი - ფუსილე, ოტამენდი, ბელუში

**გაძევება:** ფუსილე (45)

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 16-8 (6-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 21 450

**შახტარი-აპოელ 1:1**

**შახტარი (4-2-3-1):** რიბკა - სრნა, ჩიჟოვი, კუჩერი, რაცი - მხითარიანი, ჰუბშმანი - ტეიშეირა (65. დუგლასი), ჟადსონი (81. ედუარდო), ვილიანი - ლუიზ ადრიანო (76. სელეზნევი).

**აპოელ (4-1-4-1):** ქიოტისი - პურსაიტიდისი, პაულო ჟორჟე, ოლივეირა, ბოავენტურა - იაჰიჩი (58. მარსინიო) - ტრიჩკოვსკი, პინტო, მორაიში, მანდუკა (6. ხარალამბიდისი), ალმეიდა.

**გოლები:** 0:1 ტრიჩკოვსკი (62), 1:1 ჟადსონი (64)

**გაფრთხილება:** ჩიჟოვი, რაცი - პინტო, მარსინიო

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 11-10; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 19-3 (8-3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 47 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აპოელ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 2. ზენიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 3. პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 4. შახტარი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

#### H ჯგუფი

**ბატე-ბარსელონა 0:5**

**ბატე (4-2-3-1):** გუტორი - ვოლოდკო, ფილიპენკო, შიმიჩი, ბორდაჩოვი - ოლეხნოვიჩი, რუდიკი (60. ალეკსიანი) - კონცევოი, ბაგა, რენანი (82. კურლოვიჩი) - კეჟმანი (57. სკავიში).

**ბარსელონა (3-4-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, აბიდალი (61. ადრიანო) - ჩაბი (59. ფაბრეგასი), ტ. ალკანტარა, მასკერანო, კეიტა - პედრო (69. მაქსველი), მესი, ვილია.

**გოლები:** 0:1 ვოლოდკო (19 ს.კ.), 0:2 პედრო (22), 0:3 მესი (38), 0:4 მესი (56), 0:5 ვილია (90)

**გაფრთხილება:** შიმიჩი - ალვეში

**კუთხური:** 1-11; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 5-22 (1-14); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 33 000

**მილანი-პლზენი 2:0**

**მილანი (4-1-3-2):** აბიატი - აბატე (87. დე სილიო), ნესტა, ტიაგო სილვა, ანტონინი (78. ტაივო) - ვან ბომელი - ნოჩერინო, ემანუელსონი, ზეედორფი (70. აკვილანი) - კასანო, იბრაჰიმოვიჩი.

**პლზენი (4-2-3-1):** ჩეხი - რაიტორალი, ბისტრონი, ჩიშოვსკი, ლიმბერსკი - ჟირაჩეკი, ჰორვატი - პეტრჟელა, კოლარი (90. დარიდა), პილარი (75. ფილიო) - ბაკოში (67. დურიში).

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (53-პენ), 2:0 კასანო (66)

**გაფრთხილება:** ჩეხი, ჩიშოვსკი, ჰორვატი, პეტრჟელა

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 13-10 (7-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 38 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 7-2 | 4 |
| 2. მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 3. პლზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 4. ბატე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |

### მოსაზრება

# საკის ჩაგდებული ინიციატივა

## აბეტემ არიგოს იდეა დაბლოკა

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ყრილობამ, რომლის რიგითობაც ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა და აპენინური სპორტული პრესის დიდი ყურადღება მიიპყრო. სხდომაზე საპატიო სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული არიგო საკი, რომელიც საინტერესო ინიციატივით გამოვიდა. მაინც ავღნიშნოთ, რომ საკი იტალიური სამწვრთნელო სკოლის ერთ-ერთი წარმატებული წარმომადგენელია, თავის დროზე „მილანთან" ერთად აბსოლუტურად ყველაფერი მოიგო, იტალიის ეროვნული ნაკრები კი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, სადაც ბრაზილიის უმთავრეს გუნდთან დამარცხდა თერთმეტმეტრიანების სერიაში. ერთი სიტყვით, სენიორ არიგოს სიტყვას დიდი წონა აქვს და აქვე, შეგვიძლია მის ინიციატივას გავეცნოთ... მაშ ასე,



არიგო საკი

### არიგო საკის ინიციატივა

*„ამის შესახებ ადრეც განვაცხადე, თუმცა პირველად მომეცა საშუალება, რომ იდეა ინიციატივის დონეზე წამოვაყენო. ჩემი აზრით, იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების დაკარგვაა. ამის უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ სერია A-ში ლეგიონერთა რიცხვი ძალიან დიდია, ადგილობრივ მოთამაშეებს კი შესაძლებლობების წარმოჩენა უჭირთ. ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესება ამ ეტაპზე გამორიცხულია, ამიტომ, ვითარების გამოსასწორებლად სხვა გზა უნდა ავირჩიოთ. კარგი იქნება თუ ესპანეთში აპრობირებულ მეთოდს დავნერგავთ და სერია B-ში პროფესიული კლუბების B გუნდებსაც მიეცემათ ასპარეზობის საშუალება - მხოლოდ იმ პრინციპით, რომ წარმატების შემთხვევაშიც კი, ელიტარულ დივიზიონში გადასვლის უფლება არ ექნებათ. შესაბამისად, იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომლებიც გრანდების ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან, იჯარით არ მოუწევთ სხვა გუნდებში ასპარეზობა, სადაც მათთვის უცხო გარემოში ხვდებიან და შესაძლებლობების წარმოჩენა უჭირთ; ითამაშებენ მშობლიურ გარემოში, საკუთარ გუნდში და თანაც საკმაოდ მაღალ დონეზე. ეს სისტემა ესპანეთში შესანიშნავად მუშაობს და დიდწილად განაპირობა ის, რომ პირენეებზე ბოლო წლებში უამრავი უნიჭიერესი ფეხბურთელი წარმოჩნდა".*

### ჯანკარლო აბეტე არიგო საკის ინიციატივის შესახებ

არიგო საკის ინიციატივას ბევრი უჭერს მხარს, მაგრამ ჯერჯერობით, მათ რიცხვში არ გახლავთ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ჯანკარლო აბეტე**, რომლის პოზიციასაც აქვე გაგაცნობთ:

*„საკის მიმართ ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ხსენებულ სისტემას ერთი დიდი მინუსი აქვს, რომელზეც აუცილებლად გვმართებს დაფიქრება. გრანდებს და დანარჩენ გუნდებს შორის დიდი განსხვავებაა, მათ ორი და სამი გუნდის თანაბრად კარგად დაკომპლექტება ძალუძთ, ამან კი შეიძლება ის გამოიწვიოს, რომ სერია B-ს ნახევარი B გუნდებმა დააკოპლექტონ. ასეთ შემთხვევაში, მეორე დივიზიონში მოასპარეზე გუნდები შევიწროვდებიან და პროფესიულ დონეს იტალიის ბევრი დიდი თუ პატარა ქალაქი გამოემშვიდობება. ანუ, ამით ისევ და ისევ გრანდების წისქვილზე დავასხამთ წყალს, პატარა გუნდები კი დაიჩაგრებიან".*

### აბეტე ინფრასტრუქტურაზე

აბეტეს პოზიციას ყრილობის დელეგატთა უმრავლ.ესობამ დაუჭირა მხარი და ამ ეტაპზე, საკითხის განხილვა და შესაბამისად, კენჭისყრაზე დაყენება გადაიდო. აბეტემ კიდევ ერთხელ აიღო სიტყვა და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ისაუბრა:

*„გამოსავალი ისევ და ისევ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაშია და ამის შესახებ უკვე დიდი ხანია ვლაპარაკობ. ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზური გერმანიამ აგვართვა, მათი წარმატების მთავარი საიდუმლო კი განვითარებული ინფრასტრუქტურაა. გერმანულმა საკლუბო ფეხბურთმა მას შემდეგ დაიწყო პროგრესი, რაც იქ მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა. მართალია, ჩვენთან დიდი საფეხბურთო ფორუმი უახლოეს მომავალში არ გაიმართება, მაგრამ ჩვენი ძალებით უნდა ვეცადოთ და ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად განვავითაროთ. ეს მხოლოდ სტადიონებს არ ეხება, საწვრთნელი ბაზები და საბავშვო მოედნები გაცილებით უკეთეს მოვლას საჭიროებს".*

**ლაშა წიკლაური**

### რომა

# დი ბენედეტო რომას პრეზიდენტია

**ტომას დი ბენედეტომ** რომ „რომას" აქციათა უმრავლესობა შეიძინა, ჯერ კიდევ ზაფხულის ამბავია. შესაბამისად, იტალიური წარმოშობის ამერიკელი ბიზნესმენი ჯერ კიდევ აგვისტოში გახდა კლუბის საკონტროლო პაკეტის მფლობელი - გუშინ კი ის „ჯალოროსის" პრეზიდენტად აირჩიეს, რაც იმას ნიშნავს, რომ საკლუბო საქმეებს უშუალოდ წარუძღვება. „რომას" საპრეზიდენტო პოსტი დი ბენედეტომ საზეიმო ვითარებაში დაიკავა და საკმაოდ ვრცელი სიტყვაც წარმოთქვა:

*მეამაყება, რომ ისეთი დიდი კლუბის პრეზიდენტი მქვია, როგორიც „რომაა". იცით, რომ დიდი მიზნებით ვარ მოსული და მათ მისაღწევად ძალ-ღონეს არ დავიშურებ. ყველანაირი რესურსი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში კლუბი განვითარების ახალ ეტაპზე ავიდეს და მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საყვარელი გუნდით გულშემატკივრებმა იამაყონ. მიმდინარე სეზონი მძიმედ დავიწყეთ, მაგრამ ამას არ შევუშინებივარ - პირიქით, ენთუზიაზმით ვარ ალსავსე და მსურს, ძალიან მალე შეიცვალოს ვითარება. თუმცა, კარგად მესმის, რომ ამისთვის მხოლოდ სურვილი არ კმარა და მოქმედებაა საჭირო. იცით ისიც, რომ ამ ზაფხულს ფეხბურთელებში ფული არ დაგვნანებია, ასე იქნება ზამთრის სატრანსფერო პერიოდშიც".*

ტომას დი ბენედეტოს **ლუის ენრიკეს** შესახებაც მოუხდა საუბარი: *„იოლი არ არის, როდესაც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიხარ და შენგან მყისიერად ითხოვენ დადებით შედეგს. ესპანელსაც გაუჭირდა სტარტზე, მაგრამ რაც მთავარია, ჩვენ მას ბოლომდე ვენდობით და საკმარისი დრო ექნება საიმისოდ, რომ შესაძლებლობები სრულად წარმოაჩინოს. კარგად ვიცი, რა ფილოსოფიას ნერგავს ენრიკე „რომაში" და ერთი სული მაქვს, როდის აისახება ეს მოედანზე. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ახალგაზრდა სპეციალისტს ის გულშემატკივრებიც შეიყვარებენ, რომლებიც დღეს სკეპტიკურად არიან განწყობილნი".*

**ლაშა წიკლაური**

### იუვენტუსი



ჯორჯო კიელინი

# კიელინის კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა

„იუვენტუსმა" ბოლო ორ შეხვედრაში შესაძლებელი ექვსი ქულიდან მხოლოდ ორი აიღო, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტურინული გრანდი კრიტიკის ქარ-ცეცხლში თუ არა, რაღაც მსგავსში მაინც გახვეულიყო. განსაკუთრებული წნეხის ქვეშ **ჯორჯო კიელინი** გახლავთ მოქცეული, რომელმაც ორ შეხვედრაში უამრავი შეცდომა დაუშვა და ბრალიც მიუძღოდა გაშვებულ გოლებში. არადა, კიელინი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და აქამდე, კრიტიკას არ იყო ჩვეული. თავად ჯორჯო ჟურნალისტებთან არ გამოჩენილა, სამაგიეროდ, მისი აგენტის, **დავიდე ლიპის** პირით შეუთვალა მედიას, ზედმეტებში ნუ გადადიხართო. მოვუსმინოთ დავიდეს:

*„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვიღაცას ძალიან უნდა „იუვეს" ბოლოდროინდელი წარუმატებლობები მთლიანად ერთ ფეხბურთელს მიაწეროს. ვეთანხმები იმ აზრს, რომ განვლილ ორ პაექრობაში „ბიანკონერის" დაცვა ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ ყველაფრის კიელინიზე გადაბრალება აშკარად მეტისმეტია. ჯორჯოს თავი არ დაუზოგავს და რიგ ეპიზოდებში ბრწყინვალედაც გაისარჯა, შეცდომა კი აბსოლუტურად ყველას შეიძლება მოუვიდეს. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ეს გადამეტებული კრიტიკა შეწყდება და ჯორჯოს მშვიდად ვარჯიშის საშუალებას მივცემთ".*

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მანჩესტერ სიტი



## რობერტო მანჩინი: ტევესი სიტიში აღარ ითამაშებს

### რა მოხდა მანჩესტერელების სათადარიგოთა სკამზე?

**რობერტო მანჩინიმ კარლოს ტევესს** გამოუცხადა, რომ ის „მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში ველარასოდეს ითამაშებს — მიუნხენში გამართულ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, რომელშიც ისტლენდელები „ბაიერნთან" 0:2 დამარცხდნენ, 27 წლის არგენტინელმა მოედანზე შესვლაზე უარი განაცხადა. მან სათადარიგოობა იუკადრისა.

მანჩინიმ ტევესის საქმეში ჩართვა მაშინ გადაწყვიტა, როდესაც ანგარიში უკვე 2:0 იყო გერმანული გუნდის სასარგებლოდ. შეგახსენებთ, რომ ორივე გოლი **მარიო გომესმა** გაიტანა. მანჩესტერელთა იტალიელი თავკაცი სახტად დარჩა, როდესაც მისი გუნდის შარშანდელმა ლიდერმა კატეგორიულად გამოუცხადა, რომ თამაშს არ აპირებდა. ტევესთან დაპირისპირება აშკარად გამოჩნდა ტელეეკრანებზეც, მოგვიანებით კი „სიტის" თავკაცმა განაცხადა:

*„ჩემი პრინციპების თანახმად, თუ ფეხბურთელი, რომელიც „მანჩესტერ სიტიში" თამაშობს და მაღალ ხელფასს იღებს, არც მეტი, არც ნაკლები ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ასეთ რამეს აკეთებს, „სიტის" მაისურის ჩაცმის ღირსი აღარ არის. მე ტევესს ბოლო ორი წლის განმავლობაში ვეხმარებოდი და სანაცვლოდ ასეთ საქციელს ვერ მივიღებ. ჩემთვის მისი ამბავი დამთავრებულია. მასთან ერთად ველარასოდეს ვიმუშავებ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ როდესაც მე გადაწყვეტილებას ვიღებ და მის შესახებ ხმამაღლა ვაცხადებ, ვერავინ ველარაფერს შეცვლის.*

*როგორ, კაცი, რომელსაც ამდენ რამეში დავეხმარე, მოედანზე გასვლაზე უარის თქმას მიბედავს? ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ ასეთი რამ წარმოსადგენი და დასაშვებია? როგორ ფიქრობთ, ასე მოქცევას „მილანში" ან „მანჩესტერ იუნაიტედში" ვინმე გაბედავდა? მოკლედ, მე მწვრთნელი ვარ, გადაწყვეტილებების მიღება მევალება და ჩემი გადაწყვეტილება ასეთია: კარლოს ტევესი ჩემს გუნდში ველარასოდეს ითამაშებს! მე ძალიან უკმაყოფილო და გაბრაზებული ვარ. უახლოეს დღეებში კლუბის თავმჯდომარე ხალდუნს დაველაპარაკები. ის თავმჯდომარეა და ვალდებული ვარ, ასეთი გადაწყვეტილებები მას შევუთანხმო".*

გეხსომებათ, რომ მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც მანჩინიმ ცენტრალური თავდამსხმელი **ედინ ჯეკო** ნახევარმცველ **ნაიჯელ დე იონგით** შეცვალა. ამ შეცვლამ ჯეკოც გააბრაზა და მწვრთნელთან მასაც მოუვიდა „მკვახე" შელაპარაკება - ჯერ იყო და სათადარიგოთა სკამს სარკასტულად აღმართული ცერა თითი აჩვენა, აქაოდა, ყოჩაღ ასეთი ცვლილება რომ მოიფიქრეთო. შემდეგ მაისურა და ბუცები დაახეთქა. ტევესმა კი, როგორც ჩანს, როდესაც დაინახა, რომ ჯეკოს შეცვლას უპირებდნენ, იფიქრა, მის ნაცვლად მოედანზე მე შემიშვებენო, მაგრამ ასე არ მოხდა. მწვრთნელს, თურმე, ათი წუთის შემდეგ კიდევ ერთი ცვლილება ჰქონდა ჩაფიქრებული.

*„პირველი ცვლილება იმისთვის მჭირდებოდა, რომ „ბაიერნს" მესამეც არ გაეტანა. თამაშის დამთავრებამდე ჯერ კიდევ რჩებოდა 40 წუთი. ამ ცვლილებიდან ათი წუთის შემდეგ კი კარლოსისთვის მოედანზე შესვლის ზედგამოჭრილი დრო იყო. მე მას გახურება ვთხოვე, მან კი უარი მითხრა. როგორ უნდა განვითარდეს გუნდი თუ კარლოსის დონის ფეხბურთელები ასე მოიქცევიან?"*

კომენტარი სთხოვეს თავად ტევესსაც. მან თქვა: *„მე ვერ ვიგრძენი, რომ ჩემი მოედანზე გასვლა სწორი და საჭირო იყო. ამიტომაც განვაცხადე უარი. მე „მანჩესტერ სიტისთვის" ყოველთვის მაქსიმუმს ვაკეთებ. გასულ სეზონში საუკეთესო ბომბარდირი ვიყავი. თუ მანჩინის ჩემი თამაში აღარ უნდა, ეს მისი საქმეა".*

ახლა, როდესაც მანჩინიმ გადაწყვეტილება მიიღო და საჯაროდაც გამოაცხადა, ივარჯიშებს ტევესი გუნდთან ერთად თუ მწვრთნელი სამუშაო პროცესთან მიკარებას აუკრძალავს, უცნობია. იტალიელმა პრესკონფერენციაზე ამ კითხვას პასუხი არ გასცა. სავარაუდოდ, ტევესს იანვარში, სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე გაყიდიან, თუმცა კლუბიდან გამოვიდა ხმა, რომ მწვრთნელთა შტაბი ყველა ღონეს იხმარს, რათა უახლოეს დღეებში მანჩინის დაელაპარაკოს, დაამშვიდოს და გადაწყვეტილება შეაცვლევინოს.

მანჩინიმ ჯეკოს შესახებაც თქვა ორიოდ სიტყვა: *„მან მოედანი თავის ქნევით დატოვა. მერწმუნეთ, ეს ბოლო შემთხვევაა, როდესაც ფეხბურთელი „მანჩესტერ სიტიში" ასეთ რამეს ბედავს. აქ მე ვარ მწვრთნელი და ვინ როდის უნდა შევცვალო ჩემი გადასაწყვეტია. რასაკვირველია, ხანდახან მეც მეშლება, მაგრამ ეს ჩემი პრობლემაა და საკუთარ შეცდომებზე პასუხს მე ვაგებ. ედინზე კი იმას მოგახსენებთ, რომ მან ძალიან ცუდად ითამაშა და ალბათ ამის გამო იყო უკმაყოფილო. კარგი იქნება დასკვნებს თუ გამოიტანს და მომავალში უკეთ ითამაშებს. ყველაფერი მარტივადაა: თუ ჯეკო ძველებურ ფორმას აღიდგენს, მოედანზე იქნება, თუ არა და სათადარიგოთა სკამზე დაჯდება. ჩვენ ყოველ სამ დღეში ერთხელ მატჩი გვაქვს და წარმოუდგენელია, ერთმა და იმავე ფეხბურთელებმა ასეთ დატვირთვას სრულად გაუძლონ".*

● არსენალი

## ვენგერი არ ღელავს



ბოლო დროს დიდი ხმაური გამოიწვია „არსენალის" ჰოლანდიელი თავდამსხმელის, 28 წლის **რობინ ვან პერსის** განცხადებამ, რომ „მეთოფეებთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. მოგეხსენებათ, ფორვარდს, რომელმაც ბოლო ტურში, ჩრდილოლონდონელთა შემადგენლობაში თავისი მეასე გოლი გაიტანა და ამ სეზონში გუნდის კაპიტნადაც დანიშნეს, მოქმედი ხელშეკრულების თანახმად „ემირეით სთედიუმზე" კიდევ ორი წელიწადის გატარება მართებს. ეს ამბავი „არსენალის" ფრანგ თავკაც **არსენ ვენგერს** ამშვიდებს, თუმცა ფეხბურთელი პირობას არ დებს, რომ მომავალშიც „მეთოფე" იქნება. ასეთი რამ კი კლუბს, რომელმაც გასულ ზაფხულს ორი წამყვანი ფეხბურთელი, **სესკ ფაბრეგასი** და **სამირ ნასრი** გაუშვა, ძალიან აშინებს და აფორიაქებს.

*„მოდი, პატივი ვცეთ ვან პერსის კონტრაქტს, სადაც წერია, რომ ის „არსენალში" კიდევ ორ წელიწადს დარჩება. ორი წელიწადი ფეხბურთში ძალიან, ძალიან დიდი დროა — თქვა ვენგერმა — ჩვენი მხრივ, კლუბის წარმომადგენლებს ძალიან მკაფიო პოზიცია გვაქვს, ასე რომ საგანგაშო არაფერია. დღეს, ხმაურის ატეხა იმის გამო, რომ ვან პერსი ორი წლის შემდგომ გეგმაზე ვერაფერს ამბობს, სწორი არ არის".*

*რაც შეეხება ჰოლანდიელის თამაშს, გეტყვით, რომ მე მისგან ყოველთვის მაღალი დონის ფეხბურთს ველოდები და ისიც იმედს მიმართლებს. რობინი თანაგუნდელებს შესანიშნავად უგებს, მათთან მოედანზეც შეწყობილია და მოედნის მიღმაც. დახედეთ სტატისტიკურ მონაცემებს: ვან პერსიმ 26 შეხვედრაში 31 გოლი გაიტანა. არ დაგიმალავთ, მე რობინ ვან პერსისგან ძალიან ბევრს ვითხოვ და მიხარია, რომ ის ჩემს მოთხოვნას გაგებით ეკიდება".*

● ჩელსი

## ფრენკი კიდევ გაბრწყინდება



„ჩელსის" ახალი მწვრთნელი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** ამბობს, რომ **ფრენკ ლემპარდი** მომდევნო წლებში ვარსკვლავურ ფეხბურთს ითამაშებს. საინტერესო ფაქტია: ვილაშ-ბოაში და ლემპარდი ტოლები არიან. რაც შეეხება პორტუგალიელი თავკაცის ნათქვამს, მისი ლაიტმოტივი გასაგებია — ვილაშ-ბოაში გუნდში სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობს. ბოლო ხანს დაირხა ხმები, რომ ის ლემპარდს განზრახ ავიწროებს და მიზნად მისი გუნდიდან გაგდება აქვს დასახული.

*„ფრენკი დიდებული ფეხბურთელია, — თქვა მწვრთნელმა „ვალენსიასთან" გუშინდელი შეხვედრის წინ, — ის ფასდაუდებელია, როგორც „ჩელსისთვის", ასევე ინგლისის ნაკრებისთვის და სანამ მე „სტემფორდ ბრიჯზე" ვმუშაობ, ითამაშებს და გაიბრწყინებს კიდეც. უმაღლესი დონის ფეხბურთელი, რასაკვირველია, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი ძალაც იქნება".*

ინგლისში ხმები დაირხა, რომ გასულ შაბათს, „ჩელსის" მიერ „სუონსის" 4:1 ძლევის დღეს, ლემპარდი „ლურჯების" სათადარიგოთა სკამიდან გაბრაზებული გაიქცა. ამ ხმებს ვილაშ-ბოაში კატეგორიულად უარყოფს:

*„წარმოუდგენელი ზღაპრები გაავრცელეს. ამაზე ლაპარაკიც კი არ ღირს, რადგან სიმართლის მარცვალსაც კი არ შეიცავს".*

● სატრანსფერო ბრძოლა

## ლივერპული VS ტოტენჰემი

„ლივერპული" მზად არის „ტოტენჰემთან" ბრაზილიელი **ლეანდრო დამიაოს** გამო დიდი სატრანსფერო კონკურენცია გააჩაღოს. „დეზების" თავკაც **ჰარი რედნაპს** 22 წლის ვარსკვლავის ყიდვა ზაფხულშიც უნდოდა, მაგრამ უარი მიიღო. რედნაპმა პორტუ ალეგრეს „ინტერნასიონალს" მაშინ 15 მილიონი ფუნტი ანუ 23,41 მილიონი დოლარი შესთავაზა, ახალი შეთავაზება კი 22 მილიონი ფუნტი ანუ 34,34 მილიონი დოლარი იქნება.

დღეს ბრაზილიელი ფორვარდი ვერ თამაშობს, რადგან ორთავა კუნთი აქვს დაზიანებული, მაგრამ „ტოტენჰემის" გარდა მისი შესაძლებლობები კარგად იცის „ლივერპულმაც" და იანვარს ელოდება, რათა ოკეანე თავისი წინადადების პაკეტით გადალახოს.

ლეანდრო დამიაო და სილვას ბრაზილიის ნაკრებში 2011 წელს ოთხი თამაში აქვს ჩატარებული.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

● ქუინზ პარკი

## ბარტონის მეორმოცე დაბადების დღე



დღეს, როდესაც „ნიუკასლ იუნაიტედიდან" „ქუინზ პარკ რეინჯერსში" გადასული ინგლისური ფეხბურთის „ცუდი ბიჭის", **ჯოი ბარტონი** 29 წლისაა, შეუძლებელია იმის თქმა, როგორ გადაიხდის ის მეორმოცე დაბადების დღეს, მაგრამ ამის გაკეთებას ისევ დასავლეთლონდონელთა ფეხბურთელის რანგში რომ აპირებს, არ მალავს. ბარტონი ამბობს, რომ დღეს იგი ჩინებულ ფორმაშია, ასე ძლიერად თავი არასდროს უგრძნია.

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ სიტის" ყოფილ ნახევარმცველს „ტვიტერში" მოღვაწეობა უყვარს. აქ სოციალურ ქსელში ის თავისუფლად გამოთქვამს სხვადასხვა მოსაზრებას და, გეხსომებათ, რომ „ნიუკასლის" შეფებთანაც სწორედ „ტვიტერის" გამო დაეძაბა ურთიერთობა. დღეს „სოციალურ ქსელთა ფილოსოფოსი" (როგორც ინგლისურ პრესაში უწოდეს) ინტერნეტის მეშვეობით „ქუინზ პარკ რეინჯერსს" დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

ბარტონი ამბობს: *„ვფიქრობ, ფეხბურთს სადღაც 38-40 წლამდე ვითამაშებ. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ ჩემი თამაში სისწრაფესა და ღონეზე არ არის დამოკიდებული. მე ფეხბურთი ვიცი და ბურთს ვაგორებ. ამიტომაც ვარ ასე დარწმუნებული, რომ კარიერას მალე არ დავასრულებ. თუ მომავალში მწვრთნელობას ან მენეჯერობას გადავწყვეტ, ახალ პროფესიას მდიდარი გამოცდილებით შევხვდები. მე ხომ ჩემს საფეხბურთო ცხოვრებაში სხვადასხვა კულტურისა და ფილოსოფიის მქონე ხალხს გავეცანი. ვნახე თამაშისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება. ვნახე, როგორ უნდა გააერთიანო სრულიად განსხვავებული საფეხბურთო სკოლისა და ტრადიციების მატარებელი ადამიანები, როგორ უნდა შექმნა მათგან ერთსულოვანი გუნდი. თუ მომავალში საზღვარგარეთ თამაშის საშუალება მომეცემა უარს ნამდვილად არ ვიტყვი. პირიქით, ეს ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას კიდევ უფრო გაამდიდრებს".*

ბარტონი აგრეთვე იმედოვნებს, რომ 2007 წელს, **სტივენ მაკლარენის** მწვრთნელობის დროს ჩატარებულ ერთადერთ სანაკრებო თამაშს კიდევ შემატებს რამდენიმეს. ფეხბურთელს კარგად ესმის, რომ საერთაშორისო დონეზე კარიერის აწყობაში ხელი ცუდი ბიჭის რეპუტაციამ შეუშალა, თუმცა იმედოვნებს, რომ **ფაბიო კაპელო** მის კარგ თამაშს შეამჩნევს და გამოიძახებს:

*„ინგლისის ნაკრების ფორმის კიდევ ერთხელ მორგება დიდებული იქნებოდა. მართლა შესანიშნავ ფორმაში ვარ და საკუთარი ფეხბურთით მსიამოვნებს".*

ქოლესტერინის საზომი აპარატი
54 ლარი
გლუკომეტრები
25-99 ლარი
შპს „კონტრასტი"
მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი"

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჭანგავაძე პალმერსტონიდან

რაგბი. მსოფლიოს თასი

# გამარჯვება, რომელიც უკეთესი მომავლის საწინდარია

## ბორჯღალოსნებმა სტეჟარი შინ გაწბილებული გაისტუმრეს

**საქართველო 25:9 რუმინეთი**

საქართველო: (15-9) ხმალაძე, გიგაური (ჩხიკვაძე 70), კაჭარავა, ზიბზიბაძე, თოდუა (ურჯუკაშვილი 75), კვირიკაშვილი, აბუსერიძე (სამხარაძე 75). (1-8) ხინჩაგიშვილი (კაკოვინი 68), ბრეგვაძე (შველიძე 63), ზირაქაშვილი, ზედგინიძე (დათუნაშვილი 65), მაისურაძე, ჩხაიძე, გორგოძე (ბერიშვილი 74), ბასილაია.
ლ: გორგოძე. 6ს: კვირიკაშვილი (5), ურჯუკაშვილი. გ: კვირიკაშვილი
რუმინეთი: (15-9) დუმიტრაში (ვლაიკუ 54), ჩუნტუ (გეარა 41), გალი, დიმოფტე, ლემნარუ, დუმბრავა, სურუჯუ (კალაფეტეანუ 65). (1-8) ლაზარი, ტინკუ, იონი (ფლორეა 63), ურსაკე (პოპარლანი 63), პეტრე, მაკოვეი, ტონიცა (იანუსი 63), კარპო.
3ს: დუმბრავა (2), ვლაიკუ
მსაჯი: დეივ პეარსონი (ინგლისი)

*"მიუხედავად იმისა, რომ მოვიგეთ, მინდა კრიტიკულად შევაფასო ჩვენი გუნდის თამაში. წინა ორ შეხვედრაში ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებებთან გაცილებით უკეთ ვითამაშეთ. ბურთი უფრო სწრაფად მოძრაობდა, მეტს ვაქტიურობდით. ამჯერად ასე არ იყო. გაცილებით ნელა ვთამაშობდით და ეს მომავალი მატჩისთვის უნდა გამოვასწოროთ."* – თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რიჩი დიქსონმა.**

რუმინეთის ნაკრები ის გუნდია, რომელთანაც ბორჯღალოსნებს აუცილებლად უნდა მოეგოთ. თუმცა, ჩვენი მეტოქისგან განსხვავებით, ამის თაობაზე არც მატჩის წინ და არც მანამდე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა. "სტეჟარი" კი ლამის სამი თვის განმავლობაში გაიძახოდა, ახალ ზელანდიაში საქართველოს ნაკრებთან მოსაგებად მივდივართო.

ცხადია, მატჩის წინ საკმაოდ დაძაბული ფსიქოლოგიური ფონი შეიქმნა. ნერვიულობა ბიჭებს თამაშშიც გადაჰყვათ და პირველ ტაიმში მეტოქის წინააღმდეგობა ვერ გატეხეს, თუმცა "მუხის ფოთლებზე" ნაკლები შეცდომა დაუშვეს და ტაიმი ექვსი ქულის სხვაობით – 12:6 მოიგეს.

საერთო აზრით, ორივე გუნდის თამაშის ძლიერი მხარე შერკინებაა და გამარჯვებაც მას უნდა დარჩენოდა, ვინც ამ კომპონენტში უფრო იყოჩაღებდა. დასაწყისში რუმინელთა შერკინებამ სტატიკურ მდგომარეობაში ჩვენსას ორჯერ აჯობა, ერთხელ დავჯარიმდით კიდეც, მაგრამ რუმინელთა დამრტყმელმა **დანუც დუმბრავამ** ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო ვერ გაიტანა.

სამაგიეროდ, "ბორჯღალოსანთა" მგეზავმა **მერაბ კვირიკაშვილმა** პირველივე შანსი გამოიყენა და, საკმაოდ შორიდან, 48 მეტრიდან მე-8 წუთზე ანგარიში გახსნა – 3:0. რუმინელებს ანგარიშის გასათანაბრებლად სამიოდ წუთი დასჭირდათ. ჩვენი გუნდი მოედნის საკუთარ ნახევარზე რაკში თამაშისას დაჯარიმდა და დუმბრავამ გაათანაბრა – 3:3.



ამის შემდეგ სათამაშო უპირატესობას მთლიანად საქართველოს ნაკრები დაეუფლა. 24-ე წუთზე კვირიკაშვილმა საჯარიმოთი ისევ დააწინაურა გუნდი – 6:3. ოთხ წუთში კი, რუმინელთა ლელოს მისადგომებთან ახლოს მივედით, სწრაფი, მოკლე დარტყმებით წინ მივიწევდით, მაგრამ მეტოქემ, ისევე როგორც არაერთხელ, წესის დარღვევით შეაჩერა ჩვენი მორაგბეების შეტევა, კვირიკაშვილმა ისევ ზუსტად დაარტყა საჯარიმო – 9:3.

პირველი ნახევრის დასკვნით ათ წუთში კვირიკაშვილმა და დუმბრავამ კიდევ თითო საჯარიმო გაცვალეს და "ბორჯღალოსნები" შესვენებაზე ექვსქულიანი უპირატესობით წავიდნენ – 12:6. აღსანიშნავია, რომ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში რუმინელები ჩვენს 22-მეტრიან ზონაში ერთხელაც არ შესულან. მეორეში ეს ორჯერ შეძლეს, თუმცა ერთი სალელოვე შეტევაც არ განუხორციელებიათ.

შესვენების შემდეგ, საწყის ხუთ წუთში ისევ რუმინელები გააქტიურდნენ. თუმცა დაცვაში ჩვენმა მორაგბეებმა შესანიშნავად ითამაშეს და მეტოქეს ლელოს მისადგომებთან მიახლოების ყველანაირი იმედი გადაუწურეს.







როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

## რაგბი

მატჩის კულმინაცია 57-ე წუთზე დადგა, როცა საქართველოს ნაკრების მორაგბეებმა მრავალფაზიანი, თითქმის ორწუთიანი შეტევა ლელოთი დაასრულეს. მოედნის ცენტრში, რამდენიმე მცდელობის შემდეგ მეტოქის ხაზი მარცხენა ფრთაზე შერკინების კვაჭმა **ჯაბა ბრეგვაძემ** გაჭრა, მან ათიოდე მეტრი გაიარა და შებოჭეს, რაკიდან გამოტანილი ბურთი **ირაკლი აბუსერიძემ** "მეკოს" გაატანა. მან ცრუ მოძრაობით ორ მეტოქეს აუარა გვერდი, კიდევ უფრო წინ, მარჯვენა ფრთისკენ წაიწია და შეტევაში შუამარბი **თედო ზიბზიბაძე** ჩართო, რომელიც იქვე შებოჭეს. "აბუმ" შეტევის მიმართულება შეცვალა. მორკინალებმა მოკლე დარტყმებით ზედ კარის წინ ლელოდან ათ მეტრამდე მიაღწიეს.

აქ წარმოქმნილი რაკიდან ბურთი ჯერ **მამუკა გორგოძემ** აიტაცა, მას **დავით ზირაქაშვილი** წამოეშველა. ისევ რაკი და ამჯერად ჯაბა ბრეგვაძემ შეუტია ბურთით, ასე მისხალ-მისხალ მიძალებით ხუთი მეტრი მოვიგეთ. მერე აბუსერიძემ იქვე, მარჯვნივ მყოფ გორგოძეს მიაწოდა ბურთი, რომელმაც ერთბაშად რამდენიმე მეტოქეს, **ოვიდიუ ტონიცას, მარიუს ტინკუსა** და **პაულიკა იონს** აჯობა. ლელო **კვირიკაშვილმა** გარდასახა – 19:6.

ამის შემდეგ მოედანზე მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. რუმინელები ყველა ხერხით ცდილობდნენ მატჩის გადარჩენას, მაგრამ ჩვენი დაცვის ხაზი შეუვალი კედელივით იდგა. მატჩის დამთავრებამდე დარჩენილ დროში კვირიკაშვილმა კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა, რაზეც შეცვლაზე შესულმა ფულბეკმა **ფლორინ ვლაიკუმ** მხოლოდ ერთით უპასუხა – 25:9.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ, ისევე როგორც ინგლისის ნაკრებთან მატჩში, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი მამუკა გორგოძე დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ რუმინეთის ნაკრები, რომელიც მსოფლიოს თასზე მეექვსედ ასპარეზობდა, აქამდე ჯგუფში ბოლო ადგილზე არასდროს გასულა.

### მატჩის შემდეგ

**რომეო გონტინიაკი, რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი:**

*"პირველ ტაიმში უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე მეორეში. საქართველოს ნაკრები ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდია და შესანიშნავად იასპარეზა. ამასთან, მეტოქემ ჩვენზე ნაკლები შეცდომა დაუშვა და ამიტომაც გაიმარჯვა."*

**რიჩი დიქსონი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:**

*"ამ მატჩში იყო ისეთი ეპიზოდები, როცა გუნდი ზუსტად ასრულებდა იმას, რაც დავავალეთ, მაგრამ იყო ისეთი მონაკვეთები, როცა თამაში ჩააგდეს. ახლა დავსხდებით და გავაანალიზებთ, რატომ მოხდა ასე, რათა მომდევნო მატჩში შეცდომები აღარ განმეორდეს.*

*ლაშა ხმალაძე ამპლუით მგეზავია, მაგრამ ამჯერად ფულბეკად ვათამაშეთ. ვფიქრობ, მან გაგვიმართლა იმედი. ასეთ ექსპერიმენტს იმიტომ მივმართავთ, რომ გვინდა, უკანა ხაზში თამაში მრავალფეროვანი, უფრო ეფექტური გავხადოთ. ეს გუნდის განვითარებისთვის, პროგრესისთვის აუცილებელია".*

**ილია ზედგინიძე, საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანი:**

*"მატჩის დასაწყისში მეტოქის შერკინებასთან გამკლავება გაგვიჭირდა, თუმცა დაახლოებით მატჩის პირველი ნახევრის ბოლოს, შევძელით მდგომარეობა გამოგვესწორებინა. ამასთან მატჩის წინ საკმაოდ ბევრჯერ ვნახეთ ვიდეოჩანაწერში რუმინელთა თამაში დერეფანში. ამიტომ მეტოქეზე ცოტა უკეთ ვითამაშეთ.*

*რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ჩვენ მხოლოდ რუმინეთთან მატჩის მოსაგებად ჩამოვედით. ეს ასე არ არის, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ ყველა თამაშზე მოსაგებად გავდივართ და მხოლოდ ამ გზით ვაღწევთ პროგრესს"*

**გიორგი ჩხაიძე:**

*"მინდა ეს გამარჯვება მთელ საქართველოს მივულოცო. ძალიან გვიხარია, რომ 2011 წლის მსოფლიოს თასზე პირველი თამაში მოვიგეთ. კიდევ ერთ, საკმაოდ რთულ მეტოქესთან დაგვრჩა სათამაშო. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, როგორ მოვახერხებთ ძალების აღდგენას, ტრავმების მოშუშებას".*

**მერაბ კვირიკაშვილი:**

*"ეს სრულიად საქართველოს გამარჯვება იყო, ვულოცავ ყველას. ვეცდებით ახლა ძალები სწრაფად აღვიდგინოთ და არგენტინასთან თამაშს მაქსიმალურ მზადყოფნაში შევხვდეთ. გვინდა კიდევ უფრო დავალაგოთ, გავაუმჯობესოთ თამაშის ხარისხი. ყველაფერს ვილონებთ, რომ კიდევ ერთხელ გავახაროთ ჩვენი ხალხი."*

**ილია მაისურაძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე:**

*"დასაწყისში გუნდი დაძაბული იყო და რაღაცნაირად შებოჭილი თამაშობდა, რადგან ბიჭები დიდ ფსიქოლოგიურ წნეხს განიცდიდნენ. ამის გამო პირველ ნახევარში ვერ ავაწყვეთ თამაში. მეორე ნახევარში უფრო თამამად გავისარჯეთ და რაგბის თამაშიც გამოგვივიდა.*

*ამ გუნდის დამარცხება უფრო მეტი სხვაობითაც შეგვეძლო, თუმცა, ეს გამარჯვება, ქართული რაგბისთვის უდავოდ ძალიან დიდი წარმატებაა."*

**გიორგი ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

*"მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები ყალიბდებოდა და ასპარეზზე გამოდიოდა, რუმინეთთან ხშირად ვაგებდით, რაც აბსოლუტურად ლოგიკური იყო. მაგრამ, ის რომ ქართულმა რაგბიმ ძალიან მოკლე ხანში დიდი პროგრესი განიცადა და ჩვენს ყველაზე მრისხანე მეტოქეს ერთა თასის გათამაშებაში გავუსწარით, საბოლოოდ დღეს დამტკიცდა.*

*ჩვენ გაცილებით უკეთესი გუნდი გვყავს. ბიჭებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ამ მატჩში მოგების ფასი და ამიტომ ზედმეტად ნერვიულობდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, გარწმუნებთ, რუმინელებს გაცილებით დიდი ანგარიშით დავამარცხებდით.*

*რუმინელებს არა მარტო ეროვნული ნაკრების, არამედ ყველა ასაკობრივი გუნდების შეჯიბრებაში ვუგებთ. ასე უნდა გავაგრძელოთ, ეს უნდა განვამტკიცოთ და ზუსტად ამისთვის იყო საჭირო ეს გამარჯვება.*

*სკეპტიკოსებს, რომლებიც იტყვიან, რომ კი მოვიგეთ, მაგრამ არ იყო ლამაზი თამაში, ვეტყვი, რომ - იყო. ბიჭებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, საქმეს პრაგმატულად მიუდგნენ და მიაღწიეს გამარჯვებას, რომლის შედეგსაც ქართული რაგბი წლების განმავლობაში მოიმკის."*

### B ჯგუფი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ინგლისი – 14 ქულა, 2. არგენტინა – 10, 3. შოტლანდია – 10, 4. საქართველო – 4, 5. რუმინეთი – 0.

**1 ოქტომბერი**

ინგლისი-შოტლანდია

**2 ოქტომბერი**

საქართველო-არგენტინა

**ხვალ**

სამხრეთ აფრიკა-სამოა 11:30




## კრივი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

# თითო მოგება და წაგება

აზერბაიჯანის დედაქალაქში მოკრივეთა მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატზე 127 ქვეყნის 700-მდე წარმომადგენელი ცდის ძალებს. მათ შორის 10 ქართველია. ხუთმა მათგანმა უკვე იასპარეზა ბაქოს რინგზე. ასპარეზობის პირველ-მეორე დღეს, როგორც გაუწყეთ, **ავთანდილ ჭუბაბრიამ** (49 კგ), **სევერიან ჭილაძემ** (52) და **დავით გოგიშვილმა** (91) მეტოქეებს სძლიეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

გუშინ პირველი წრის ორთაბრძოლები კიდევ ორმა ქართველმა მოკრივემ გამართა. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ლევან გულედანმა** ყირგიზ ჩინგიზ ბორბაშევს 24:22 სძლია და მეორე წრეში 2 ოქტომბერს 21 წლის ნიუიორკელ (აშშ) მარკუს ბრაუნს დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა გუშინ აშკარა უპირატესობით იაპონელ იოშიცუნა ოკადას აჯობა.

თანაგუნდელებს, სამწუხაროდ, მხარი ვერ აუბა **გიორგი კილანავამ** (56) - იგი 24 წლის ავსტრალიელ ლუკ ბოიდთან 10:17 დამარცხდა. არადა, მწვანე კონტინენტის წარმომადგენელი დიდი შედეგებით არ გამოირჩევა. 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის მონაწილეა, თუმცა ჩინეთის დედაქალაქში ბოტსვანელ იქპოლენდთან პირველსავე წრეში დამარცხდა. ასეა თუ ისე, ქართველი მოკრივე კვარცხლბეკისკენ მიმავალ ბილიკს ჩამოაცილა.

დღეს ბაქოს რინგზე კიდევ ორი ჩვენებური გამოვა. ესენი არიან: წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები - **ზაალ კვაჭატაძე** (69) და **მიხეილ ბახტიძე** (+91). ზაალს მეტოქეობას გაუწევს ალჟირელი ილიას აბადი, რომელიც მე-10 ნომრადაა განთესილი (ამ წონაში გამოდიან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ყაზახი სერიკ საპიევი, მსგავსი შეჯიბრების ვერცხლის პრიზიორი, რუსი ანდრეი ზამკავოი, უელსელი ფრედი ევანსი და სხვები). წარმატების შემთხვევაში, ზაალი 2 ოქტომბერს კამილ ჟერემეტას (პოლონეთი) და ონდა სიფალს (თურქეთი) შორის საუკეთესოს დაუპირისპირდება. ბახტიძე მაკედონიელ პრიმისლავ დიმოვსკისთან გაარკვევს ურთიერთობას. გამარჯვებულს მე-2 წრეში მე-3 ნომრად განთესილი ფილიპ ჰრგოვიჩი (ხორვატია) ელოდა.

**ვაჟა დანელია**







ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ძიუდო. ნაკრები

# რას შეეწირა ხაბარელი?

## წყალქვეშა დინებები ქართულ ძიუდოში




ძიუდოისტ ვაჟთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **შოთა ხაბარელის** შესაძლო დაბრუნება, მერე კი მყისიერი უარი კვლავაც რჩება ქომაგთა ინტერესის საგნად. შეგახსენებთ საქმის ვითარებას - 19 სექტემბერს ხაბარელის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მოყვანაზე თვით ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **მარიუს ვიზერთანაც** გამართეს მოლაპარაკება და, ცხადია, წინააღმდეგი არც ის ნასულა. საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იყო და კონსულტაციები მხოლოდ იმაზე მიმდინარეობდა, რა ფუნქციები დაეკისრებოდა ნაკრებში ავსტრიელ **პეტერ ზაიზენბახერს**. მეორე დღეს მოლაპარაკებები და ნაკრების სათავეში დაბრუნება ხაბარელმაც ოფიციალურად დაადასტურა და სპორტულ მედიასთან სამომავლო გეგმებზეც ალაპარაკდა. კერძოდ, საკუთარ გუნდზე, მაგრამ 21 სექტემბერს ვითარება რადიკალურად შეიცვალა - საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ მწვრთნელის შეცვლის ფაქტი უარყო და განაცხადა, რომ ზაიზენბახერიც და ხაბარელიც თავიანთ პოსტებს ინარჩუნებდნენ - პირველი მთავარი მწვრთნელისას, მეორე - ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტისას და არავითარი ცვლილება არ მოხდებოდა. ეს სიტყვები ხაბარელმაც გაამყარა, როცა განაცხადა, რაკი ფედერაციამ ასე გადაწყვიტა, ეტყობა, მიიჩნიეს, რომ მე აქედან უფრო მეტ სარგებელს მოვუტან ქართულ ძიუდოს და აქვე გავაგრძელებ მუშაობასო.

ამასობაში ძიუდოს შიდა სამზარეულოდან სხვა ვერსიაც გამოიკვეთა. როგორც აღმოჩნდა, ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ საკუთარ გუნდზე ლაპარაკი ქართულ ძიუდოში ძლივს მინავლებული შუღლის ნაპერწკალს ხელახლა გააღვივებდა, მდგომარეობის არევას კი ხაბარელზე უარის თქმა ამჯობინეს. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც. ზემოთქმულს ისიც დაემატა, ხაბარელის გუნდის ზოგიერთი წევრი საკმაოდ ასაკოვანია, რაზედაც მწვრთნელს ნაკრების თავკაცობის დროსაც საყვედურობდნენ და, ცხადია, მათი დაბრუნების პერსპექტივა არავის მოეწონა. ყველას ესმის, რომ ახალ ხელმძღვანელს ძირითადად თავისი გუნდი მოჰყავს, ვისთან ერთადაც გაუადვილდება მუშაობა. თავის დროზე ხაბარელსაც ამ მოტივით მისცეს გუნდის შერჩევის ნება, მაგრამ ახლა საპენსიო ასაკი გადაულახავ რუბიკონად იქცა.

შეუძლებელია, ხაბარელს არ სცოდნოდა ის საშიშროება, რაც თავის გუნდზე ლაპარაკს მოჰყვებოდა, მაგრამ, სავარაუდოდ, დღემდე მას ისედაც ტვირთად აწევს იმისი განცდა, რომ ეს ხალხი: **ჯემალ ნათელაშვილი, ბიძინა მოხევიშვილი, ბორის ფირცხელიანი, გურამ რატიშვილი** თავის დროზე უსამსახუროდ მისი ერთგულებისთვის დარჩნენ.

რევანშის თაობაზე ადრევე ვთქვით, რომ ახალი თაობის მწვრთნელთა ჩანაცვლებაც არაფრით არ შეიძლება. კიდევ ვიტყვი: ახალგაზრდა მწვრთნელებს რაც შეიძლება, მეტი გასაქანი უნდა მივცეთ. როგორც სპორტსმენებს შორისაა საჭირო კონკურენცია, ასევეა სამწვრთნელო კორპუსში. მეტიც - ძიუდოში ასაკობრივი ნაკრებების ბოლოდროინდელი მიღწევები, რაც ეროვნული ნაკრების ქრონიკული წარუმატებლობის ფონზე ქომაგთათვის ერთადერთი ნუგეშია, ახალი თაობის მწვრთნელთა დამსახურებადაც მიგვაჩნია, რომლებმაც ახალი ხედვა, ახალი მეთოდიკა, ახალი სავარჯიშო სისტემა მოიტანეს და ძიუდოს ახლებური განვითარება დაიწყეს - გაიზარდა ფიზიკური კონდიციები, გამრავალფეროვნდა საჭიდაო არსენალი, შეიცვალა ტაქტიკური მიდგომები და ისეთი ელემენტებიც გაჩნდა, რაშიც ადრე სერიოზულად მოვიკოჭლებდით (მაგალითად, ჩოქბჯენი). ამდენად, ახალგაზრდა მწვრთნელებს ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი, თუმცა ხაბარელის ზემოხსენებული განცხადება სულაც არ შეიცავდა მინიშნებას მათ შევიწროებაზე. უბრალოდ, კონტექსტიდან გამომდინარე დაინახეს ეს საშიშროება. ფედერაციას ხაბარელი რომც დაებრუნებინა ძველ პოსტზე, მაშინ რევანშის შესაძლებლობა საწინააღმდეგო ბანაკიდანაც გაჩნდებოდა, ანუ როგორც უნდა განვითარებულიყო მოვლენები, ყველაფერი მაინც ფედერაციამდე მივიდოდა - ის თუ პრინციპულობას გამოიჩენდა, ვერც ერთი მხარე ვერ მოახერხებდა დინების ალმა ცურვას.

არადა, მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი მარცხის შემდეგ მიგვაჩნია, რომ ხაბარელის დაბრუნება გონივრული ნაბიჯი და ქართული ძიუდოსთვის მაშველი რგოლის გადაგდება იქნებოდა (თუმცა აქ ნაკრების თავკაცობიდან ჩამოშორებული **სოსო ლიპარტელიანიც** უნდა გავიხსენოთ, როგორც დაჩაგრული). ვიმეორებთ, პარიზში ნანახის შემდეგ გვეეჭვება, ზაიზენბახერმა ოლიმპიადაზე წარმატებას მიაღწიოს, აი, ხაბარელს კი, დროის სიმცირის მიუხედავად, ვფიქრობთ, საამისოდ ბევრად მეტი რესურსი აქვს - მას ხომ გუნდის აწყობის დიდი გამოცდილება გააჩნია. ალბათ, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, ხაბარელს საწვრთნელი პროცესისთვის მიეხედა, ზაიზენბახერს კი ფიზიკურ მომზადებასა და სტრუქტურულ ცვლილებებზე ეზრუნა. მსოფლიოს პირველობამ მისი სამწვრთნელო რენომე სერიოზულად შეარყია. თანაც, მუნჯის ენა დედამ იცისო და სპორტსმენებთან ხაბარელი უფრო გამონახავს საერთო ენას, თორემ ავსტრიელს ევროპელთათვის დამახასიათებელი ცხვირის აბზუებით ბიჭებთან ურთიერთობის პრობლემაც შეექმნა - ასეთმა მენტალიტეტმა ვერც „მყვირალა ჰოლანდიელ" იოჰან ბოსკამპს უშველა და არც ზაიზენბახერს დააყრის ხეირს. მაგალითად, მწვრთნელის მაგიდიდან ჩანთების გადაყრა ან ხისტად იმის ლაპარაკი, ვარჯიში გეზარებათ და ავადმყოფობას იგონებთო, იოლი საქმეა, მაგრამ ნდობის კუთხით „ცივ კედელს" აგებს - მწვრთნელი, უპირველესად, პედაგოგი უნდა იყოს და არა ზედამხედველი. ამიტომაც გვერჩივნა ხაბარელი ნაკრების სათავეში, თუმცა არც მისი სამწვრთნელო შესაძლებლობები გვაეჭვებს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ძიუდოსა თუ სპორტის მმართველთა ნაწილს კვლავაც სჯერა ზაიზენბახერის სამწვრთნელო შესაძლებლობებისა. თავისი საქმისა მათ იციან, მაგრამ მოგვცემენ გარანტიას, რომ ოლიმპიადაზეც იმავე შედეგს არ მივიღებთ, რაც - მსოფლიოზე ვიხილეთ? გასაგებია მათი პოზიციაც, როცა უცხოელი მწვრთნელი ქართულ ძიუდოში არსებული შიდა დაპირისპირებების აღსაკვეთად სჭირდებოდათ, მაგრამ თუ ფედერაცია თავის სიმაღლეზე დადგებოდა, პრობლემაც მოგვარდებოდა. თან თუ ძიუდოდან გარიყული იმ ხალხის სპორტში დაბრუნება მოხერხდებოდა, ხაბარელიც გათავისუფლდებოდა მათ წინაშე ზემოხსენებული ვალდებულებებისგან. თუ ზოგიერთის ასაკი და პენსიონერობა რუბიკონია, ბორია ფირცხელიანისდარი მწვრთნელის არგამოყენება დანაშაულია. ოღონდ მთელ ამ ისტორიაში კვლავაც გაურკვეველი რჩება, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიშვნასთან რა კავშირშია ვიზერი?

**ირაკლი თავაძე**

● ჩოგბურთი

# შაფათავამ და მიქაძემ პირველი ბარიერი გადალახეს




თელავში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდია 50 000 ამერიკული დოლარი. ერთეულთა თანრიგის ძირითად ბადეში ოთხი ქართველიდან გუშინ სამმა მოსინჯა ძალები. **სოფიო შაფათავას** დაძაბული პაექრობა ჰქონდა მე-8 ნომრად განთესილ კორინა დენტონისთან (იტალია). პირველი სეტი სტუმარმა 6:4 მოიგო, მეორეში შაფათავამ იყოჩაღა - 6:3, მესამე ხელი უფრო დაძაბული გამოდგა, თუმცა ქართველმა ჩოგბურთელმა აქაც იძალა - 7:5 აჯობა მეტოქეს. მეორე წრეში იგი უკრაინელი ვერონიკა კაპშაის მძლეველ (6:0, 6:3) ჯულია კოენს (აშშ) დაუპირისპირდება. წარმატებას მიაღწია შეჯიბრებაზე „ველური ბარათით" დაშვებულმა **თათია მიქაძემ** - ჩვენებურმა ორ სეტში დაჯაბნა ავსტრიელი მელანი კლაფნერი - 6:4, 6:4. მომდევნო ეტაპზე იგი სლოვაკ იანა გეპელოვას შეხვდება. ამ უკანასკნელმა გუშინ მეორე ნომრად განთესილი ანასტასია პივოვაროვა (რუსეთი) ჩამოიცილა გზიდან 6:7, 6:2, 6:2. შეჯიბრებას გამოეთიშა **ეკატერინე გორგოძე**. მართალია, მან მეორე ხელი მოუგო ხორვატ ანი მაიაჩიკას, მაგრამ პირველსა (4:6) და მესამეში (2:6) დანებდა სტუმარს. **მარგალიტა ჩახნაშვილი** (6) დღეს ითამაშებს ირინა ბურიაჩოკთან (უკრაინა), ხოლო ნატალი პიკუონი (საფრანგეთი) ელიზავეტა იანჩუკს (უკრაინა) შეხვდება. ერთეულთა დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: ალექსანდრა კადანტუ (რუმინეთი)-ჟასმინა ტინჯიჩი (ბოსნია-ჰერცეგოვინა) 6:4, 6:2, ელინა სვიტოლინა (უკრაინა)-ნიკოლა ჰოფმანოვა (ავსტრია) - 6:4, 1:6, 6:2, ლესია ცურენკო (უკრაინა)-ანდრეა კოჩ-ბენვენუტო (ჩილე) 7:5, 7:6, ირინა ხრომაჩევა (რუსეთი)-რეკა-ლუკა იანი (უნგრეთი) 6:3, 6:4, კაგლა ბუიუკაკაი (თურქეთი)-ელენა ბოგდანი (რუმინეთი, 7) 2:6, 6:3, 6:1, მიხაელა ბუზარნესკუ (რუმინეთი, 5)-ანასტასია გრიმალსკა (იტალია) 6:1, 6:3, ლინა სტანკუიტე (ლიტვა)-ალექსანდრა არტამონოვა (რუსეთი) 6:1, 6:4, ალექსანდრა პანოვა (რუსეთი, 4)-მაშა ზეკ-პესკირიჩი (სლოვენია) 6:4, 6:3.

**წყვილები:** ბოგდანი (რუმინეთი), ბუზარნესკუ (რუმინეთი)-ბუიუკაკაი (თურქეთი), ჰოფმანოვა (ავსტრია) 6:2, 6:4, მაიაჩიკა (ხორვატია), ზეკ-პესკირიჩი (სლოვენია)-სვიტულინა (უკრაინა), ზანევსკა (უკრაინა) 7:5, 6:4, ბურიაჩოკი (უკრაინა), იანი (უნგრეთი)-ძალამიძე (რუსეთი), იანჩუკი (უკრაინა) 6:4, 6:1.

**მეოთხედფინალში ითამაშებენ:** ბოგდანი, ბუზარნესკუ - კოჩ-ბენვენუტო, პეხოვა; მიქაძე, შაფათავა - დენტონი, კლაფნერი; მაიაჩიკა, ზეკ-პესკირიჩი - ბურიაჩოკი, იანი; გორგოძე, გრიმალსკა - ოლარუ, ცურენკო.

**ვაჟა დანელია**




● ჭადრაკი

# მელიამ ნაკრებში ადგილი დაიბევა




საბერძნეთში 2-12 ნოემბერს მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის ჩვენებურებიც ემზადებიან. საქართველოს მანდილოსანთა ნაკრების (კაპიტანი **ნინო გურიელი**, მთავარი მწვრთნელი **ზურაბ სტურუა**, დამხმარე მწვრთნელი **თამაზ გელაშვილი**) შემადგენლობაში ჭადრაკის ფედერაციამ 4 დიდოსტატი - **ნანა ძაგნიძე** (2525), **ლელა ჯავახიშვილი** (2464), **ნინო ხურციძე** (2440) და **ნაზი პაიკიძე** (2412) ადრევე დაამტკიცა. მე-5 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად სამთა ორწრიანი მატჩ-ტურნირი გაიმართა, რომელიც გუშინ დასრულდა.

პირველ წრეში ერთმანეთთან შეხვედრებში თითო ქულა მოაგროვეს **სალომე მელიამ** (2396), **ნინო ბაციაშვილმა** (2413) და **მაკა ფურცელაძემ** (2353). მეორეში ფურცელაძე მელიას და ბაციაშვილს დაუზავდა, გუშინ კი საქართველოს 2009 წლის ჩემპიონმა, ბათუმელმა სალომე მელიამ თანაქალაქელი ნინო ბაციაშვილი დაამარცხა, 4 შესაძლებლიდან 2,5 ქულა მოაგროვა და მატჩ-ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა, რითაც ეროვნულ ნაკრებში ადგილი დაიბევა. 2 ქულით მეორეა ფურცელაძე, 1,5 ქულით ბაციაშვილს მესამე ადგილი ხვდა.

ევროპის ჩემპიონატამდე საქართველოს ქალთა და ვაჟთა (**ბაადურ ჯობავა** (2712), **მიხეილ მჭედლიშვილი** (2623), **ლევან ფანცულაია** (2614), **მერაბ გაგუნაშვილი** (2577), **დავით ზარქუა** (2443), კაპიტანი **გია გიორგაძე**, მთავარი მწვრთნელი **ხვიჩა სუპატაშვილი**) ნაკრები გუნდები, როგორც უკვე გაუწყეთ, ანტალიაში საწვრთნელ შეკრებას გაივლიან.

**ვაჟა დანელია**

# თითო მოგებამ გადაწყვიტა

## რუმინეთის ტიმიშოარა ერთპიროვნულად დაწინაურდა

სლოვენიაში მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა საკლუბო ჩემპიონატზე გუშინ მორიგი გამარჯვება იზეიმა რუმინეთის „ტიმიშოარამ", რომელმაც ერევნის „მიკა" დაამარცხა - 2,5:1,5: ელინა დანიელიანი-**ნანა ძაგნიძე** 0.5:0.5, ანა ზატონსკიხი-ჰარიკა დრონავალი 0.5:0.5, ჟუ ჩენი-**ლელა ჯავახიშვილი** 0:1, ქრისტინა-ადელა ფოიშორი-ლილით მკრტჩიანი 0.5:0.5. კარპატელთა გუნდს, რომელიც 4 ტურის შემდეგ 8 (13) ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა, გამარჯვების ქულა საქართველოს ნაკრების წევრმა ჯავახიშვილმა მოუტანა.

მეორე-მესამე ადგილებს 6-6 ქულით „მიკასთან" (11,5) ერთად კრასნოტურინსკის (რუსეთი) ABC (9,5) იყოფს. ამ უკანასკნელმა გუშინ ვარსკვლავებით დახუნძლული ევროპის მრავალგზის ჩემპიონი მონტე-კარლო დაამარცხა (2.5:1.5): ანტოანეტა სტეფანოვა-ჰოუ იფანი 1:0, დანარჩენი სამი შეხვედრა - ანა მუზიჩუკი-კატერინა ლახნო, ვიქტორია ჩმილიტე-პია კრამლინგი, მონიკა სოჩკო-ნატალია პოგონინა ყაიმით დამთავრდა.

**ვაჟა დანელია**

● თავისუფალი ჭიდაობა

# ახალგაზრდები უკრაინაში მიდიან

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც წლის უმთავრესი შეჯიბრებები უკვე მოილია, დარჩენილი ორი საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადება. **ნუგზარ სხირელის** შეგირდები ახლა უკრაინის ქალაქ კოლომეიაში დაგეგმილ ტრადიციულ შეჯიბრებაში იასპარეზებენ.

„კოლომეიაში თავს მოიყრიან პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის გუნდები. ჩვენი გუნდის ლიდერებს **ლადო ხინჩეგაშვილს, დავით მარსაგიშვილს, თენგიზ ჩოჩიშვილს** და სხვებსაც, ასაკიდან გამომდინარე, ჯერაც შეეძლოთ ახალგაზრდულ ტურნირებში მონაწილეობა და არჩევანის საშუალება მივეცით. თუმცა უმეტესობამ 1992 წელს დაბადებული მოჭიდავეებისთვის ადგილის დათმობა გადაწყვიტა და შესაბამისად ჩვენი გუნდი ამ შეჯიბრებას ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ საწყის ეტაპად გამოიყენებს", - გვითხრა სხირელმა. უკრაინაში საჭიდაოდ ნაკრები 11 სპორტსმენით გაემგზავრება: **ბექა ბუჯიაშვილი** (50 კგ), **ლაშა ტალახაძე** (55), **დავით ბუზიაშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი, დავით გალეგაშვილი** (ორივე - 66), **ბექა პეტრიაშვილი** (74), **სანდრო ამინაშვილი, ლევან გოგრიჭიანი** (ორივე - 84), **ომარ გუსოშვილი, გიორგი მეშვილდიშვილი** (ორივე - 96) და **გენო პეტრიაშვილი** (მძიმე). მიუხედავად ლიდერთა არყოფნისა, გუნდს სუსტი არ ეთქმის, ვინაიდან მასში ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის ერთდროულად ევროპისა და მსოფლიოს რამდენიმე ჩემპიონი და პრიზიორია. ნაკრები უკრაინაში 28 სექტემბერს გაფრინდება. შეჯიბრება 30-ში დაიწყება.

**ვასილ ბალახაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სუმო. აკი ბაშო. შეჯამება

# გზა მებრძოლი სულის პრიზამდე

## როგორ არ უღალატა ქართველმა სპორტულ პრინციპს

ტოკიოში არის ერთი დარბაზი, რომელსაც სუმოს მექას ეძახიან - „რიოგოკუ კოკუგიკანი". იქ წლის 6 ბაშოდან ნახევარი იმართება, აკი ბაშოც, რომელიც ქართველი სუმოისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სუპერტურნირი გამოდგა, 15-დღიანი ბატალიების შემდეგ იქ დასრულდა. ასპარეზობის ბოლო დღეს რკალშემოვლებულ თიხნარზე, რომელზეც ნახერხი თხელ ფენად ყრია, 24 წლის **თეიმურაზ ჯუღელი,** იგივე **გაგამარუ** ავიდა იმისთვის, რომ მე-3 მაეგაშირა **ტოჩიოძანს** გასჯიბრებოდა. ჩვენებურს 10-4 ბალანსი ჰქონდა და იმპერატორის თასს ველარც წვდებოდა, წაგება კი აბსოლუტურად არაფერს დაუშავებდა, ხოლო მისი მეტოქე 7-7-ით მივიდა ბოლო დღემდე, ანუ მისთვის ყველაფერი ამ შეხვედრით წყდებოდა. 199-კილოიანმა გოლიათმა სპორტულ პრინციპს არ უღალატა, მე-11 ორთაბრძოლაც მოიგო და ორგანიზატორებისგან „მებრძოლი სულის" პრიზი (პლუს 20 ათასი იენი) დაიმსახურა: *„ამ შეხვედრის მოგება ძალიან მინდოდა, ბედნიერი ვარ ჩემი გამოსვლით. პრიზისთვის მიღებულ ჰონორარს კი დედას გავუგზავნი საქართველოში. ამ ბაშოზე შევძელი ყოველ ორთაბრძოლაზე კონცენტრირება, მაგრამ იმასაც კარგად ვხვდები, რომ ახლა გაცილებით ძლიერ მეტოქეებთან მომიწევს ჭიდილი და გაძლიერება მმართებს"*, - განაცხადა თეიმურაზმა „მებრძოლი სულის" პრიზის მიღებისას.

### პაპის სული შვილიშვილის აღზევებისთვის

გაგამარუ 11-4 ბალანსისთვის მნიშვნელოვნად დაწინაურდება სუმოს იერარქიაში, რეიტინგში მოიმატებენ სხვა ქართველებიც: **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** და **კოკაი (ლევან ცაგურია),** თუმცა ჯერ მთავარზე ვთქვათ - იმპერატორის თასი, რომელიც 40 კილოგრამს (!) იწონის, 26 წლის დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** თავად პრემიერ-მინისტრ **იოშიჰიკო ნოდასგან** ჩაიბარა. ნოდა ამ საოცარი ქვეყნის რიგით 95-ე პრემიერია, ხოლო ჰაკუჰო რიგით 69-ე დიდი ჩემპიონი (ანუ იოკოძუნა) და კაცმა არ იცის, რომელი უფრო საპატიოა იაპონიაში. დიდმა მონღოლმა თასი მეოცედ ჩაიბარა. ჰაკუჰო ნელ-ნელა უახლოვდება დიდ სუმოისტებს: **ტაიჰოს** (32 თასი), **ჩიონოფუჯის** (31), **ასაშორიუს** (25), **კიტანოუმის** (24) და **ტაკანოჰანას** (22).

მოკლედ, ბაშო მოიგო იმან, ვისაც უნდა მოეგო, თუმცა ბოლო დღეები ჰაკუჰომ გვარიანად ანერვიულა გულშემატკივრები - ზედიზედ 11 მოგების შემდეგ ზედიზედ ორ სეკივაკესთან, **კისენოსატოსთან** და **კოტოშოგიკუსთან** წააგო. მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა - 13:2.

დიდ წარმატებას მიაღწია 27 წლის კოტოშოგიკუმ, ფუკუოკას პრეფექტურის შვილმა - ვიცე-ჩემპიონმა ოძეკობის (ანუ ჩემპიონობის) არაოფიციალური ნორმატივი შეასრულა და მას 28 სექტემბერს მე-4 ოძეკიდ აირჩევენ. კოტოშოგიკუს ამ ბაშოს წინ 12 მოგება დაუსახეს ამოცანად. და იცით ვინ დაეხმარა ფალავანს? ბებია, რომელმაც სახლის ბუდისტური საკურთხევლის წინ 3 წლის წინათ გარდაცვლილი მეუღლის სული გამოიძახა და ყოველდღიურად თითო მოხარშულ კვერცხსა და ბრინჯის ბურთულას (ო-ნიგირი) აგდებდა იქვე დაკიდებულ კალათაში და... კოტოშოგიკუმაც შეძლო 12 მოგების მითვლა. სხვათა შორის, სუმოს პატარა **კაძუჰირო კიკუცუგი** სწორედ პაპამ აზიარა, როცა სახლის ეზოში დოჰიო მოუწყო.

მას შემდეგ, რაც ცნობილი რიკიში (ფალავანი) **კაიო** სპორტიდან წავიდა, იაპონელებს სუმოს იერარქიაში მეორე დონის ტიტულის (ოძეკი) მფლობელი აღარავინ დარჩათ და ეს მათ ძალიან აწუხებდათ - კოტოშოგიკუ კი მათ მხსნელად მოევლინა. ნოემბრის ბაშოზე იაპონელებს კიდევ ერთი პრეტენდენტი ეყოლებათ ოძეკობის - სეკივაკე კისენოსატო, რომელმაც აგრეთვე 12 ორთაბრძოლა მოიგო აკი ბაშოზე.

სამი ოძეკიდან ყველაზე უკეთ ესტონელმა **ბარუტომ** იასპარეზა (10 მოგება), დადებითი ბალანსით დაასრულა ბაშო მონღოლმა **ჰარუმაფუჯიმაც**, აი, ბულგარელ **კოტოოშუს** კი ცუდი რამ შეემთხვა, მან ისე ცუდად იასპარეზა, რომ შუა ბაშოზე მისმა მწვრთნელებმა ტრავმა მოუგონეს და ტურნირიდან მოხსნეს. თუკი ბულგარელი გოლიათი (201 სმ.) ნოემბრის ბაშოზეც შეირცხვენს თავს, ოძეკის ტიტულთან განშორება მოუწევს.

არ შეიძლება არ ვახსენოთ კიდევ ერთი ფალავანი და ამით არაქართველ სუმოისტებზე თხრობასაც მოვრჩებით. **ტოიონოშიმა** უჩვეულოდ დაბალია სპორტის ამ სახეობისთვის - 169 სანტიმეტრია სიმაღლეში, მაგრამ კომუსუბის ტიტულს ატარებს. ყოჩაღ იაპონელს კატასტროფული სტარტი ჰქონდა აკი ბაშოზე - პირველი რვა დღის მერე 7 მარცხი, მაგრამ მერე ზედიზედ 7 მოიგო და ტიტული შეინარჩუნა. სხვათა შორის, ასეთი გმირობა მას პირველად არ ჩაუდენია - იანვრის ბაშოზეც ზუსტად ასე მოიქცა.

### რამდენად დაწინაურდებიან

ახალი რეიტინგ-ლისტი ანუ ბანძუკე მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდება, თუმცა მანამდე თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ როგორ მოიმატებენ ჩვენებურები რეიტინგში. 23 წლის ტოჩინოშინი აღმოსავლეთის მე-4 მაეგაშირა იყო, ის ახლა დასავლეთის მე-2 მაეგაშირა გახდება. გაგამარუ, რომელიც მე-11 მაეგაშირა გახლდათ, მე-4 ან მე-5 საფეხურს დაიკავებს, ხოლო კოკაი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი რანგისა იყო (მე-16), მე-10 მაეგაშირობამდე უნდა ამაღლდეს.

მომდევნო, წლის ბოლო ბაშო 13-27 ნოემბერს კუნძულ კიუშუზე (ადრე რომ კიუსიუს ეძახდნენ საბჭოთა საქართველოში) ფუკუოკაში გაიმართება.

### ქართველ სუმოისტთა სტატისტიკა და რეკორდები

**ტოჩინოშინ ცუიოში**
ლევან გორგაძე
**კლუბი:** კასუგანო
23 წლის, 192 სმ, 158 კგ
**კარიერის რეკორდი:** 222-178
**ელიტაში:** 147-153
ძურიოს ჩემპიონი,
მებრძოლი სულის 3 პრიზი
**ყველაზე მაღლა რეიტინგში:** კომუსუბი
**2011 წელი:** 4-11, 12-3, 6-9, 8-7

**გაგამარუ მასარუ**
თეიმურაზ ჯუღელი
**კლუბი:** კისე
24 წლის, 185 სმ, 199 კგ
**კარიერის რეკორდი:** 191-135
**ელიტაში:** 53-52
ძურიოს, მაკუშიტას და ჯონოკუჩის ჩემპიონი, მებრძოლი სულის პრიზი
**ყველაზე მაღლა რეიტინგში:** მე-5 მაეგაშირა
**2011 წელი:** 5-10, 8-7, 5-10, 11-4

**კოკაი ფუტოში**
ლევან ცაგურია
**კლუბი:** ოიტეკაძე
30 წლის, 190 სმ, 150 კგ
**კარიერის რეკორდი:** 422-405
**ელიტაში:** 311-349
ძურიოს, მაკუშიტას, სანდანმეს და ჯონიდანის ჩემპიონი, მებრძოლი სულის 2 პრიზი, 2 კინბოში (დიდი ჩემპიონის დამარცხება).
**ყველაზე მაღლა რეიტინგში:** კომუსუბი
**2011 წელი:** 3-12, 5-10, 9-6, 9-6

**ყველაზე კარგი შედეგი ელიტაში:** 12-3 ტოჩინოშინი ორჯერ (2008 წლის იანვარი და 2009 წლის ნოემბერი), კოკაი (2008 წლის მარტში).

**ყველაზე ცუდი შედეგი ელიტაში:** 3-12 კოკაი (5-ჯერ) და ტოჩინოშინი (ერთხელ)

**ზედიზედ ყველაზე მეტი მოგებული ელიტაში:** 10 გაგამარუ (2011 წლის სექტემბერში)

**ზედიზედ ყველაზე მეტი წაგებული ელიტაში:** 9 კოკაი (2006 წლის ნოემბერში)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან



# იგორ კოკოშკოვთან ოქტომბრის შუაში...

ყოველ წელს სანაკრებო მატჩების დასრულების შემდეგ გთავაზობთ ინტერვიუს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანთან.** ტრადიციას არც ამჯერად დავარღვევთ, მით უმეტეს, რომ სალაპარაკო თემა საკმაოა. თანაც არა მხოლოდ სანაკრებო... შესავალი აქ დავასრულოთ და ინტერვიუზე გადავიდეთ.

- საქართველოს ნაკრებმა დასახულ მიზანს მიაღწია - გადალახა პირველი ჯგუფური ეტაპის ბარიერი და ევროპის საუკეთესო 12 გუნდს შორის მოხვდა. შესაბამისად, ჩვენი გამოსვლა ევრობასკეტზე დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, ვფიქრობ, რომ არა მცირე უიღბლობა (ტრავმებს ვგულისხმობ), საქართველოს ნაკრები ევროპას კიდევ ერთ პატარა სიურპრიზსაც შესთავაზებდა.

**- მეორე ეტაპზე გუნდს დაღლილობა ეტყობოდა...**

- პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ ეს მოსალოდნელი იყო. ამის ერთ-ერთი მიზეზი ორი წამყვანი კალათბურთელის დანაკლისი გახდა. ზაზა ფაჩულიას ბულგარეთის შემდეგ აღარ უთამაშია, გიორგი ცინცაძემ კი მაკედონიასთან სერიოზული ტრავმა მიიღო და დარჩენილ ორ მატჩში გუნდს ველარ დაეხმარა. გარდა იმისა, რომ ზაზა მაღალი კლასის კალათბურთელია და ფარქვეშ დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს, იგი აწყობილი სისტემის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო და მისი გამოკლების შემდეგ მწვრთნელს სქემების გადახალისებამ მოუწია, რაც მოკლე დროში იოლი საქმე ნამდვილად არ არის. საბოლოოდ ეს მეტ-ნაკლებად წარმატებით მოხერხდა, ფაჩულიას გარეშეც ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავდა და ყველა მატჩში ბოლომდე ღირსეულად იბრძოლა.

**- ვილნიუსში ფიბა-ევროპის გენერალურ მდივან ნარ ძანოლინსაც არაერთხელ შეხვდით. ჩვენი ნაკრების თამაშზე რა აზრისაა?**

- ჩვენი წარმატებით გახარებული ჩანდა, რადგან სწორედ საქართველოსა და ფინეთის ნაკრებების ტოპ-12-ში მოხვედრამ დაამტკიცა, რომ ევრობასკეტზე გუნდების რაოდენობის 16-დან 24-მდე გაზრდა სწორი ნაბიჯი იყო. აქამდე ძირითადად ერთი და იგივე 14 გუნდი მონაწილეობდა ევროპის პირველობაზე, რომლებსაც 2 სხვადასხვა ემატებოდა. ახლა კი ევრობასკეტზე არაერთი ახალი სტილის გუნდი მოხვდა, რამაც სანახაობრივი მხარე აამაღლა. ბევრი ვერ მოიფიქრებდა, რომ ხორვატია ჯგუფიდან ვერ გავიდოდა, იგივე შეიძლება ითქვას იტალიის ნაკრებზე. ლიტვაში ნარ ძანოლინმა 2004 წელი გაგვახსენა, როცა თბილისში საქართველო-ფინეთის მატჩს დაესწრო: იგი სპორტის სასახლეში ცოტა ადრე მივიყვანეთ და ნახევრად გავსებული დარბაზი რომ დაინახა, გაიკვირვა - ასეთ დიდ არენაზე თამაშს რატომ ატარებთო. მალე დარბაზი პირამდე გაივსო, 12 ათასი გულშემატკივარი მოვიდა, ის შეხვედრა ქართველებმა მოვიგეთ და ფიბა-ევროპის გენერალური მდივანიც გაკვირვებული დარჩა.

**- საინტერესოა ნაკრების მწვრთნელის საკითხი. იგორ კოკოშკოვს ოთხწლიანი კონტრაქტი ამოეწურა...**

- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ პაუზა ავიღეთ. თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ არ გვილაპარაკია. მწვრთნელს ოქტომბრის შუაში დავუკავშირდებით და ბევრ რამეს მას შემდეგ გადავწყვეტთ.

**- აპირებთ ახალი ხელშეკრულების შეთავაზებას?**

- მთავარია, რომ იგორ კოკოშკოვის მუშაობით კმაყოფილები ვართ. თუმცა, ჯერ აუცილებელია დარეკვა, მისი აზრის გაგება. ჩვენც შესაბამისად მოვიქცევით...

**- ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ზუსტად 30 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, თუ კიდევ ვინმე დაემატება?**

- დავიწყოთ იქიდან, რომ გასული ევრობასკეტის 6 საუკეთესო გუნდი, ევრო-2013-ის და ოლიმპიადის მასპინძლები (სლოვენია და დიდი ბრიტანეთი) შესარჩევ ტურნირში მონაწილეობას არ მიიღებენ. შესარჩევში რამდენი გუნდი შეიკრიბება, ჯერ ცნობილი არ არის. ფიბა-ევროპა ყველა ფედერაციას წერილობით მიმართავს, რომლის შემდეგ გაირკვევა, ვინ აპირებს ევრობასკეტი-2013-ის შესარჩევ ტურნირში გამოსვლას. სწორედ ამის შემდეგ გვეცოდინება საქართველოსთან ერთად კიდევ ვინ იასპარეზებს შესარჩევში.

**- კარს მოგვადგა საქართველოს ჩემპიონატი. თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენი გუნდი აპირებს მონაწილეობას?**

- შემიძლია ვთქვა, რომ ცხრა გუნდი აუცილებლად ითამაშებს: „არმია", „სოხუმი", თსუ, „რუსთავი", „ქუთაისი", „ბათუმი", შსს, სტუ, „სამედიცინო". თითქმის გადაწყვეტილია, კიდევ ორი გუნდის საკითხი, ერთ-ერთია თბილისის „დინამო".

**- გუნდებს შორის შესაძლოა დიდი სხვაობა იყოს. ამის გამო ჩემპიონატის ფორმატის შეცვლას ხომ არ აპირებთ?**

- „სოხუმი" და „არმია" წლეულს მართლაც საგრძნობლად გაძლიერდნენ, მაგრამ ვიდრე სიტუაცია არ დასტაბილურდება, ჩემპიონატის ფორმატში ძირეული ცვლილებებისგან თავს შევიკავებთ. საერთოდ კი დებულებას რომ ვადგენთ, გუნდებს ვუგზავნით და შემდეგ კლუბების წარმომადგენლებს ვეკითხებით - თუ რამე შესწორებაა საჭირო, გვითხარით და ერთად გადავწყვიტოთ-თქო. ახალ სეზონში სუპერლიგაში მონაწილე გუნდებს განაცხადში 16 კალათბურთელის შეყვანის უფლება ექნებათ, ასევე შეეძლებათ ახალგაზრდული გუნდებიდან 4 მოთამაშის დამატება.

**- საინტერესოა დარბაზების საკითხი...**

- სუპერლიგის მატჩები სპორტის სასახლეში გაიმართება, ხოლო დუდუ დადიანის მემორიალს (რომელიც 6 ოქტომბერს დაიწყება) „აკადემიას" დარბაზი უმასპინძლებს.

**- ვერის ბაღის დარბაზის საკალათბურთო საქმიანობაში დაბრუნება თუ იგეგმება?**

- ეს არენა მერიას ეკუთვნის და თბილისის მერი, გიგი უგულავა დაგვპირდა, რომ 2012 წლისთვის დარბაზი სათანადოდ მოწესრიგდება. ასევე მალე მწყობრში ჩადგება სკა-ს არენა, რომელიც სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**საქართველოს კალათბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ფედერაციის ღვაწლმოსილ მუშაკს, საქართველოს დამსახურებულ არბიტრს როლანდ ხომერიკს მეუღლის გარდაცვალების გამო.**

**დაკრძალვა 29. 09. მისამართი: ვაჟა ფშაველას IV მ/რ, I კორპ.**




msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფეხბურთი და ფინანსები

# ყველაზე ყველაზე ყველაზე...

**ქვემოთ** წაიკითხავთ იმ კლუბების შესახებ, რომლებიც ფეხბურთელთა საერთო ღირებულების მიხედვით ოცდაათეულში შედიან. ფასები აღებულია ცნობილი გერმანული ვებგვერდის "ტრანსფერმარკტის" მონაცემებზე დაყრდნობით. ბუნებრივია, საიტზე მითითებული თანხები, არ შეიძლება საბოლოო ჭეშმარიტებად აღვიქვათ, მაგრამ რაღაც სურათს ის ნამდვილად ქმნის.

## 30-21 ადგილები

**30. ასტონ ვილა.** საერთო ღირებულება: 131,25 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **დარენ ბენტი** 21, **გაბრიელ აგბონლაჰორი** 14 მილიონი.

**29. ცსკა, მოსკოვი.** საერთო ღირებულება: 135,5 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **იგორ აკინფეევი** 18, **სეიდუ დუმბია** 15.

**28. ზენიტი.** საერთო ღირებულება: 137,8 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **დანი** 18, **ბრუნუ ალვეში** 14.

**27. ევერტონი.** საერთო ღირებულება: 138,75 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **მარუან ფელაინი** 19.

26. ბენფიკა. საერთო ღირებულება: 140,1 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ოსკარ კარდოსო** 15 მილიონი.

**25. ლევერკუზენი.** საერთო ღირებულება: 140,3 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **რენატო აუგუსტო** 15, **ანდრე შიურლე** 14 მილიონი.

**24. მარსელი.** საერთო ღირებულება: 154,75 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ლოიკ რემი** 15,5, **სტივ მანდანდა** 15,5, **სტეფან მბია** 15 მილიონი.

**23. ლიონი.** საერთო ღირებულება: 156,3 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ლისანდრო ლოპესი** 22, **იოან გურკუფი** 20, **უგო ლორისი** 17 მილიონი.

**22. ვილიარეალი.** საერთო ღირებულება: 157,2 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ჯუზეპე როსი** 30, **ნილმარი** 20 მილიონი.

**21. შახტარი.** საერთო ღირებულება: 157,7 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **დარიო სრნა** 16 მილიონი.

## 20-11 ადგილები

**20. ფიორენტინა.** საერთო ღირებულება: 158,575 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **სტევან იოვეტიჩი** 17,5, **რიკარდო მონტოლივო** 16, **ალბერტო ჯილარდინო** 16, **ხუან ვარგასი** 15 მილიონი.

**19. ვალენსია.** საერთო ღირებულება: 164,5 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **რობერტო სოლდადო** 14 მილიონი.

**18. დორტმუნდი.** საერთო ღირებულება: 175,7 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **მარიო გიოტცე** 30, **ნევენ სუბოტიჩი** 18, **მატს ჰუმელსი** 18, **ლუკას ბარიოსი** 17 მილიონი.

**17. რომა.** საერთო ღირებულება: 179,95 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **დანიელე დე როსი** 31, **ბოიან კრკიჩი** 15 მილიონი.

**16. ნაპოლი.** საერთო ღირებულება: 189,05 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ედინსონ კავანი** 24,5, **მარეკ ჰამშიკი** 24, **ესეკიელ ლავესი** 23,5, **გიოკჰან ინლერი** 16 მილიონი.

**15. ატლეტიკო.** საერთო ღირებულება: 190,5 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **რადამელ ფალკაო** 30, **არდა თურანი** 15,5, **ხოსე ანტონიო რეიესი** 15 მილიონი.

**14. პარი სენ-ჟერმენი.** საერთო ღირებულება: 192,5 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ხავიერ პასტორე** 30, **მამადუ სახო** 16, **ჟერემი მენეზი** 15, **დიეგო ლუგანო** 14 მილიონი.

**13. პორტუ.** საერთო ღირებულება: 192,7 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ჰალკი** 31, **ჟოაო მოუტინიო** 20, **ალვარო პერეირა** 15, **ფერნანდო** 14, **როლანდო** 14 მილიონი.

**12. ლივერპული.** საერთო ღირებულება: 246 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **სტივენ ჯერარდი** 30, **ლუის სუარესი** 28, **პეპე რეინა** 22, **ენდი კეროლი** 20, **სტიუარტ დაუნინგი** 16, **გლენ ჯონსონი** 15 მილიონი.

**11. იუვენტუსი.** საერთო ღირებულება: 263,6 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ჯორჯო კიელინი** 26, **არტურო ვიდალი** 20, **მილოშ კრასიჩი** 20, **მირკო ვუჩინიჩი** 18,5, **კლაუდიო მარკიზიო** 18, **ჯანლუიჯი ბუფონი** 17, **ალესანდრო მატრი** 16,5.

## 10-1 ადგილები

**10. მილანი.** საერთო ღირებულება: 268,55 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** 35, **ალეშანდრო პატო** 34, **რობინიო** 22, **ანტონიო კასანო** 15 მილიონი.

**9. ტოტენჰემი.** საერთო ღირებულება: 274,55 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ლუკა მოდრიჩი** 33, **გარეთ ბეილი** 25, **რაფაელ ვან დერ ვაარტი** 22, **აარონ ლენონი** 21, **ემანუელ ადებაიორი** 17, **ჯერმეინ დეფო** 15, **სკოტ პარკერი** 14 მილიონი.

**8. არსენალი.** საერთო ღირებულება: 291,3 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **რობინ ვან პერსი** 30, **ჯეკ უილშირი** 20, **ალექს სონგი** 19, **ბაკარი სანია** 18, **ტომას ვერმაელენი** 18, **ანდრეი არშავინი** 17, **ჟერვინიო** 16, **თეო უოლკოტი** 16, **მიკელ არტეტა** 15, **მარუან შამახი** 14.

**7. ინტერი.** საერთო ღირებულება: 317,2 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ვესლი სნეიდერი** 40, **მაიკონი** 24,5, **ესტებან კამბიასო** 24, **ჯამპაოლო პაცინი** 21, **ჟულიო სეზარი** 19, **ანდრეა რანოკია** 17,5, **დიეგო მილიტო** 17, **ტიაგო მოტა** 15, **მაურო სარატე** 14 მილიონი.

**6. ბაიერნი.** საერთო ღირებულება: 334,85 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **არიენ რობენი** 40, **ფრანკ რიბერი** 38, **ბასტიან შვაინშტაიგერი** 35, **მარიო გომესი** 35, **თომას მიულერი** 33, **ფილიპ ლამი** 28, **მანუელ ნოიერი** 28, **ლუის გუსტავო** 15 მილიონი.

**5. მანჩესტერ იუნაიტედი.** საერთო ღირებულება: 405,3 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **უეინ რუნი** 54, **ნემანია ვიდიჩი** 37, **ნანი** 29, **პატრის ევრა** 25, **დიმიტარ ბერბატოვი** 24, **ანტონიო ვალენსია** 21, **დარენ ფლეტჩერი** 20, **ეშლი იანგი** 20, **ანდერსონი** 19, **ჩიჩარიტო** 19, **დავიდ დე ხეა** 18, **მაიკლ ქერიკი** 16, **რიო ფერდინანდი** 14 მილიონი.

**4. ჩელსი.** საერთო ღირებულება: 421 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ფერნანდო ტორესი** 42, **მიკაელ ესიენი** 34, **ჯონ ტერი** 30, **პეტრ ჩეხი** 28, **ხუან მატა** 26, **ეშლი კოული** 25, **ბრანისლავ ივანოვიჩი** 23, **დავიდ ლუიზი** 23, **ჯონ ობი მიკელი** 20, **რამირესი** 19, **დიდიე დროგბა** 17, **ფლორან მალუდა** 17, **რაულ მეირელეში** 16, **ფრენკ ლემპარდი** 16, **რომელუ ლუკაკუ** 15, **სალომონ კალუ** 14 მილიონი.

**3. მანჩესტერ სიტი.** საერთო ღირებულება: 433,5 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **კუნ აგუერო** 40, **კარლოს ტევესი** 40, **დავიდ სილვა** 34, **იაია ტურე** 29, **ედინ ჯეკო** 28, **სამირ ნასრი** 26, **ვენსან კომპანი** 25, **მარიო ბალოტელი** 24, **ნაიჯელ დე იონგი** 21, **ჯეიმს მილნერი** 18, **ჯო ჰარტი** 18, **ჯოლეონ ლესკოტი** 15, **კოლო ტურე** 15, **ალექსანდარ კოლაროვი** 15, **გარეთ ბერი** 14, **გაელ კლიში** 14 მილიონი.

**2. რეალი.** საერთო ღირებულება: 531 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **კრიშტიანო რონალდო** 90, **ჩაბი ალონსო** 35, **იკერ კასილიასი** 35, **მესუთ იოზილი** 32, **კარიმ ბენზემა** 30, **გონსალო იგუაინი** 30, **კაკა** 30, **სერხიო რამოსი** 30, **პეპე** 28, **ანხელ დი მარია** 25, **მარსელო** 25, **ფაბიო კოენტრაუ** 24, **სამი ხედირა** 20, **ლასანა დიარა** 15 მილიონი.

**1. ბარსელონა.** საერთო ღირებულება: 606,1 მილიონი. ყველაზე ძვირად ღირებული: **ლიონელ მესი** 100 **ანდრეს ინიესტა** 65, **სესკ ფაბრეგასი** 54, **ჩავი** 45, **დავიდ ვილია** 45, **ჟერარდ პიკე** 38, **დანი ალვეში** 35, **სერხიო ბუსკეტსი** 35, **პედრო** 28, **ალექსის სანჩესი** 26, **ხავიერ მასკერანო** 25, **ვიქტორ ვალდესი** 20, **ტიაგო ალკანტარა** 15, **იბრაჰიმ აფელაი** 14, **კარლეს პუიოლი** 14 მილიონი.

**ლევან ბიბილაშვილი**




დაპირისპირება

# რუმენიგე: არც ფიფა გვჭირდება და არც უეფა!



კარლ-ჰაინც რუმენიგე

ფიფას და უეფას ბოსებს ეს განცხადება ნამდვილად გაალიზიანებდა. „ბაიერნის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** რადიო „დოიჩლანდფუნკს" ასეთი რამ უთხრა: *„ფიფა და უეფა საერთოდ აღარ გვჭირდება. თვითონ ფიფას და უეფას კი ძალიან სჭირდებათ კლუბები."*

56 წლის რუმენიგე არ მალავს, რომ ეს ყველაფერი ფიფასა და უეფას ბოსებს, **ზეპ ბლატერსა** და **მიშელ პლატინის** პირშიც უთხრა. *„დიახ, ეს მათაც ვუთხარი. საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ფეხბურთის ფესვები საკლუბო ფეხბურთიდან მოდის,"* - აგრძელებს რუმენიგე.

რაში სჭირდება კალეს ასეთი განცხადებების გაკეთება? აღსანიშნავია, რომ რუმენიგე, რომელიც ევროპის საკლუბო გაერთიანების შეფიცაა, ფიფასა და უეფას საკმაოდ დიდი ხანია აკრიტიკებს და ორივე სტრუქტურაში დემოკრატიულ რეფორმებს ითხოვს. *„ფიფასა და უეფაში ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ფეხბურთის დემოკრატიზება არ მოხდეს, რადგან ეს არც ფიფაში და არც უეფაში, არავის აძლევს ხელს,"* - ბრაზობს რუმენიგე.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## ცვლილება უკრაინაში

უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ოლეგ ბლოხინს** ეროვნულ გუნდში ცვლილება შემადგენლობის დასახელებიდან 48 საათში მოუხდა. 7 ოქტომბერს (კიევში ბულგარეთთან) და 11 ოქტომბერს (ტალინში ესტონეთთან) დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრებისთვის მას კიევის "დინამოს" 24 წლის ცენტრალური მცველი **ევგენი ხაჩერიდი** დააკლდება. კიეველი ექიმების დასკვნით, ფეხბურთელს ფეხის ტრავმის მოსაშუშებლად 3 კვირა დასჭირდება. მის ნაცვლად ქვეყნის მთავარი გუნდის ღირსებას "დნიპროს" 25 წლის უკანახაზელი **ვიტალი მანძიუკი** დაიცავს. ამ უკანასკნელს უკრაინის ნაკრებში 18-ჯერ უთამაშია.

## პლატინის თხოვნა

უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** სთხოვს ევროპულ ქვეყნებს, რომ მათ გაამკაცრონ კანონმდებლობა ჩაწყობილი თამაშების წინააღმდეგ საბრძოლველად. მან აღნიშნული განცხადება ევროპის საბჭოს წინაშე გამოსვლისას გააკეთა და იქვე დასძინა, რომ ის გარიგებულ თამაშებს ზოგადად სპორტის უმთავრეს პრობლემად მიიჩნევს: *"ევროპული ფეხბურთი დიდი საფრთხის ქვეშაა. გარიგებული მატჩების მზარდი რიცხვი დიდწილად ბუკმეკერების დამსახურებაა, რადგან ისინი ფსონს რეალურ დროში იღებენ. მსგავსი პრაქტიკა ყველა ქვეყანას უქმნის საფრთხეს, რადგან ყველამ ვიცით, რომ ასეთ გარიგებებს ძირითადად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები დებენ"*.

ფრანგმა ფუნქციონერმა მაგალითად დაასახელა იტალია, პორტუგალია, ესპანეთი, პოლონეთი და დიდი ბრიტანეთი, ქვეყნები, სადაც სპორტული მაქინაციები კანონის დასჯადად არის გამოცხადებული, თუმცა მისი ღრმა რწმენით, ასეთი ქმედებების მხოლოდ დასჯადად გამოცხადება საკმარისი არ არის.

## სარეკორდო თავური

ნორვეგიული უმაღლესი ლიგის "ოლდ გრინლანდის" ნახევარმცველ **იონე სამუელსენის** სახელი მალე ალბათ გინესის რეკორდების წიგნში ჩაიწერება. 25 სექტემბერს მან "ტრომსოსთან" შეხვედრის ბოლო წამებზე (საბოლოოდ 3:1 მასპინძელთა სასარგებლოდ) მეტოქეს გოლი თავით ზუსტად 57,3 მეტრიდან გაუტანა. ამ დროს სტუმართა კარის დარაჯი თავის თავდამსხმელების დასახმარებლად მეტოქის ნახევარზე იყო. სიმართლე ითქვას, სამუელსენი ბურთს მხოლოდ იგერიებდა და გატანა გამიზნული არ ჰქონდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ბურთი წესების დაცვით გავიდა "ტრომსოს" კარში. "ოლდ გრინლანდმა" უკვე ოფიციალურად მიმართა გინესის რეკორდების დამდგენ კომისიას და მიღწევის დაფიქსირება სთხოვა. *"გოლი რა თქმა უნდა შემთხვევით გავიდა, ეს რომ არ ვაღიარო, არაგულწრფელი ვიქნები. რეალურად მე ვერც ვხედავდი სად მიდიოდა ბურთი და იდგა თუ არა კარში მეკარე,"* – განაცხადა გახარებულმა სამუელსენმა.

## ამუმას შვებულება

"კანის" წამყვანმა ნახევარმცველმა, 24 წლის **რომაინ ამუმამ** ბეჭების ტრავმა მიიღო და ექიმების დასკვნით, ფეხბურთის 3 კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს, - გვამცნობს "ფრანს ფუტბოლი". მან ეს დაზიანება "ევიანთან" ლიგა 1-ის მე-8 ტურის შეხვედრის 45-ე წუთზე მიიღო. მატჩი **ფრანკ დიუმას** შეგირდების გამარჯვებით 4:2 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ რომაინს იქამდე 7 ტური თავიდან ბოლომდე ჰქონდა ჩატარებული.

## აიაქსის ანტირეკორდი

ამსტერდამის "აიაქსმა" "რეალთან" შეხვედრაში ევროთასებზე კლუბის ყველა დროის ანტირეკორდი დაამყარა. საქმე იმაშია, რომ **ფრანკ დე ბურის** შეგირდებმა ბოლო გოლი ევროპაში 2011 წლის 24 თებერვალს "ანდერლეხტთან" გაიტანეს. მას შემდეგ აგერ უკვე 4 თამაშია, აიაქსელები ამაოდ ირჯებიან. გეტყვით, რომ დე ბურის გუნდმა მოსკოვის ევროპის ლიგის შარშანდელი გათამაშების 1/8-ფინალში "სპარტაკთან" 0:1, 0:3 წააგო, წელს კი ჯერ "ლიონთან" ითამაშა 0:0, შემდეგ კი "რეალთან" დამარცხდა 0:3. მშრალი სერია უკვე 433 წუთს შეადგენს.

## ბლანი პსჟ-ში

"პარიზიენის" ცნობით "პარი სენ ჟერმენის" გენერალურ დირექტორად უახლოეს დღეებში **ჟან კლოდ ბლანი** დაინიშნება. ფეხბურთის გულშემატკივარს ეხსომება, რომ ის ამ თანამდებობაზე ტურინის "იუვენტუსში" 1996 წლიდან 2011-მდე მუშაობდა, თანამდებობიდან კი წინა სეზონის დამთავრების შემდეგ თავად გადადგა. ბლანი "ბებერი ქალბატონის" ადმინისტრაციაში ისევ რჩებოდა და ახალი სტადიონის გახსნის საქმეებს კურირებდა. მოლაპარაკებები ბლანსა და პსჟ-ს შორის სულ რამდენიმე კვირის წინ დაიწყო. როგორც ხედავთ, ის წარმატებით დასრულდა. ახალ გენდირექტორს გულშემატკივარს პარიზში ოქტომბრის შუა რიცხვებში წარუდგენენ.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასი ამერიკიდან

## არგენტინა. აპერტურა. IX ტური


ფრანკო ვასკესი

# ეკვადორი ბოკამ მოიგო

## ახალი რიკელმე არგენტინაში, რომელიც მალე პალერმოში ითამაშებს

**ოლიმპო-არსენალი 2:2**

გოლები: 0:1 ლ. ლოპესი (39), 0:2 სელაია (48), 1:2 როლე (73), 2:2 როლე (76)

**სან მარტინი-ატლეტიკო 2:1**

გოლები: 0:1 განდინი (10), 1:1 ლანდა (53), 2:1 საავედრა (84)

**ინდეპენდიენტე-ველესი 0:1**

გოლი: 0:1 რამირესი (34)

**ტიგრე-ოლ ბოისი 1:1**

გოლები: 0:1 მატოსი (45), 1:1 მარტინესი (87)

**ესტუდიანტესი-ბელგრანო 2:3**

გოლები: 0:1 ფარე (10), 0:2 მანსანელი (44-პენ), 1:2 ვერონი (71-პენ), 1:3 გრანა (75), 2:3 საპატა (89)

გაძევება: ფარე (24. ბელგრანო)

**სანტა ფე-ბანფილდი 1:0**

გოლი: 1:0 ბარალესი (80)

**ლანუსი-კოლონი 1:1**

გოლები: 1:0 პერეირა (1), 1:1 პელეგრინო (76)

**ნიუელსი-გოდოი კრუსი 1:1**

გოლები: 1:0 აკინო (36), 1:1 კასტილიონი (59)

**სან ლორენსო-რასინგი 0:0**

**არხენტინოსი-ბოკა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოკა | 9 | 6 | 3 | 0 | 11-2 | 21 |
| 2. რასინგი | 9 | 4 | 5 | 0 | 8-2 | 17 |
| 3. ლანუსი | 9 | 4 | 4 | 1 | 10-4 | 16 |
| 4. ტიგრე | 9 | 4 | 4 | 1 | 12-8 | 16 |
| 5. ბელგრანო | 9 | 4 | 4 | 1 | 11-7 | 16 |
| 6. კოლონი | 9 | 4 | 4 | 1 | 9-6 | 16 |
| 7. ატლეტიკო | 9 | 5 | 1 | 3 | 14-11 | 16 |
| 8. გოდოი კრუსი | 9 | 3 | 4 | 2 | 15-12 | 13 |
| 9. სანტა ფე | 9 | 3 | 4 | 2 | 7-8 | 13 |
| 10. სან ლორენსო | 9 | 3 | 2 | 4 | 10-11 | 11 |
| 11. ველესი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-8 | 11 |
| 12. ინდეპენდ. | 9 | 3 | 1 | 5 | 6-8 | 10 |
| 13. ოლ ბოისი | 9 | 2 | 4 | 3 | 8-13 | 10 |
| 14. სან მარტინი | 9 | 2 | 4 | 3 | 7-8 | 10 |
| 15. არსენალი | 9 | 2 | 3 | 4 | 11-12 | 9 |
| 16. ნიუელსი | 9 | 1 | 6 | 2 | 6-7 | 9 |
| 17. ოლიმპო | 9 | 1 | 5 | 3 | 9-12 | 8 |
| 18. ესტუდიანტესი | 9 | 1 | 2 | 6 | 10-17 | 5 |
| 19. არხენტინოსი | 9 | 0 | 5 | 4 | 6-14 | 5 |
| 20. ბანფილდი | 9 | 1 | 1 | 7 | 2-11 | 4 |

**ბომბარდირები:** 5 - განდინი (ატლეტიკო), გუტიერესი (რასინგი), რამირესი (გოდოი კრუსი), როლე (ოლიმპო); 4 - ა. კასტრო (ატლეტიკო), მატოსი (ოლ ბოისი).

**მომდევნო ტური**

30 სექტემბერი: ბელგრანო-არხენტინოსი.

1 ოქტომბერი: ბანფილდი-ნიუელსი, ატლეტიკო-ლანუსი, ველესი-სან მარტინი.

2 ოქტომბერი: ოლ ბოისი-ოლიმპო, რასინგი-ინდეპენდიენტე, ბოკა-ტიგრე, კოლონი-ესტუდიანტესი.

3 ოქტომბერი: არსენალი-სანტა ფე, გოდოი კრუსი-სან ლორენსო.

ეს ტური ლიდერთა შავ ტურადაც შეიძლება მოვიხსენიოთ, მანამდე წინ გაჭრილმა შვიდმა გუნდმა დაკარგა ქულები. საოცარი ისაა, რომ ამათგან თითქმის ყველამ (რაფაელას „ატლეტიკოს" გარდა) ფრედ ითამაშა. ლიდერთა პელეტონში დიდად არაფერი შეცვლილა, „ბოკა ხუნიორსი" ისევ 4-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს. ერთადერთი, „ბელგრანომ" ისარგებლა ლიდერთა ჯგუფის წაფორხილებით და ახლა თავადაც ამ ჯგუფის წევრია.

### ტურის მოვლენები

**ხავიერ ტორენტე** აღარ არის „ნიუელზ ოლდ ბოისის" თავკაცი. ერთ დროს **მარსელო ბიელსას** ასისტენტი „გოდოი კრუსთან" ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ გაუშვეს. თავისთავად, „გოდოი კრუსთან" ფრე სამარცხვინო სულაც არ არის, მაგრამ „ნიუელსს" აგერ უკვე ზედიზედ მეხუთე მატჩია ვერ მოუგია. „კეთროვნებს" სულ ერთი მოგება აქვთ ჩემპიონატში და მათ ხელმძღვანელობას სულაც არ აკმაყოფილებს ის მე-16 ადგილი, რომელიც ახლა გუნდს უკავია, **ლეო მესის** მშობლიურ გუნდს გაცილებით დიდი ამბიცია აქვს.

კლუბის ხელმძღვანელობას სურს, **ამერიკო გალიეგომ** გაწვრთნას „ნიუელსი", კანდიდატთა შორისაა პარაგვაის ნაკრების თავკაცი **ხერარდო მარტინოც**. სანამ სიტუაცია გაირკვევა, „კეთროვნებს" სარეზერვო გუნდის თავკაცი **სერხიო ჯოვანიოლი** გაწვრთნის. ჩემპიონატში სულ 9 ტური გავიდა და ეს უკვე მე-4 მწვრთნელი შეეწირა ცუდ შედეგებს (**მენდესი** (ბანფილდი), **მოჰამედი** (ინდეპენდიენტე) და **ტროლიო** (არხენტინოსი)).

„ველეს სარსფილდმა", როგორც იქნა, მოიგო - ხუთმატჩიანი სერია შეწყვიტა. სამი ქულა სამ ქულად, მაგრამ „ველესმა" ვერც „ინდეპენდიენტესთან" ითამაშა ხეირიანად. უბრალოდ, მეტოქე უფრო სუსტი იყო, რაც გასაკვირია გუნდში **რამონ დიასის** მისვლის შემდეგ.

**ნესტორ გოროსიტომ** „არხენტინოსში" პირველი ქულა მოიპოვა და ეს „ბოკასთან" შეძლო. „ხოჭოებმა" ყველაფერში აჯობეს ლიდერს და, რომ არა ნახევარმცველ **რობერტო ბრუმის** ცუდი თამაში დამაგვირგვინებელ ფაზაში (მან ლამის კარის ხაზიდან ააცილა ბურთი „ბოკას" კარს), მოუგებდნენ კიდეც მას.

კიდევ ერთმა ცნობილმა გუნდმა შეიძლება, გაიზიაროს „რივერ პლეიტის" ბედი და გავარდეს ელიტიდან - „სან ლორენსო" საკლასიფიკაციო ცხრილში მე-17 ადგილამდე დაქვეითდა.

### ტურის ციფრები

ახალი სეზონისთვის სტანდარტად იქცა მცირეგოლიანობა - ამ ტურში მხოლოდ 21 გოლი გავიდა. ისიც, რომ არა „ბელგრანო" და „ესტუდიანტესი", სტატისტიკა კიდევ უფრო კატასტროფული იქნებოდა. სტუმრები ისევ წინ არიან - 11:10 ამჯერადაც მათ სასარგებლოდ.

**მარტინ როლე** ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც დუბლი შეასრულა. ამით მან „ოლიმპო" მარცხისგან იხსნა (მისი გუნდი 0:2-ს აგებდა „არსენალთან"). როლე ბომბარდირთა დავაში ლიდერებს (5-5 გოლი) **დარიო განდინს** (ატლეტიკო), **ტეო გუტიერესს** (რასინგი) და **რუბენ რამირესს** (გოდოი კრუსი) გაუტოლდა.

**ტურის მატჩი**

**ესტუდიანტესი vs ბელგრანო**

არის ალტერნატივაც - „სან ლორენსო"-"რასინგი" უფრო დაძაბული იყო და მეტი საგოლე მომენტიც შეიქმნა, ბოლობოლო კლასიკო იყო, მაგრამ გოლი, ფეხბურთის მთავარი მშვენება არ გასულა, ლაპლატური და კორდოვული გუნდების მატჩში კი ამის პრობლემა არ ყოფილა.

**ტურის გმირი**

**ფრანკო ვასკესი (ბელგრანო)**

„ბელგრანო" და **ფრანკო ვასკესი** ამ ჩემპიონატის აღმოჩენები არიან. ვასკესი კლასიკური ენგანჩეა (გამთამაშებელი), რომელსაც სულ უფრო ნაკლებად იყენებენ ფეხბურთში, თუმცა ის ახალგაზრდაა, სულ რაღაც 22 წლისა. თუმცა „ბელგრანოს" ფანებს დიდხანს აღარ მოუწევთ ვასკესის თამაშით ტკბობა - ფეხბურთელს იტალიურ „პალერმოსთან" აქვს გაფორმებული კონტრაქტი და მალე სიცილიურ კლუბში ჩავა - „ბელგრანო" კი მის სანაცვლოდ 4,5 მილიონ ევროს მიიღებს. ვასკესის თამაში ახალგაზრდა **რიკელმეს** გვაგონებს.

**ტურის ანტიგმირი**

**აგუსტინ სილვა (ესტუდიანტესი)**

23 წლის გოლკიპერი **აგუსტინ სილვა** სათადარიგოა გუნდში, სწორედ მისი ბრალია „ბელგრანოსთან" მარცხი, სამივე გოლი მის კისერზეა.

### ტურის გოლები

**ლისანდრო ლოპესი** (ოლიმპო), **მაურისიო პერეირა** (ლანუსი), **რომან მარტინესი** (ტიგრე).

### რივერი ისევ ლიდერია

მოდი, ვნახოთ რა დღეშია „რივერი" - პრიმერადან გავარდნილი გრანდი 15 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, მეორე ადგილზე კი „როსარიოა" 14 ქულით. ბოლო ტურში „რივერ პლეიტმა" „ხიმნასია დე ლა პლატას" მოუგო - 2:0. გოლები მეორე ტაიმში გავიდა (**ფუნიეს-მორი** და **მაურო დიასი**).

## ბრაზილია. სერია A. XXVI ტური

# ფლამენგომ ნავსი გატეხა

**სანტოსი-ფიგეირენსე 2:3**

გოლები: 0:1 ჟულიო სეზარი (8), 1:1 ბორჟესი (24), 1:2 ველინგტონ ნემი (26), 2:2 ლეო (45), 2:3 ჟულიო სეზარი (84-პენ)

**ფლამენგო-ამერიკა 2:1**

გოლები: 0:1 კემპესი (30-პენ), 1:1 დეივიდი (62), 2:1 ტიაგო ნევესი (88)

**ატლეტიკო პ-ფლუმინენსე 1:1**

გოლები: 1:0 ბაიერი (62), 1:1 ფრედი (90-პენ)

გაძევება: რაფაელ სანტოსი (69. ატლეტიკო), პაბლო (90. ატლეტიკო)

**კორინთიანსი-ბაია 1:0**

გოლი: 1:0 ემერსონი (57)

გაძევება: ემერსონი (83. კორინთიანსი)

**ბოტაფოგო-სან პაულუ 2:2**

გოლები: 1:0 აბრეუ (25), 2:0 აბრეუ (40-პენ), 2:1 ენრიკე (66), 2:2 რივალდო (90)

**კრუზეირო-ვასკუ და გამა 0:3**

გოლები: 0:1 დიეგო სოუზა (39), 0:2 დიეგო სოუზა (59), 0:3 დიეგო სოუზა (81)

გაძევება: მარკინიოსი (75. კრუზეირო)

**ავაი-გრემიო 1:2**

გოლები: 0:1 ფერნანდესი (42), 0:2 დუგლასი (46), 1:2 პედრო კენი (70)

**ინტერნასიონალი-ატლეტიკო მ. 2:1**

გოლები: 1:0 ბოლატი (26), 1:1 რენანი (69), 2:1 ფაბრისიო (75)

გაძევება: რევერი (77. ატლეტიკო), როდრიგო მოლედო (87. ინტერნასიონალი)

**ატლეტიკო გ-პალმეირასი 1:1**

გოლები: 0:1 ენრიკე (23), 1:1 ტიაგო ფელტრი (80)

გაძევება: ანდერსონი (42. ატლეტიკო), ვიტორ ჟუნიორი (62. ატლეტიკო)

**სეარა-კორიტიბა 3:2**

გოლები: 1:0 როჟერი (7), 1:1 ბილი (19), 2:1 ედმილსონი (39), 2:2 ბილი (48), 3:2 როჟერი (68)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვასკუ და გამა | 26 | 14 | 7 | 5 | 41-28 | 49 |
| 2. კორინთიანსი | 26 | 14 | 5 | 7 | 37-26 | 47 |
| 3. სან პაულუ | 26 | 13 | 7 | 6 | 41-30 | 46 |
| 4. ბოტაფოგო | 25 | 13 | 6 | 6 | 40-28 | 45 |
| 5. ფლუმინენსე | 26 | 13 | 2 | 11 | 34-31 | 41 |
| 6. ფლამენგო | 26 | 10 | 11 | 5 | 42-34 | 41 |
| 7. ინტერნასიონ. | 26 | 10 | 10 | 6 | 43-33 | 40 |
| 8. პალმეირასი | 26 | 9 | 12 | 5 | 32-25 | 39 |
| 9. კორიტიბა | 26 | 10 | 6 | 10 | 44-34 | 36 |
| 10. ფიგეირენსე | 26 | 9 | 9 | 8 | 32-33 | 36 |
| 11. სანტოსი | 24 | 10 | 5 | 9 | 36-37 | 35 |
| 12. ატლეტიკო გ. | 26 | 9 | 8 | 9 | 32-29 | 35 |
| 13. გრემიო | 25 | 9 | 6 | 10 | 29-33 | 33 |
| 14. სეარა | 26 | 8 | 6 | 12 | 33-44 | 30 |
| 15. ბაია | 26 | 7 | 9 | 10 | 29-33 | 30 |
| 16. კრუზეირო | 26 | 8 | 5 | 13 | 31-33 | 29 |
| 17. ატლეტიკო მ. | 26 | 7 | 4 | 15 | 32-44 | 25 |
| 18. ატლეტიკო პ. | 26 | 5 | 9 | 12 | 25-38 | 24 |
| 19. ავაი | 26 | 5 | 7 | 14 | 30-54 | 22 |
| 20. ამერიკა | 26 | 3 | 10 | 13 | 32-48 | 19 |

**ბომბარდირები:** 19 - ბორჟესი (სანტოსი); 13 - ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), რონალდინიო (ფლამენგო); 12 - მონტილიო (კრუზეირო); 10 - ბილი (კორიტიბა), დეივიდი (ფლამენვო), ვილიამი (ავაი).

**მომდევნო ტური**

1 ოქტომბერი: **პალმეირასი-ამერიკა, ფლუმინენსე-სანტოსი, ბაია-ავაი.**

2 ოქტომბერი: **სან პაულუ-ფლამენგო, ვასკუ და გამა-კორინთიანსი, ატლეტიკო მ.-სეარა, ფიგეირენსე-კორიტიბა, ატლეტიკო პ-ინტერნასიონალი, გრემიო-კრუზეირო, ატლეტიკო გ.-ბოტაფოგო.**

ტური შაბათის სამი მატჩით დაიწყო, რომელთაგან ერთი სკანდალური გამოდგა - „ატლეტიკო პარანაენსეს" „ფლამენგო" ეწვია. **აბელ ბრაგას** გუნდი ბოლო დროს ისევ ჩაება საჩემპიონო დოლში. ისეთი დაძაბული მატჩი გამოდგა, რომ რეფერი იძულებული გახდა, 2 წითელი და 8 ყვითელი ბარათი ეჩვენებინა ფეხბურთელებისთვის. მთავარი სკანდალი მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე მოხდა, სტუმრები 0:1 მარცხდებოდნენ, როცა ჩემპიონს პენალტი ნახევარმცველმა **ლანსინიმ** მოუპოვა, მაგრამ ეს მან აშკარა სიმულაციის წყალობით შეძლო. მსაჯი მოტყუვდა, პენალტი კი **ფრედმა** უნაკლოდ შეასრულა - 1:1. პარანელები ამ უსამართლობის გამო ვერ ამოვიდნენ გავარდნის ზონიდან, ხოლო „ფლუმინენსე" მე-5 ადგილს „ფლამენგოსთან" იყოფს, რომელმაც, როგორც იქნა, მოიგო.


ტურში ერთადერთი ჰეთ თრიკის ავტორი დიეგო სოუზა

დიახ, „რუბრო-ნეგრო" ზედიზედ 10 ტური ვერ იგებდა, მაგრამ სერია აუტსაიდერ და გავარდნის პირველ კანდიდატ „ამერიკასთან" შეწყვიტა. სხვათა შორის, არცთუ იოლად მოიგო „ფლამენგომ". მართალია, „სანტოსის" გულშემატკივრები კვლავ გაახარა ბორჟესმა, რომელმაც მე-19 გოლი გაიტანა, მაგრამ კლუბი მოულოდნელად შინ „ფიგეირენსესთან" დამარცხდა - 2:3.

ტურის ცენტრალურ მატჩში ჩემპიონობის კანდიდატები, „ბოტაფოგო" და „სან პაულუ" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ძალზე დაძაბული შეხვედრა საბოლოოდ 2:2 დასრულდა.

## ამბები

### მსაჯი სიკვდილს გადაარჩინეს

„ატლეტიკო პარანაენსესა" და „"ფლუმინენსეს" მატჩის ბოლო წუთზე მსაჯმა უსამართლოდ დანიშნა პენალტი, რისთვისაც, კინაღამ პარანელი ფანების მსხვერპლი შეიქნა. ფანები მსაჯთა ბრიგადას გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბთან დაუდარაჯდნენ. პოლიციას ხელკეტებისა და რეზინის ტყვიების გამოყენება დასჭირდა მათ გასაყრელად.

### რომარიო - მეორე პელე

ბრაზილიური ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი **რომარიო** ამტკიცებს, რომ ის იყო ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი **პელეს** შემდეგ, რომ **დიეგო მარადონა** ახლოსაც ვერ მივიდოდა მასთან. აი, რა განაცხადა მან „ესპორტეს" ეთერში: „პელე, მე და დიეგო მარადონა ვართ მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელები. პელე ნომერ პირველია, მაგრამ მის მერე მე ვარ და არა დიეგო. რით მჯობდა მარადონა? კარიერის განმავლობაში მე მეტს მივაღწიე. უფრო მეტი ტიტულიც მოვიგე და მეტი გოლიც გავიტანე".

### დამიაო დაიმტვრა

**ლეანდრო დამიაო**, რომელზეც ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, თვე-ნახევრის განმავლობაში ვერ დაეხმარება „ინტერნასიონალს". 22 წლის ფორვარდმა „ფიგეირენსესთან" მატჩის 27-ე წუთზე კუნთი დაიზიანა და მოედანი დატოვა. სამედიცინო შემოწმების დასკვნა ასეთია - 6 კვირა დამიაო ვერაფრით ითამაშებს, აღდგენით პროცესს ამხელა დასვენება ესაჭიროება.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი


პროსინეჩკი და ჯოკოვიჩი

# ჯოკოვიჩი ფეხბურთს თამაშობს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** აგრძელებს საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ „ნოლემ" დევისის თასის მატჩში **ხუან მარტინ დელ პოტროს** წინააღმდეგ ზურგის ტრავმა მიიღო და ამის გამო შანხაის მასტერსის გამოტოვებას აპირებს, სერბმა ბელგრადში საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩში მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრა „ცრვენა ზვეზდას" სტადიონზე გაიმართა, რომელსაც ადგილობრივები მეორენაირად „მარაკანასაც" უწოდებენ. მატჩში მონაწილეობა მიიღო „ცრვენა ზვეზდას" ქალთა გუნდმა და ფილმის - „ღმერთო, აკურთხე მონტევიდეო!" (ეს სურათი მოგვითხრობს იუგოსლავიის ნაკრების მოგზაურობის შესახებ ურუგვაიში, მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე) გადამღები ჯგუფი.

ჯოკოვიჩი ქალთა გუნდს შეუერთდა, რომლის რიგებში თამაშობდა ლეგენდარული ხორვატი ფეხბურთელი **რობერტ პროსინეჩკი**. „მონტევიდეოს" გუნდში ვიხილეთ იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **პერიცა ოგნენოვიჩი**. მატჩის საბოლოო ანგარიშია - 4:2 ჯოკოვიჩის გუნდის სასარგებლოდ. თავად ჩოგბურთელმა ერთი გოლი პენალტით გაიტანა.

ამ მატჩიდან შემოსული თანხა - დაახლოებით რვა ათასი დოლარი სერბეთში ბავშვთა კლინიკების აღჭურვისთვის დაიხარჯება.

დოპინგი

# გერმანიაში ძველ ცოდვებს იკვლევენ


ალბერტო კონტადორი

გერმანიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მოიპოვა საინტერესო მასალები, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დოპინგის გამოყენების ფაქტებს ეხება.

კომიტეტის ერთ-ერთი ჩინოვნიკის სიტყვებით, ისინი ამ ინფორმაციის დაწვრილებით შესწავლას აპირებენ. ოქტომბრის ბოლოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე გაიმართება ამ საქმის განხილვა. სხვა საკითხებთან ერთად შეისწავლიან დოპინგის მიღების ფაქტებში დასავლეთ გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტის **ვილი დაუმის** სავარაუდო კავშირს.

სპეციალური გამოძიება გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით მიმდინარეობდა და ის სამი წელი გაგრძელდა. ძიება ეხებოდა გასული საუკუნის 70-იან წლებში გერმანელი სპორტსმენების მიერ ნაჩვენებ შედეგებს.

■ ■ ■

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ აკრძალული პრეპარატების განახლებული სია გამოაქვეყნა. ექსპერტებსა და სპორტსმენებს, პირველ რიგში, აინტერესებდათ, შეეხებოდა თუ არა ცვლილება პრეპარატ კლენბუტეროლს. როგორც გაირკვა, მისი სტატუსი უცვლელი დარჩა - კლენბუტეროლის მიღება კვლავაც აკრძალულია. შეგახსენებთ, რომ სწორედ ეს პრეპარატი აღმოაჩინეს "ტურ დე ფრანსის" სამგზის ჩემპიონის **ალბერტო კონტადორის** სისხლში , მაგრამ ველომრბოლი გადაურჩა დისკვალიფიკაციას, რადგან განაცხადა, რომ აკრძალული პრეპარატი მის ორგანიზმში უხარისხო საკვების მიღების გამო მოხვდა.

გარდა ამისა, ანტისადოპინგო სააგენტომ აკრძალული პრეპარატების სიიდან ამოიღო ასთმის საწინააღმდეგო წამალი - ფორმოტეროლი, თუ, რა თქმა უნდა, სპორტსმენები მას მცირე დოზებით დანიშნულებისამებრ გამოიყენებენ.

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია აკრძალული პრეპარატების სიაში ნიკოტინის შეტანის ინიციატივამ, თუმცა ამ იდეას ჯერჯერობით მხარი არ დაუჭირეს. სამაგიეროდ, ის ჩართეს ანტისადოპინგო სააგენტოს მონიტორინგის პროგრამაში, რომელიც ოლიმპიურ წელს ჩატარდება.

ტურნირები

# ვოზნიაცკის ისევ უჭირს


გაოგნებული ვოზნიაცკი

ტოკიოს ტურნირი შარშანდელი ჩემპიონის გარეშე დარჩა - მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** სამ სეტში წააგო მერვედფინალი ესტონელ **კაია კანეპისთან** და ბრძოლას გამოეთიშა.

დღე არ გავა, რომ იაპონიის დედაქალაქში ერთი სენსაცია არ მოხდეს. მეორე წრეში აღვნიშნეთ რუსი **მარია კირილენკოს** გამარჯვება ავსტრალიელ **სამანტა სტოსურთან**, ამჯერად კი ტურნირი რეიტინგის ლიდერის გარეშე დარჩა.

ყველამ ვიცით, რომ კაროლინ ვოზნიაცკი ამ ზაფხულს ვერ ბრწყინავდა, მაგრამ მაინც კარგად გამოვიდა ამერიკის ღია პირველობაზე. ამიტომაც არავინ ელოდა, რომ დანიელი ტოკიოში ასე ადრე ჩამოსცილდებოდა ბრძოლას.

თანაც, გუშინდელი მატჩი ვოზნიაცკისთვის კარგად დაიწყო. მან მაშინვე მოიგო კანეპის მოწოდება, თუმცა ბალტიისპირელმა სწრაფად აღადგინა თანაფარდობა. მერვე გეიმში დანიელს ბრეიკის აღების რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ სამი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა. ამის შემდეგ ვოზნიაცკის თამაშში ჩავარდნა დაიწყო და 5:5-ზე პირველმა ნომერმა საკუთარი მოწოდება წააგო. კანეპიმ ეს შანსი კარგად გამოიყენა და სეტი მოიგო.

მეორე პარტიაში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ კანეპი დაიღალა კუთხიდან კუთხეში სირბილით. მან რისკს უმატა და შესაბამისად, შეცდომებიც მომრავლდა, რაც კაროლინს აძლევდა ხელს. მომდევნო ათი გეიმიდან დანიელმა ცხრა მოიგო და 6:1, 3:0 დაწინაურდა. მაგრამ ამ მომენტში მორიგი უცნაურობა მოხდა. კაროლინს საერთოდ აღარ მისდიოდა მოწოდება, მოკლე დარტყმებს მოუხშირა და შეცდომებიც მრავლად ჰქონდა. ასე რომ, კანეპიმ ინიციატივა მოიპოვა და პრაქტიკულად მისი ყველა დარტყმა აღწევდა მიზანს. ვოზნიაცკიმ ვერაფრის შეცვლა ველარ მოახერხა და ბოლო შვიდი გეიმიდან ექვსი მეტოქეს დაუთმო.

მეოთხედფინალში კანეპის **აგნიეშკა რადვანსკასთან** შეხვედრა ელის. პოლონელი ჩოგბურთელის მატჩი სერბ **ელენა იანკოვიჩთან** უცნაურად განვითარდა. პირველ სეტსა და მეორის შუაში სათამაშო უპირატესობა იანკოვიჩის მხარეს იყო და ამ მონაკვეთებში აგნიეშკამ მხოლოდ ორი გეიმი მოიგო. რადვანსკა ბევრ შეცდომას უშვებდა, ვერ უმკლავდებოდა იანკოვიჩის კუთხეში დარტყმებს და ელენა დამაჯერებლად აგროვებდა ქულებს. სამაგიეროდ, მეორე პარტიის დასაწყისში და ბოლოში, ისევე, როგორც გადამწყვეტ სეტში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი საკუთარ თავს არ ჰგავდა. ის ყველანაირ დარტყმას აცილებდა, განსაკუთრებით ბექჰენდს. საბოლოოდ, რადვანსკამ ზედიზედ ცხრა გეიმი აიღო და შესაბამისად, მესამე სეტი „მშრალი" ანგარიშით მოიგო.

■ ■ ■

წარმატებული დღე ჰქონდათ რუს ჩოგბურთელებს, რომლებსაც დღეს მეოთხედფინალში სამი წარმომადგენელი ეყოლებათ. სტოსურის ძლევის შემდეგ კირილენკომ **ანა ივანოვიჩის** დამარცხებაც მოახერხა.

პირველ სეტში საკმაოდ დაძაბული ბრძოლა მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ კირილენკომ მიღებაზე ორჯერ ნაკლები ქულა მოიგო, ერთადერთი ბრეიკი პარტიაში სწორედ მან გააკეთა, ამასთან სამი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და სეტი მოიგო. მეორე პარტიაში ანა საერთოდ გამოეთიშა თამაშს. ერთადერთი, რაც მან შეძლო - ერთი გეიმის მოგება იყო. კირილენკოს უპირატესობა უდიდესი გახლავთ და მან იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 6:3, 6:1.

განსხვავებული სცენარით განვითარდა მოვლენები კირილენკოს სეხნიის - **მარია შარაპოვასა** და **იულია გორჯესის** მატჩში. აქამდე ისინი ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და წელს ავსტრალიის ღიაზე რუსმა სამ სეტში მოიგო. ამჯერად ყველაფერი ორ სეტში გაირკვა, თუმცა თამაში ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ორივე ჩოგბურთელი ვერ გადაურჩა ჩავარდნას, ამასთან, ჰქონდათ კარგი მონაკვეთებიც. მოწოდებაზე შარაპოვაც და გორჯესიც ნორმალურად გამოიყურებოდნენ, ამიტომაც პირველ სეტში მეტოქეებმა თითო ბრეიკი გაცვალეს, მე-13 გეიმში კი უფრო მტკიცე ნერვები შარაპოვას აღმოაჩნდა.

მეორე პარტია სულ სხვა სცენარით განვითარდა. მარია უფრო დამაჯერებლად მოქმედებდა მიღებაზე, სამაგიეროდ, დაეცა პირველი მოწოდების პროცენტი, რამაც რამდენიმე ბრეიკი გამოიწვია. მარია სამჯერ გავიდა წინ და სამივეჯერ დაკარგა უპირატესობა. მან ეს, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, რადგან სეტზე ვერ ჩააწოდა, სეტბოლი ვერ გამოიყენა და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. საბოლოოდ, საქმე ისევ ტაი-ბრეიკამდე მივიდა და ისევ მარიამ ითამაშა უკეთ - 7:6(4), 7:6(4).

კიდევ ერთი მეოთხედფინალური წყვილი შეადგინეს **ვიქტორია აზარენკამ** და **მარიონ ბარტოლიმ**. ბელარუსმა ორ სეტში მოუგო **კლარა ზაკოპალოვას**, ფრანგი კი **შუაი პენგს** გაუსწორდა. **პეტრა კვიტოვამ** უიმბლდონზე ტრიუმფის შემდეგ პირველად მოიგო ზედიზედ ორი მატჩი - **ვანია კინგს** ორ სეტში მოუგო. ახლა, ჩეხს შარაპოვასთან მოუწევს თამაში, რომელიც უიმბლდონის ფინალში დაამარცხა.

### WTA

TORAY PAN PACIFIC OPEN
ტოკიო (იაპონია). ჰარდი

#### 1/8 ფინალი

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:3, 7:5; **მარიონ ბარტოლი (საფ, 7)**-შუაი პენგი (ჩინ, 10) 6:2, 6:1; **მარია კირილენკო (რუს)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 12) 6:3, 6:1; **ვერა ზვონარევა (რუს, 4)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:1, 6:2; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 5)**-ვანია კინგი (აშშ) 6:1, 7:6(4); **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-იულია გორჯესი (გერ, 13) 7:6(4), 7:6(4); **კაია კანეპი (ესტ)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1) 7:5, 1:6, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 9)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 8) 2:6, 6:4, 6:0.

#### 1/4 ფინალი

კანეპი-ა. რადვანსკა (9); აზარენკა (3)-ბარტოლი (7); კირილენკო-ზვონარევა (4); კვიტოვა (6)-შარაპოვა (2).

კრივი

# ჩემპიონი მრჩეველი გახდა


ამირ ხანი

63-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი **ამირ ხანი** დათანხმდა არგენტინელი **მარკოს მაიდანას** წინადადებას - ბრიტანელი მოკრივე სამხრეთამერიკელის კონსულტანტი გახდა. 2010 წლის 11 დეკემბერს ხანმა მაიდანა დაამარცხა, რის შემდეგაც არგენტინელმა რამდენჯერმე რევანში მოითხოვა, მაგრამ ბრიტანელი მუდმივად უარს უთვლიდა და მაიდანას სხვა კონკურენტების მონახვას ურჩევდა.

რამდენიმე დღის წინ ხანმა მარკოსს ურჩია ამერიკელ **ტიმოტი ბრედლისთან** ეჩხუბა, რის შემდეგაც დაფიქრდებოდა მატჩ-რევანშზე. პასუხად არგენტინელმა ხანს კონსულტანტობა შესთავაზა. ბრიტანელმა თანხმობა განაცხადა.

პირველი რჩევა, რომელიც ხანმა მაიდანას მისცა, იმაში მდგომარეობს, რომ არგენტინელმა უნდა შეწყვიტოს ისეთ მოკრივეებთან ჩხუბი, რომლებიც არ შედიან პირველი ნახევრად საშუალო წონის საუკეთესო ათეულში.

ხანმა ჩამოთვალა მაიდანას ბოლოს ხუთი მეტოქე და განაცხადა, რომ მათ შორის საუკეთესო - მექსიკელი **ერიკ მორალესი** BoxRec.com-ის რეიტინგით მე-20 ადგილს იკავებს.

გარდა ამისა, ბრიტანელმა გაიმეორა თავისი რჩევა ბრედლისთან ბრძოლის შესახებ. ამერიკელი WBO-ის ვერსიით ფლობს ჩემპიონის ტიტულს, მაიდანას კი WBA-ის საჩემპიონო ქამარი ეკუთვნის.

თავად ამირ ხანი WBA-ის სუპერჩემპიონია, აგრეთვე IBF-ის ტიტულს ფლობს. ის მორიგ ბრძოლას 10 დეკემბერს ამერიკელი **ლამონტ პიტერსონის** წინააღმდეგ გამართავს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ლეგენდა სიკვდილს გადაურჩა



არვიდას საბონისი

ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი **არვიდას საბონისი** სიკვდილს გადაურჩა. ოლიმპიური ჩემპიონი კაუნასის ერთ-ერთ კლინიკაში ინფარქტის დიაგნოზით მიიყვანეს.

მეგობრებთან კალათბურთის თამაშის შემდეგ არვიდასმა თავი ცუდად იგრძნო. მატჩი უკვე დასრულებული იყო და სხვა მოთამაშეები გასახდელში იყვნენ, საბონისი კი დარბაზში სკამზე ჩამოჯდა და წყალი დალია იმ იმედით, რომ თავს კარგად იგრძნობდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისიც გასახდელში გაემართა, სადაც დახმარება მოითხოვა.

46 წლის კალათბურთელი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდებოდა. ერთი წყაროს ცნობით, გულის შეტევა ძლიერი არ იყო, მეორე წყარომ კი დაწერა, რომ საბონისმა ორჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი და უმძიმეს მდგომარეობაში იყო.

ბოლოს ოფიციალური ინფორმაცია გავრცელდა: კაუნასის კარდიოლოგიური კლინიკის ექიმებმა სიკვდილს გამოსტაცეს ლეგენდარული კალათბურთელი. საბონისს მიოკარდის ინფარქტის დიაგნოზი დაუსვეს. დაახლოებით ერთ თვეში სარეაბილიტაციო კურსი დაიწყება.

ექიმების თქმით, კალათბურთელმა თავად სთხოვა მათ, რომ დაემშვიდებინათ მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები. *"ჯანმრთელი ვარ და დიდხანს ვიცოცხლებ"*, - ღიმილით უთქვამს კაუნასის "ჟალგირისის" ამჟამინდელ პრეზიდენტს.

კარდიოცენტრის მთავარმა ექიმმა **რიმიგილიუს ჟალიუნასმა** დადებითად შეაფასა პაციენტის მდგომარეობა და განწყობა, აგრეთვე განაცხადა, რომ სამედიცინო ტესტების შედეგები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, მაგრამ ინფარქტის შემთხვევაში არ შეიძლება ასი პროცენტით იყო დარწმუნებული: *"მსგავს შემთხვევებში რთულია გარანტიების მიცემა. ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს ერთ დღეში ან ნახევარ წელიწადში. მაგრამ ამ მომენტისთვის პაციენტის მდგომარეობა ყველა მაჩვენებლის მიხედვით უმჯობესდება. ეჭვი არ მეპარება, რომ ხუთშაბათს შევძლებთ ინტენსიური თერაპიის პალატიდან ჩვეულებრივ პალატაში მის გადაყვანას"*.

ჟალიუნასის სიტყვებით, დროულმა ჩარევამ ექიმებს საშუალება მისცა სისხლის ნორმალური მიმოქცევა აღედგინათ და თავიდან აეცილებინათ გულის კუნთის შეუქცევადი დაზიანება. ეს იმედს უტოვებს ექიმებს, რომ მომავალში საბონისს აღარ შეექმნება გულთან დაკავშირებული ახალი პრობლემები.

არვიდასი, რომელიც აქტიურად არის დაკავებული ლიტვური კალათბურთის საქმეებით, საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას აპირებდა ლიტვის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე. არჩევნები 24 ოქტომბერს არის დანიშნული.

# წინ ვერ წაიწიეს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წარმომადგენლებისა და მოთამაშეთა პროფკავშირის მორიგი შეხვედრა დაახლოებით სამი საათი გაგრძელდა. მხარეებმა მოლაპარაკების მომდევნო დღეს გაგრძელება გადაწყვიტეს - იტყობინება CBS Sports.

პროფკავშირების პრეზიდენტის, **დერეკ ფიშერის** თქმით, არანაირი ოფიციალური შემოთავაზება არ ყოფილა, სამაგიეროდ, მხარეებმა იდეები და კონცეფცია განიხილეს.

შეხვედრას არ ესწრებოდა მოთამაშეთა პროფკავშირის ეკონომისტი **კევინ მერფი**, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ის დღევანდელ სხდომას დაესწრება. მისი თანხმობა გადამწყვეტი იქნება ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე შეთანხმების მისაღწევად.



კალათბურთელები ერთობიან

თავის მხრივ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი **დევიდ სტერნი** დარწმუნებულია, რომ დღევანდელი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმ მხრივ, თუ რა მიმართულებით იმოძრავებენ მხარეები მომავალი მოლაპარაკებების დროს.

მოგვიანებით Yahoo! Sports-მა გუშინდელი შეხვედრის დეტალები გაარკვია. კლუბების მფლობელებმა მკაფიოდ დაადასტურეს საკუთარი პოზიცია ხელფასის მაქსიმალური ლიმიტის შესახებ. ისინი ითხოვენ გუნდების უფრო მკაცრად დასჯას იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ სახელფასო ზღვარს გადააჭარბებენ.

გარდა ამისა, მხარეებს არ შეუცვლიათ საკუთარი პოზიციები მოგების გადანაწილების შესახებ. შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის მოთამაშეები საერთო მოგების 57 პროცენტს იღებენ, კლუბების მფლობელებს კი სურთ ამ თანხის სანახევროდ გაყოფა.

## ბოლო წინადადება კობის

"ლოსანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** იტალიაში ჩავიდა და მოლაპარაკებები დაიწყო ბოლონიის „ვირტუსთან". როგორც ცნობილი გახდა, იტალიურმა კლუბმა ახალი და ბოლო წინადადებით მიმართა ამერიკელ კალათბურთელს - „ვირტუსი" მზად არის, კობის თვეში ორმილიონ-ნახევარი გადაუხადოს.

ჯერჯერობით უცნობია, რა უპასუხა ამაზე ბრაიანტმა, იტალიის ლიგის ხელმძღვანელობა კი NBA-ის ვარსკვლავის დამატების შემთხვევაში გარკვეულ დათმობებზე წავა „ვირტუსთან" მიმართებაში.

იტალიის საკალათბურთო ლიგის პრეზიდენტ **ვალენტინო რენცის** თქმით, ბრაიანტთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ კალენდარს გადააკეთებენ იმისთვის, რომ „ვირტუსმა" ჩემპიონატის პირველ თვეს 7-8 მატჩის ჩატარება მოასწროს.

## ფერნანდესი: ბოლომდე რეალში?

"დალას მავერიქსის" მცველი **რუდი ფერნანდესი**, რომელიც ლოკაუტის პერიოდში მადრიდის "რეალის" ღირსებას დაიცავს, შესაძლოა, იმ შემთხვევაშიც დარჩეს ესპანურ გრანდში, თუ 2011-12 წლების სეზონი NBA-ში მაინც ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ ევროპის 2011 წლის ჩემპიონის კონტრაქტი "დალასთან" 2012-13 წლების სეზონის შემდეგ იწურება. ფერნანდესი ერთი სეზონის სანაცვლოდ "რეალში" 2.7 მილიონ ევროს გამოიმუშავებს, რაც ყველაზე მაღალი ხელფასია ესპანეთის ლიგაში.

## დიდი ტრიო ამხანაგურად ითამაშებს

"მაიამი ჰიტის" "დიდი ტრიო" - **ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი** და **კრის ბოში** ამხანაგური მატჩის ჩატარების იდეით გამოდის. შეხვედრის სახელწოდება იქნება "სამხრეთ ფლორიდის ვარსკვლავური მატჩი" და ის 8 ოქტომბერს გაიმართება. ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული ფული მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება.

უკვე ცნობილია, რომ მატჩში მონაწილეობას მიიღებენ **კევინ დურანტი, კარმელო ენტონი, ამარე სტაუდმაიერი, კრის პოლი, ჯონ უოლი, ჯამალ კროუფორდი, კერონ ბატლერი, რუდი გეი, რაჟონ რონდო, ედი კარი** და სხვები.

## როუზიც უცხოეთზე დაფიქრდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კიდევ ერთი ვარსკვლავი, გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე **დერიკ როუზი** ფიქრობს ლოკაუტის პერიოდში საზღვარგარეთ თამაშს. "ჩიკაგო ბულზის" ლიდერი მზად არის განიხილოს უცხოური შემოთავაზებები.

*"დიახ, განვიხილავ სხვა კლუბში გადასვლის შესაძლებლობას. ჯერჯერობით არ ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას. მსოფლიოში ბევრი საინტერესო და წარმტაცი ადგილია, მაგრამ ჯერ არ შემიძლია დეტალებზე ლაპარაკი"*, - ამბობს როუზი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2012** | |
| **UNDER 17** | |
| უნგრეთი-ნორვეგია | 3:2 |
| ბელარუსი-ანდორა | 5:0 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ლევერკუზენი-გენკი | 2:0 |
| ვალენსია-ჩელსი | 1:1 |
| მარსელი-დორტმუნდი | 3:0 |
| არსენალი-ოლიმპიაკოსი | 2:1 |
| ზენიტი-პორტუ | 3:1 |
| შახტარი-აპოელ | 1:1 |
| ბატე-ბარსელონა | 0:5 |
| მილანი-პლზენი | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიფი** | |
| კარდიფი-საუთჰემპტონი | 2:1 |
| მიდლსბრო-ლესტერი | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰანოვერი A-ვოლფსბურგი A | 3:1 |
| **შოტლანდია** | |
| ჰიბერნიანი-სტ. ჯონსტონი | 3:2 |
| **დანიის თასი** | |
| იაგერსბორგი-მიდტიულანდი | 0:6 |
| რინგკობინგი-ვეილე | 1:5 |
| ნაესბი-ნაესტვედი | 2:1 |
| აკადემისკი-ჰორსენსი | 0:3 |
| ესბერგი-კილოგე | 1:1 დ.დ. 1:3 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამ კამი-ალტა | 2:0 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-ჰონკა | 0:4 |
| ჰიკ-იარო | 6:0 |
| კუოპიო-მარიეჰამნი | 2:1 |
| ტურკუ-იუვიასკიულა | 2:2 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ახისარი-საქარია | 2:0 |
| ელაზიგი-რიზე | 0:2 |
| გაზიანთეფი ბბ-ბოლუ | 0:0 |
| გიოზთეფე-გიონგურენი | 3:1 |
| ქასიმფაშა-ქარსიაქა | 2:1 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| იაბლონეცი-დუკლა | 1:0 |
| სლოვაცკო-ბანიკი | 1:1 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| ტატრანი-ლუჩენეცი | 4:0 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუჩ ენერგია-სიბირი | 1:0 |
| ნ. ნოვგოროდი-დინამო (ბრ) | 0:1 |
| ვოლგარი-ჩერნომორეცი | 2:2 |
| ტორპედო (ვ)-შინიკი | 1:2 |
| ტორპედო (მ)-ფაკელი | 2:0 |
| **სლოვენია** | |
| ნაფტა-მურა | 2:2 |
| დომჟალე-ტრიგლავი | 2:0 |
| გორიცა-ოლიმპია | 2:1 |

| | |
|---|---|
| **ლატვია** | |
| ვენტსპილსი-იურმალა | 4:[illegible] |
| **ლიტვა** | |
| სუდუვა-ეკრანასი | 0:0 |
| **ჩილე** | |
| პალესტინო-კობრელოა | 0:2 |
| **კოლუმბია** | |
| ენვიგადო-იტაგუი | 0:0 |
| **პარაგვაი** | |
| სოლ დე ამერიკა-რუბიო ნუ | 0:0 |
| ხენერალი-სერო პორტენიო | 2:4 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ზობ აჰანი-სუვონი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| ალ სადი-სეპაჰანი | 1:2 |
| **იაპონიის თასი** | |
| ივატა-ვეგალტა | 3:0 |
| ომიია-ურავა | 1:2 |
| კავასაკი-იოკოჰამა | 3:2 |
| ნიიგატა-შიმიცუ | 3:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| ეტა-სპარტაკი | 59:60 |
| არტლანდი-გრან კანარია | 56:61 |
| **ფრენბურთი** | |
| **ევ. ჩემპიონატი** | |
| **ქალები. 1/4 ფინალი** | |
| სერბეთი-რუმინეთი | 3:0 |
| რუსეთი-თურქეთი | 0:3 |
| ჩეხეთი-საფრანგეთი | 3:1 |
| იტალია-ჰოლანდია | 3:1 |
| **ჰოკეი** | |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-ბლუზი | 1:4 |
| ჰპკ-პელიკანსი | 1:4 |
| **კჰლ** | |
| ამური-აკ ბარსი | 4:0 |
| მეტალურგი (ნ)-ნეფტეხიმიკი | 0:4 |
| დინამო (რ)-დინამო (მ) | 1:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბანგკოკი** | |
| კ. ბეკი-**სოედა** | 6:3, 6:7, 6:7 |
| **ბახინგერი**-უდომჩოკე | 7:6, 6:3 |
| ანდუხარი-**კამკე** | 0:6, 1:6 |
| **სიმონი**-ლუ | 6:7, 7:5, 6:4 |
| ჰაასე-**ნიემინენი** | 6:7, 6:7 |
| **ATP. კუალა ლუმპური** | |
| ტომიჩი-**ჩიპოლა** | 2:6, 2:6 |
| **ისტომინი**-მატოშევიჩი | 6:3, 6:2 |
| დე ვოესტი-**მელცერი** | 0:6, 4:6 |
| **ტურსუნოვი**-გოფინი | 6:3, 6:3 |
| **ბაღდატისი**-დევარმანი | 7:5, 6:4 |
| **WTA. ტოკიო** | |
| ბენეშოვა-**ზვონარევა** | 1:6, 2:6 |
| პენგი-**ბარტოლი** | 2:6, 1:6 |
| **აზარენკა**-ზაკოპალოვა | 6:3, 7:5 |
| **კირილენკო**-ივანოვიჩი | 6:3, 6:1 |
| გორჯესი-**შარაპოვა** | 6:7, 6:7 |
| **კვიტოვა**-კინგი | 6:1, 7:6 |
| ვოზნიაცკი-**კანეპი** | 5:7, 6:1, 4:6 |
| **ა. რადვანსკა**-იანკოვიჩი | 2:6, 6:4, 6:0 |

## TV პროგრამა

**29 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
11:00 ესპანეთის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. VII ტური. შტუტგარტი-ჰამბურგი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. V ტური. ლაციო-პალერმო.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. VIII ტური. რენი-სენტ ეტიენი.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. VI ტური. მანჩესტერ სიტი-ევერტონი.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. VI ტური. ბარსელონა-ატლეტიკო.
00:00 სუპერმატჩი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ჩეზენა.
12:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
18:25 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ბორდო.
20:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
23:30 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.

**GMG-სპორტი 2**

09:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა (LIVE).
14:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-იუვენტუსი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვულვზი.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. რუმინეთის ღია პირველობა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

20:50 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სელტიკი-უდინეზე (LIVE).
22:55 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სპორტინგი-ლაციო (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

19:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლოკომოტივი-ანდერლეხტი (LIVE).
22:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. იტალია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
18:55 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. იტალია (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მაკაბი (თ-ა)-დინამო (კ) (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

20:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მეტალისტი-ალკმაარი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვოსკლა-ჰანოვერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

09:15 ATP-ის ტური. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).
16:00 ATP-ის ტური. ბანგკოკი. ტაილანდი (LIVE).

**SPORT+**

12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
20:55 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჰამბურგი-უნივერსიტეტი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ტოტენჰემი-შემროკი (LIVE).

**EUROSPORT**

12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ტოკიო. იაპონია (LIVE).

**EUROSPORT-2**

18:30 კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. ჯგუფური რაუნდი. ინდოეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა





სერხიო პერესი

# პერესი: ფერარიში 2013 წელს?

არ წყდება მსჯელობა იმის შესახებ, რომ „ფერარი“ არ აპირებს 2012 წლის შემდეგ ბრაზილიელ **ფელიპე მასასთან** კონტრაქტის გაგრძელებას. დასახელდა მასას რამდენიმე შემცვლელი - **ჯენსონ ბატონი, ნიკო როსბერგი**, მაგრამ ყველაზე რეალურ პრეტენდენტად **სერხიო პერესს** მიიჩნევენ.

მექსიკელს აქვს ნიჭი და სისწრაფე, გამოცდილებას კი „ზაუბერის“ რიგებში გამოსვლითა და „ფერარის“ ახალგაზრდულ პროგრამაში მონაწილეობით აგროვებს.

ამ ჭორებს „ფერარის“ ერთ-ერთი მთავარი სპონსორის, ბანკ „სანტადერის“ წარმომადგენელთა განცხადება ამყარებს. როგორც ირკვევა, ესპანური ბანკი დიდი სარეკლამო კამპანიის დაწყებას აპირებს სამხრეთ ამერიკაში. ესპანელ ბანკირებს ძალიან უნდათ გამოიყენონ პერესის ძველი კავშირები მექსიკელ მილიარდერ **კარლოს სლიმთან**. ამ უკანასკნელის გავლენა რეგიონში შეუფასებელია.

# კუბიცასთვის 2012 რეალობაა

**რობერტ კუბიცას** მკურნალი ექიმი **რიკარდო ჩეკარელი** დარწმუნებულია პოლონელი პილოტის სრულ გამოჯანმრთელებასა და ფორმულა 1-ში დაბრუნებაში.

„დარწმუნებული ვარ, რომ რობერტი 2012 წლის სეზონში ფორმულა 1-ში გამოვა. ზუსტი თარიღის დასახელება არ შემიძლია, მაგრამ იანვარში ის უკვე მწყობრში იქნება, თუმცა, არ არის გამორიცხული, ეს ნოემბერშიც მოხდეს.

მარჯვენა ხელის მდგომარეობის გამო აღარ ვღელავ. მიღებული ტრავმების სერიოზულობის, გაწყვეტილი ნერვებისა და მყესების გათვალისწინებით, რეაბილიტაციისთვის დრო არის საჭირო, მაგრამ ახლა მგრძნობელობა სრულად აღდგენილია.

ფეხზე ჯერჯერობით ფიქსატორი ადევს და არ ვჩქარობთ მის მოცილებას. საჭიროა კუნთებს ძალა დაუბრუნდეს, რადგან რამდენიმე თვის განმავლობაში უმოქმედობა თავის კვალს დატოვებდა, მაგრამ მთავარი საკითხია - ფორმულა 1-ში დაბრუნების შესაძლებლობა. ამ მხრივ მშვიდად ვარ - ეს აუცილებლად მოხდება“, - ამბობს ჩეკარელი.

„ლოტუს-რენომ“ პოლონელს ბოლო ვადად ოქტომბრის შუა რიცხვები დაუწესა - სწორედ ამ პერიოდში უნდა იქნას მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. კუბიცას აღდგენითი პროცესი დაახლოებით ერთ თვეს კიდევ გაგრძელდება, ასე რომ, მას ფრანგულ საჯინიბოში ადგილი გარანტირებული არ აქვს, თუმცა პილოტის მენეჯერი **დანიელე მორელიც** ოპტიმისტურად არის განწყობილი.

„რა თქმა უნდა, რთული იქნება „ლოტუს-რენოს“ მიერ დათქმულ ვადაში გამოჯანმრთელება, რადგან ჯერ კიდევ არ ვიცით, რამდენი ხანი გაგრძელდება რობერტის აღდგენითი კურსი. თუმცა ჩვენ გვაქვს სერიოზული ოპტიმიზმის საფუძველი. არ მგონია, რომ ბოლოს ვადის რამდენიმე კვირით გადაცილებამ ჩვენს გეგმებს ხელი შეუშალოს. მთავარია, რომ კუბიცა რბოლებს დაუბრუნდება. დღეს ერთადერთი პრობლემა მხოლოდ კუნთის ძალის აღდგენაშია“, - ამბობს დანიელე მორელი.



კუბიცას 2012-ში ელიან

# რედ ბული ტრიუმფისთვის მოემზადა

როგორც იცით, გერმანელ **სებასტიან ფეტელს** სულ რაღაც ერთი ქულა აშორებს ზედიზედ მეორე ტიტულამდე. გერმანული გაზეთის, „ბილდის“ ინფორმაციით, სებას გუნდი „რედ ბული“ მომდევნო ეტაპზე - იაპონიის გრანპრიზე დიდი ზეიმისთვის ემზადება. ავსტრიულმა საჯინიბომ შეუკვეთა მაისურები ფეტელის პორტრეტითა და წარწერით - 2011 F1 Drivers' World Champion.

თავად ფეტელი ცრუმორწმუნეა და წინასწარ უარს ამბობს სავარაუდო ჩემპიონობაზე: „*სტატისტიკის მიხედვით ტიტულის რეალური შანსი მაქვს, მაგრამ ფორმულა 1-ში ყველაფერი ხდება და ამიტომაც საბოლოო შედეგს უნდა დაველოდოთ*“.

შვეიცარიული „ბლიკის“ ცნობით, სინგაპურის გრანპრის შემდეგ სებასტიან ფეტელმა თავის მშობლებთან - **ნორბერტთან** და **ჰეიკესთან** ერთად მოაწყო საღამო სახელწოდებით - „არ მყოფნის ერთი ქულა“. საღამოს ერთ-ერთი სტუმარი იყო „ფერარის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელი **ლუკა კოლაიანი**.

# რა დაემართა ჰემილტონს?

ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტი **მარკ ჰიუზი** მსჯელობს ამ სეზონში იმ მრავალრიცხოვან ინციდენტებზე, რომლებშიც “მაკლარენის” ბრიტანელი პილოტი **ლუის ჰემილტონი** მონაწილეობდა...

*“პრაქტიკულად ყოველი რბოლის შემდეგ ჩვენ განვიხილავთ მორიგ ინციდენტს ლუის ჰემილტონის მონაწილეობით. ბრიტანელის ხუთწლიანი კარიერის განმავლობაში ჯერ არ ყოფილა სეზონი, რომ მას ამდენი შეცდომა დაეშვას. და დღეს ბევრი ეძებს ამგვარი ჩავარდნის მიზეზს. ვიღაცას მიაჩნია, რომ ეს არის ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემა - ჰემილტონი განაწყენებულია იმით, რომ მანქანა კვლავ არ აძლევს ტიტულისთვის ბრძოლის საშუალებას. შესაძლოა, მიზეზი სულ სხვა იყოს.*

*წლევანდელი სეზონის გადამწყვეტი ფაქტორები - უკანა მოძრავი ანტიფრთის გამოჩენა, KERS-ის სისტემის დაბრუნება და საბურავების სწრაფი ცვეთა - ვერ მოერგო ჰემილტონის საქმისადმი ინსტინქტურ მიდგომას. შესაძლოა, ის თვისებები, რომელმაც მას წარსულში (როცა გასწრება გაცილებით რთული იყო) გასწრებების საუკეთესო სპეციალისტის სტატუსი მოუტანა, დღეს პრობლემების წყაროდ იქცა.*

*90-იანი წლების დასაწყისიდან ფორმულა 1-ში დიდი მუშაობა დაიწყეს გასწრებების რიცხვის გაზრდისთვის. მრავალი წლის განმავლობაში სტაბილურად გასწრება მხოლოდ რამდენიმე პილოტს შეეძლო. პირველ რიგში, უნდა გავიხსენოთ აირტონ სენა, ნაიჯელ მენსელი და ხუან-პაბლო მონტოია - მათ სხვებზე უკეთ შეეძლოთ მანქანის დინამიკაზე კონტროლი. ჰემილტონიც მათ რიცხვში შედის.*

*კარგი მაგალითია 2007 წელს კიმი რაიკონენზე შეტევა მონცას ტრასის პირველ მოსახვევში. ეს არის სერიოზული დამხრუჭების ზონა - სისწრაფის არანორმალური დაგდება მანქანისთვის, რომელიც მინიმალურ მოჭიდების ძალაზეა მომართული. ჰემილტონი რაიკონენის მანქანის უკნიდან ისე სწრაფად და გვიან გამოვარდა, რომ ფინელი გაოგნებული დარჩა - კიმის მოუწია ლუისის შიდა რადიუსზე გატარება.*

*ჰემილტონის მანქანის სიჩქარე იმ კონკრეტული მოსახვევისთვის ძალიან დიდი იყო, მაგრამ ლუისმა შეგნებულად მოახდინა გადაჭარბებული მანევრირების პროვოცირება, რათა ტრასიდან არ გავარდნილიყო. შესაძლოა, ეს არის ყველაზე ნათელი მაგალითი ჰემილტონის უნიკალური თვისებისა – მონახოს შეტევის ისეთი ვარიანტი, რომლებსაც სხვები ვერ ამჩნევენ. ის ეძებდა და პოულობდა ასეთ ვარიანტებს პირველივე ეტაპებიდან.*



ლუის ჰემილტონი

*ახლა ეს ფაქტორი პრობლემური გახდა. დღეს გასწრება ძალიან იოლია - თუ მეტოქეს საბურავები გაცვეთილი აქვს ან უკანა მოძრავი ანტიფრთის გამოყენების შესაძლებლობა არსებობს, ნებისმიერს შეუძლია ნებისმიერის გასწრება. ახლა ეს - ტაქტიკური თამაშია. კარგი მაგალითია - ჰემილტონისა და შუმახერის ხანგრძლივი დუელი მონცაში, როცა ლუისის შეტევები ნეიტრალიზებული იქნა გერმანელის დაცვის მიერ, ბატონი კი სწრაფად გავიდა წინ იმის ხარჯზე, რომ მის მანქანაზე საბურავი უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე შუმახერის ბოლიდზე.*

*სინგაპურში ლუისმა წარუმატებლად შეუტია მასას - მან ვერ შეაფასა მანქანის წინა ნაწილის მდებარეობა და ფელიპეს შეეხო. მას უბრალოდ რომ მოეთმინა, შემდეგ წრეზე შეძლებდა წინ გასვლას უკანა მოძრავი ანტიფრთისა და KERS-ის სისტემის წყალობით. რჩება შთაბეჭდილება, რომ რაც უფრო რთულია სიტუაცია, მით უფრო მეტად ინდომებს ჰემილტონი და მით უფრო უარესად გამოსდის საქმე. სავარაუდოდ, მან უნდა გააანალიზოს სიტუაცია და მიხვდეს, როგორ იმოქმედოს ეფექტურად ფორმულა 1-ის შეცვლილ რეალობაში*”, - მსჯელობს მარკ ჰიუზი.


სებასტიან ფეტელი

# ფეტელის შემოსავლები იზრდება

მიუხედავად იმისა, რომ **სებასტიან ფეტელი** წლევანდელ ჩემპიონატში ყველაზე სწრაფი ავტომრბოლია, ყველაზე მაღალანაზღაურებად პილოტთა სიაში ამ მომენტისთვის მხოლოდ მესამე ადგილს იკავებს. გერმანელი ჩამორჩება უფრო გამოცდილ კოლეგებს - **მიხაელ შუმახერსა** და **ფერნანდო ალონსოს**. ამ სეზონში “რედ ბულის” პილოტის წლიური ხელფასი 16 მილიონ ევროს შეადგენს, იმ დროს, როცა “ფერარის” ესპანელი წევრის ჯამაგირი 25 მილიონი ევროა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონისა - 21 მილიონი.

თუმცა გერმანული გაზეთი “ბილდი” იუწყება, რომ ფეტელი ძალიან სწრაფად ეწევა კონკურენტებს. ყოველი გრანპრის მოგებასთან ერთად იზრდება გერმანელის შემოსავალი. ჩემპიონატის მოგებისთვის ფეტელი 6 მილიონ ევროს მიიღებს, აგრეთვე დამატებით 2 მილიონს, თუ მომდევნო სეზონშიც გაიფორმებს ჩემპიონობას. სებასტიანს აგრეთვე ერგება 500 ათასი ევრო თითოეული გრანპრის მოგებისთვის. მას უკვე ცხრა გამარჯვება აქვს წელს, რაც დამატებით 4.5 მილიონ ევროს ნიშნავს. ნებისმიერი პოდიუმისთვის კი ფეტელი დამატებით 250 ათას ევროს იღებს.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს **ნიკი ლაუდას** მიაჩნია, რომ ასეთი წარმატება თავგზას ვერ აურევს გერმანელს.

“*სხვებისგან განსხვავებით, ფეტელი - ჩამოყალიბებული პიროვნებაა: რესპექტაბელური, პატიოსანი, ნორმალური. მაღალი ჰონორარები მის პიროვნებას არ შეცვლის*”, - ამბობს ავსტრიელი ლეგენდა.

## ამბები

### ფორმულა 1

### ფერარის ბირნი უბრუნდება

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა “ტირელის”, “ბენეტონისა” და “პროსტის” ყოფილმა თანამშრომელმა, ესპანური გაზეთის „ელ პაისის“ მესვეტემ, **ხუან ვილიადელპარტმა**. ის იტყობინება, რომ სახელგანთქმული კონსტრუქტორი **რორი ბირნი**, რომელიც “ფერარიში” **მიხაელ შუმახერის** ტრიუმფალური გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო, დათანხმდა 2012 წელს “სკუდერიას” რიგებში დაბრუნებას.

შეგახსენებთ, რომ ბირნი თავისი პოსტიდან 2006 წელს წავიდა - მაშინ მან თანამდებობა ცოტა ხნის წინ განთავისუფლებულ **ალდო კოსტას** დაუთმო. ბირნი მცირე ხნით “ფერარიში” კონსულტანტის სტატუსით დარჩა, მაგრამ სულ მალე საბოლოოდ ჩამოშორდა რბოლებს.

### ცურვა

### ლონდონისთვის მზადება დაწყებულია

14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი** ვადაზე ადრე გამოვიდა შვებულებიდან და საწვრთნელი შეკრება დაიწყო.

ლეგენდარულმა მოცურავემ 2007 წლის შემდეგ პირველად შეცვალა მომზადების გრაფიკი და ასე ნაადრევად დაიწყო ახალი სეზონისთვის მზადება. აუზში პირველი საწვრთნელი ციკლი ექვსკვირიანი იქნება. გარდა ამისა, ფელპსი ნიუ იორკში იმყოფებოდა, სადაც სირბილსა და ცურვაში ერთობლივი წვრთნა ჩაატარა შორტ-ტრეკში ოლიმპიური თამაშების მრავალგზის პრიზიორთან **აპოლო ანტონ ონოსთან**, რომელიც ნიუ იორკის მარათონში მონაწილეობისთვის ემზადება.

### კრივი

### ფინალი 17 დეკემბერს

ცნობილი გახდა საშუალო წონის მოკრივეთა ტურნირის - Super Six World Boxing Classic-ის ფინალის ახალი თარიღი. WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **კარლ ფროჩი** (28-1-0, 20KO) და სუპერსაშუალო წონაში WBA-ის ტიტულის მფლობელი **ანდრე უორდი** (24-0-0, 13KO) 17 დეკემბერს შეხვდებიან ერთანეთს.

შეგახსენებთ, რომ საშუალო წონაში საუკეთესო მოკრივის გამოსავლენი შეხვედრა 29 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ უორდის თხოვნით თარიღი გადაიტანეს. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთი ვარჯიშის დროს უორდმა წარბი გაიხეთქა და ჭრილობაზე რამდენიმე ნაკერი დაადეს.

“სუპერ სიქსის” ფინალს ამერიკის ქალაქი ატლანტიკ-სიტი უმასპინძლებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**